



მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსი

ტესტირების საერთაშორისო სტანდარტი

2009 წლის იანვარი

ტესტირების საერთაშორისო სტანდარტი

ტესტირების საერთაშორისო სტანდარტი პირველად მიღებულ იქნა 2003 წელს და ძალაში შევიდა 2004-ში. ამ ვერსიაში შედის ცვლილებები ტესტირების საერთაშორისო სტანდარტისათვის, რომელიც დამტკიცებულია მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 2009 წლის 1 იანვარს. გადახედული ტესტირების საერთაშორისო სტანდარტი ძალაში შედის 2009 წლის 1 იანვარს

გამოქვეყნებულია 2008 წლის 16 მაისს:

მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს მიერ
Stock Exchange Tower
800 Place Victoria (Suite 1700)
PO Box 120
Montreal, Quebec,
Canada H4Z 1B7

URL: www.wada-ama.org

ტელ: +1 514 904 9232

ფაქსი: +1 514 904 8650

ელ-ფოსტა: code@wada-ama.org

პრეამბულა

მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის *საერთაშორისო სტანდარტი ტესტირებისათვის* არის სავალდებულო *საერთაშორისო სტანდარტი* (მე-2-ე საფეხური), რომელიც შეიქმნა, როგორც მსოფლიო ანტი-დოპინგური პროგრამის ნაწილი.

2003 წლის ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის 3.0 ვერსია დამტკიცებული იყო მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 2003 წლის 7 ივნისს. 2003 წლის მსოფლიო ანტიდოპინგურ კოდექსში შესწორებების შეტანისას პარალელურად დაიწყო კონსულტაციები ხელისმომწერებთან ტესტირების საერთაშორისო სტანდარტში შესწორებების შეტანის თაობაზე. 2006 წლის აგვისტოში ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის შესწორებული 1. 0 ვერსია განხილვისა და შენიშვნებისათვის გადაეგზავნათ ხელისმომწერებს და მთავრობებს. ვერსიების 2.0 (2007), 3.0 (2007) და 4.0 (2008) მონახაზი ასევე შეიქმნა ხელისმომწერთა შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე ამ კონსულტაციების მიმდინარეობისას. *ტესტირების საერთაშორისო სტანდარტი* (2009 წლის იანვარი) დამტკიცდა მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 2008 წლის მაისში.

ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის ოფიციალური ტექსტი იქნება დაცული მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს მიერ და გამოქვეყნდება ინგლისურად და ფრანგულად. ფრანგულ და ინგლისურ ვერსიებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში პრივილეგია მიენიჭება ინგლისურ ვერსიას.

დასათაურება

ნაწილი პირველი: შესავალი, კოდექსის პირობები და განმარტებები	6
1.0 შესავალი და მასშტაბი	რრორ! ოკმარკ ნოტ დეფინედ.
2.0 კოდექსის პირობები	7
3.0 ტერმინები, განმარტებები და ინტერპრეტაცია	
3.1 2009 წლის კოდექსის განსაზღვრული ტერმინები.....	18
3.2 ტესტირების საერთაშორისო სტანდარტისათვის სპეციფიკური ტერმინები.....	23
3.3 ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის ინტერპრეტაცია.....	25
ნაწილი ორი: ტესტირების სტანდარტი.....	26
4.0 დაგეგმვა	
4.1 მიზანი.....	26
4.2 ზოგადი.....	26
4.3 მოთხოვნები ტესტის განაწილების დაგეგმვისათვის.....	27
4.4 მოთხოვნები სპორტსმენების ტესტირებისათვის შესარჩევად.....	31
5.0 სპორტსმენის შეტყობინება	
5.1 მიზანი	რრორ! ოკმარკ ნოტ დეფინედ.
5.2 ძირითადი.....	35
5.3 მოთხოვნები სპორტსმენის შეტყობინებამდე.....	35
9	
5.4 მოთხოვნები შეტყობინებისათვის.....	37
6.0 მზადება სინჯის აღებისათვის	43
6.1 მიზანი.....	43
6.2 ძირითადი.....	რრორ! ოკმარკ ნოტ დეფინედ.
6.3 მოთხოვნები სინჯის ასაღებად მომზადებისათვის	43
7.0 სინჯის აღების ჩატარება	42
7.1 მიზანი.....	42
7.2 ზოგადი.....	42
7.3 მოთხოვნები სინჯის აღების წინ	43
7.4 მოთხოვნები სინჯის აღებისათვის.....	44
8.0 უსაფრთხოება/ტესტის შემდგომი ადმინისტრაცია.....	45
8.1 მიზანი.....	46
8.2 ზოგადი	
8.3 მოთხოვნები უსაფრთხოებისათვის/ტესტის შემდგომი ადმინისტრაციისათვის.....	46

9.0 სინჯებისა და დოკუმენტაციის ტრანსპორტირება.....	46
9.1 მიზანი.....	47
9.2 ზოგადი.....	47
9.3 მოთხოვნები სინჯებისა და დოკუმენტაციის ტრანსპორტირებისთვის	47
10.0 სინჯების საკუთრება	48
11.0 მოთხოვნები სპორტსმენის ადგილ-სამყოფელის მონაცემებზე.....	48
11.1 მიზანი/ძირითადი პრინციპები	49
11.2 მოთხოვნები მონაცემთა სარეგისტრაციო ბაზის შესაქმნელად.....	54
11.3 მოთხოვნები ადგილ-სამყოფელის მონაცემთა არქივირებისათვის.....	57
11.4 ტესტირებისათვის ხელმისაწვდომობა	64
11.6 შედეგების მართვა	74
11.7 ანტი-დოპინგური ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ადგილ- სამყოფელის მონაცემებზე.....	84
ნაწილი სამი: დანართები.....	91
დანართი ა - წესების შესრულებაზე შესაძლო უარის გამოკვლევა	91
დანართი ბ - ცვლილებები ინვალიდი სპორტსმენებისათვის	93
დანართი გ - ცვლილებები უმცროსი სპორტსმენებისათვის.....	95
დანართი დ - შარდის სინჯის აღება.....	97
დანართი ე - სისხლის სინჯის აღება	101
დანართი ვ - შარდის სინჯი - არასაკმარისი მოცულობა.....	105
დანართი ზ - შარდის სინჯი, რომელიც არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს ანალიზისათვის შესაბამის სპეციფიკურ სიმძიმეზე.....	107
დანართი თ - მოთხოვნები სინჯის აღებაზე პერსონალისათვის.....	110

ნაწილი პირველი: შესავალი, კოდექსის პირობები და განმარტებები

1.0 შესავალი და მასშტაბი

ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის ძირითადი მიზანია ეფექტური ტესტირების დაგეგმვა, როგორც საშეჯიბრო, ასევე არასასეჯიბრო, და აღებული სინჯის იდენტიფიკაციისა და ხელშეუხებლობის შენარჩუნება სპორტსმენის შეტყობინების ადგილიდან იმ ლაბორატორიამდე, სადაც მოხდება სინჯის ტრანსპორტირება ანალიზისათვის.

ტესტირების საერთაშორისო სტანდარტში შედის: ტესტირების განაწილების დაგეგმვა, სპორტსმენისათვის შეტყობინება, სინჯის ასაღებად მომზადება, უსაფრთხოება/ტესტის შემდგომი ადმინისტრაცია და სინჯის ტრანსპორტირება.

დამატებით ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის 11.0 ნაწილი ადგენს სავალდებულო სტანდარტს საერთაშორისო ფედერაციებისა და ნაციონალური ანტი-დოპინგური ორგანიზაციებისათვის (ასევე აღიარებული და გამოყენებული სხვა ანტი-დოპინგური ორგანიზაციების მიერ), რომელიც შეეხება მოთხოვნებს სპორტსმენებისათვის ადგილ-სამყოფელის მონაცემების შესახებ შესაბამის მონაცემთა სარეგისტრაციო ბაზაში. 18 თვის მანძილზე ამ მოთხოვნების 3-ჯერ შეუსრულებლობა შეესაბამება ანტი-დოპინგური წესების დარღვევას კოდექსის 2.4 პუნქტის შესაბამისად.

ტესტირების საერთაშორისო სტანდარტი დანართებთან ერთად სავალდებულოა კოდექსის ყველა ხელისმომწერთათვის.

მსოფლიო ანტი-დოპინგური პროგრამა შეიცავს ყველა ელემენტს, რომელიც საჭიროა საერთაშორისო და ნაციონალური ანტი-დოპინგური პროგრამების ოპტიმალური ჰარმონიზაციის და საუკეთესო შესრულების უზრუნველყოფისათვის. ძირითადი ელემენტებია: კოდექსი (საფეხური 1), საერთაშორისო სტანდარტები (საფეხური 2), მოდელი საუკეთესო შესრულებისათვის (საფეხური 3).

კოდექსის შესავალ ნაწილში საერთაშორისო სტანდარტების მიზანი და განხორციელება განიხილება შემდეგნაირად:

“საერთაშორისო სტანდარტები სხვა და სხვა ტექნიკური და საოპერაციო სფეროებისათვის ანტი-დოპინგური პროგრამის ფარგლებში უნდა შემუშავდეს ხელისმომწერთან და მთავრობებთან შეთანხმებით და დამტკიცებულ იქნეს მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ. საერთაშორისო სტანდარტების მიზანია ჰარმონიზაცია ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ანტი-დოპინგური პროგრამის სპეციფიკურ ტექნიკურ და საოპერაციო ნაწილზე.

საერთაშორისო სტანდარტების დაცვა სავალდებულოა კოდექსის შესაბამისობისათვის. პერიოდულად საერთაშორისო სტანდარტები შეიძლება გადახედულ იქნეს *მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის (WADA)* აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ხელიმომწერებთან და მთავრობებთან კონსულტაციის შემდეგ. ვიდრე კოდექსი სხვაგვარად არ განმარტავს, საერთაშორისო სტანდარტები და ყველა ცვლილებები შევა ძალაში იმ დროს, რომელიც *საერთაშორისო სტანდარტში* ან ცვლილებაში იქნება მითითებული.”

კოდექსში განსაზღვრული განმარტებები დაწერილია დახრილი შრიფტით. დამატებითი განმარტებები, დამახასიათებელი საერთაშორისო სტანდარტისათვის არის ხაზგასმული.

2.0 კოდექსის პირობები

2009 წლის კოდექსის შემდეგი პუნქტები სრულიად შეესაბამება ტესტირების საერთაშორისო სტანდარტს:

კოდექსის პარაგრაფი 2 ანტი-დოპინგური წესის დარღვევა

2.3 შეტყობინების შემდეგ სინჯის აღებაზე უარის თქმა ან მისი გამოტოვება რაიმე არსებითი დასაბუთების გარეშე, როგორც ეს შესაბამის ანტიდოპინგურ წესშია განსაზღვრული ან სხვაგვარად თავის არიდება სინჯის აღებისაგან.

[შენიშვნა პუნქტზე 2.3: შეტყობინების შემდეგ სინჯის აღებაზე უარის თქმა ან მისი გამოტოვება აკრძალული იყო ყველა წინასაკოდექსო ანტიდოპინგურ წესში. ეს პუნქტი განავრცობს ტიპიურ წინასაკოდექსო წესს და ამატებს: “სხვაგვარად თავის არიდება სინჯის აღებისაგან”, როგორც აკრძალულ ქმედებას. ასე მაგალითად ანტი-დოპინგური წესის დარღვევაა, როდესაც სპორტსმენი ემალებოდა დოპინგ კონტროლის ოფიცერს, რომ თავი აერიდებინა შეტყობინებისაგან ან ტესტირებისაგან. დარღვევა “სინჯის აღებაზე უარი ან მისი გამოტოვება” შეიძლება იყოს გამოწვეული ან განზრახ ქმედებით ან დაუდევრობით, მაშინ, როდესაც სინჯის აღებისაგან თავის არიდება განიხილება სპორტსმენის განზრახ ქმედებად.]

2.4 მოთხოვნათა დარღვევა, რომელიც ეხება სპორტსმენის ხელმისაწვდომობას არასაშეჯიბრო ტესტირებისათვის, იმ მოთხოვნათა შეუსრულებლობის ჩათვლით, რომელიც ეხება ადგილმდებარეობის მონაცემების დარღვევას და გამოტოვებულ ტესტებს, რომლებიც ცხადდება ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის წესებზე დაყრდნობით. 18 თვის მანძილზე სამჯერ ტესტის გამოტოვება ან ადგილ-მდებარეობის მონაცემთა მიუწოდებლობა,

როგორც ეს ანტი-დოპინგური ორგანიზაციების მიერ არის განსაზღვრული სპორტსმენზე მოქმედი იურისდიქციის შესაბამისად შეესაბამება ანტი-დოპინგური წესის დარღვევას.

[შენიშვნა პუნქტზე 2.4: ცალკეული ადვილმდებარეობას მონაცემთა შეუვსებლობა და გამოტოვებული ტესტები, რომლებიც განცხადებულია სპორტსმენის საერთაშორისო ფედერაციის ან რომელიმე ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ მისი უფლებამოსილების შესაბამისად განაცხადოს ადვილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევა ან ტესტირების გამოტოვება ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად განხორციელდება ამ პუნქტის გამოყენებით. შესაბამის პირობებში გამოტოვებული ტესტები ან ადვილ-სამყოფელის მოთხოვნათა დარღვევა შეიძლება განხილულ იქოს, როგორც ანტი-დოპინგური წესის დარღვევა 2.3 ან 2.5 პუნქტების შესაბამისად.]

2.5 ჩარევა ან ჩარევის მცდელობა დოპინგ კონტროლის რომელიმე ნაწილში.

[შენიშვნა პუნქტზე 2.5: ეს პუნქტი კრძალავს ქმედებას, რომელიც ხელს უშლის დოპინგ კონტროლის პროცესს, მაგრამ სხვაგვარად არ არის შეტანილი აკრძალულ მეთოდთა სიაში. მაგალითად საიდენტიფიკაციო ნომრის შეცვლა დოპინგ კონტროლის ფორმაზე ტესტირების დროს, B ბოთლის გატეხვა B სინჯის ანალიზის დროს ან მცდარი ინფორმაციის მიწოდება ანტი-დოპინგური ორგანიზაციისათვის.]

2.8 ადმინისტრაცია ან ადმინისტრაციის მცდელობა რომელიმე სპორტსმენზე გამოიყენოს აკრძალული სუბსტანცია ან აკრძალული მეთოდი საშეჯიბრო პერიოდში ან გამოიყენოს აკრძალული სუბსტანცია ან აკრძალული მეთოდი არასაშეჯიბრო პერიოდში, ან დახმარება, წახალისება, ხელის დაფარება, თანამონაწილეობა რომელიმე ანტი-დოპინგური წესის დარღვევაში ან ანტი-დოპინგური წესის დარღვევის მცდელობაში.

[შენიშვნა პუნქტზე 2: კოდექსი არ განიხილავს ანტი-დოპინგური წესის დარღვევად იმ სპორტსმენის ან დამხმარე პერსონალის ქმედებას, რომელთაც აქვთ დისკვალიფიკაციის პერიოდი. მაგრამ სპორტულ ორგანიზაციას უფლება აქვს შეიმუშავოს თავისი საკუთარი წესები, რომლებიც კრძალავენ ასეთ ქმედებას.]

კოდექსი - თავი 3 დოპინგის მტკიცებულება

3.2.2 სხვა საერთაშორისო სტანდარტებიდან, ანტი-დოპინგური წესებიდან ან კურსიდან გადახვევა, რომელმაც არ გამოიწვია არასასურველი ანალიტიკური შედეგის აღმოჩენა ან სხვა ანტი-დოპინგური წესის დარღვევა ვერ გააუქმებს ასეთ შედეგს. თუ სპორტსმენმა ან სხვა პირმა დაადგინა, რომ სხვა საერთაშორისო სტანდარტებიდან, სხვა ანტი-დოპინგური წესებიდან ან

კურსიდან გადახვევამ გამოიწვია არასასურველი ანალიტიკური შედეგი ან სხვა ანტი-დოპინგური წესის დარღვევა, მაშინ ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ თვითონ უნდა დაამტკიცოს, რომ ამ გადახვევას არ გამოუწვევია არასასურველი ანალიტიკური შედეგის აღმოჩენა ან სხვა ანტი-დოპინგური წესის დარღვევა.

კოდექსი თავი 5 ტესტირება

5.1 ტესტის განაწილების დაგეგმვა. საგანი იურისდიქციული ზღვარისათვის საშეჯიბრო ტესტირებისათვის პუნქტში 15.1, თითოეულ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ტესტირების იურისდიქცია ყველა სპორტსმენზე, რომელიც არის ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ქვეყნიდან, არის ამ ქვეყნის მოქალაქე, რეზიდენტი, ლიცენზიის მფლობელი ან ქვეყნის სპორტული ორგანიზაციის წევრი. თითოეულ საერთაშორისო ფედერაციას უნდა ჰქონდეს ტესტირების იურისდიქცია ყველა სპორტსმენზე, რომელიც არის მათი წევრი ეროვნული ფედერაციის წევრი და რომელიც მონაწილეობს მათ ღონისძიებებში. ყველა სპორტსმენი უნდა ასრულებდეს ყოველი ტესტირების იურისდიქციის მქონე ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მოთხოვნას ტესტირებაზე. ერთსა და იმავე სპორტსმენზე ტესტირების ჩატარებისას ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა ერთმანეთთან შეთანხმებით და საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად უნდა:

5.1.1 დაგეგმოს და ჩაატაროს რამოდენიმე ეფექტური საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირება სპორტსმენებზე, რომლებზედაც მათ გააჩნიათ იურისდიქცია, იმ სპორტსმენთა ჩათვლით და არა მხოლოდ, რომლებიც შედიან მათ ტესტირების მონაცემთა ბაზაში. თითოეულ საერთაშორისო ფედერაციას უნდა ჰქონდეს შექმნილი ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა მისი სპორტის სახეობის საერთაშორისო ღონის სპორტსმენებისათვის და თითოეულმა ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შექმნას ეროვნული ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა იმ სპორტსმენებისათვის, რომლებიც არიან ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ქვეყნიდან, არიან ამ ქვეყნის მოქალაქეები, რეზიდენტები, ლიცენზიის მქონენი ან არიან ამ ქვეყნის სპორტული ორგანიზაციის წევრები. 14.3 პუნქტის შესაბამისად, თითოეული სპორტსმენს, რომელიც არის რეგისტრირებული ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში მოეთხოვება ადგილ-სამყოფელის მონაცემების მიწოდება ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

5.1.2 გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ყველა არასაშეჯიბრო ტესტირება ჩატარდება წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

5.1.3 გახადეთ მიზნობრივი ტესტირება პრიორიტეტული.

5.14 ჩაატარეთ ტესტირება სპორტსმენის დისკვალიფიკაციის პერიოდში ან პირობითი სასჯელის დროს.

[შენიშვნა პუნქტზე 5.1.3: მიზნობრივი ტესტირება სპეციფიკურია, რადგან რანდომული ტესტირება, შეწონილი რანდომული ტესტირებაც კი ვერ უზრუნველყოფს ყველა შესაბამისი სპორტსმენის ტესტირებას (მაგ. მსოფლიო კლასის სპორტსმენები, სპორტსმენები, რომელთა მიღწევები დრამატულად სწრაფად გაუმჯობესდა მოკლე პერიოდის მანძილზე, სპორტსმენები, რომელთა მწვერთვებზეც ჰყავთ სხვა სპორტსმენები ტესტის დადებითი შედეგებით და ა.შ.]

ნათელია, რომ მიზნობრივი ტესტირება არ უნდა იყოს გამოყენებული სხვა მიზნისათვის, გარდა კანონიერი დოპინგ კონტროლისა. კოდექსი ნათლად მიუთითებს, რომ სპორტსმენებს არ აქვთ უფლება ელოდებოდნენ, რომ ჩაუტარდებოთ ტესტირება მხოლოდ რანდომული წესით. ანალოგიურად არ იწვევს რაიმე სფუქვლიან ეჭვს ან საგარაუდო მიზეზს მიზნობრივი ტესტირების მოთხოვნისათვის.]

5.2 სტანდარტები ტესტირებისათვის ტესტირების იურისდიქციის მქონე ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა ასეთი ტესტირება უნდა ჩაატარონ ტესტირების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

5.3 სპორტს ჩამოცილებული სპორტსმენები ბრუნდებიან შეჯიბრზე

თითოეულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შემოიღოს წესი, რომელიც ეხება იმ სპორტსმენებს, რომლებიც არ არიან დისკვალიფიცირებულნი და დატოვეს სპორტი, როდესაც შედიოდნენ ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში და შემდგომში სურთ დაუბრუნდნენ აქტიურ სპორტს.

კოდექსი თავი 7 შედეგების მართვა

7.1 არასასურველი ანალიტიკური შედეგის წინასწარი განხილვა

სინჯის არასასურველი ანალიტიკური შედეგის მიღებისას ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, რომელიც პასუხისმგებელია შედეგების მართვაზე უნდა ჩაატაროს განხილვა, რომ დაადგინოს არის თუ არა: (ა) თერაპიული გამოყენების ნებართვა ან ექნება მინიჭებული თერაპიული გამოყენების უფლება, როგორც ეს თერაპიული გამოყენების გამონაკლისის საერთაშორისო სტანდარტში არის დადგენილი, ან (ბ) ან ნათლად ჩანს გადახვევა ტესტირების საერთაშორისო სტანდარტიდან ან ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტიდან, რომელმაც გამოიწვია არასასურველი ანალიტიკური შედეგის მიღება.

7.2 შეტყობინება არასასურველი ანალიტიკური შედეგის წინასწარი განხილვის შემდეგ თუ არასასურველი ანალიტიკური შედეგის წინასწარმა განხილვამ 7.1 პუნქტის შესაბამისად ვერ გამოავლინა გამონაკლისი თერაპიული გამოყენებისათვის ან უფლება თერაპიული გამოყენებისათვის, როგორც ეს დადგენილია თერაპიული გამოყენების გამონაკლისის საერთაშორისო სტანდარტში ან სტანდარტიდან გადახვევა, რომელმაც გამოიწვია არასასურველი ანალიტიკური შედეგის მიღება, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ მაშინვე უნდა შეატყობინოს სპორტსმენს დადგენილი წესების შესაბამისად: (ა) არასასურველი ანალიტიკური შედეგი; (ბ) ანტი-დოპინგური წესის დარღვევა; (გ) სპორტსმენის უფლება მაშინვე მოითხოვოს B სინჯის ანალიზი ან, ასეთ მოთხოვნაზე უარი, რადგან B სინჯის ანალიზის ჩატარებაზე უარი ეთქვა; (დ) თარიღი, დრო და ადგილი B სინჯის ანალიზის ჩატარებისათვის, თუ სპორტსმენი ან ანტი-დოპინგური ორგანიზაცია გადაწყვეტს მოითხოვოს B სინჯის ანალიზის ჩატარება; (ე) შესაძლებლობა სპორტსმენისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის დაესწროს B სინჯის გახსნას და ანალიზს იმ პერიოდის მანძილზე, რომელიც დადგენილია ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტში, თუ ასეთი ანალიზის მოთხოვნა იქნება; და (ვ) სპორტსმენის უფლება მოითხოვოს A და B სინჯების ლაბორატორიული დოკუმენტაციის ასლები, რომელშიც შედის ინფორმაცია ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ასევე უნდა შეატყობინოს სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, როგორც ეს აღწერილია პუნქტში 14.1.2. თუ ანტი-დოპინგური ორგანიზაცია გადაწყვეტს არ მიანიჭოს არასასურველ ანალიტიკურ შედეგს ანტი-დოპინგური წესის დარღვევა, მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს სპორტსმენს და ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, როგორც ეს აღწერილია პუნქტში 14.1.2.

7.3 ატიპური შედეგის განხილვა

როგორც ეს საერთაშორისო სტანდარტებშია მოცემული, ზოგიერთ შემთხვევაში ლაბორატორიებს ევალებათ განაცხადონ აკრძალული ნივთიერების არსებობის შესახებ, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ენდოგენურად, როგორც ატიპური შედეგი შემდგომი გამოკვლევისათვის. A სინჯის ატიპური შედეგის მიღებისას შედეგების მართვაზე პასუხისმგებელმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა ჩაატაროს განხილვა, რომ დაადგინოს არის თუ არა: (ა) თერაპიული გამოყენების ნებართვა ან (ბ) გადახვევა ტესტირების საერთაშორისო სტანდარტიდან ან ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტიდან, რომელმაც გამოიწვია ატიპური შედეგის მიღება. თუ ამ განხილვამ არ გამოავლინა გამონაკლისი თერაპიულ გამოყენებაზე ან გადახვევა, რომელმაც გამოიწვია ატიპური შედეგის მიღება, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა ჩაატაროს საჭირო გამოკვლევა. როდესაც გამოკვლევა დასრულდება, სპორტსმენი და სხვა ანტი-დოპინგური ორგანიზაციები, როგორც ეს დადგენილია პუნქტში 14.1.2 მიიღებენ შეტყობინებას მიენიჭება თუ არა ატიპურ შედეგს არასასურველი

ანალიტიკური შედეგის სტატუსი. სპორტსმენი მიიღებს შეტყობინებას იმ სახით, როგორც ეს მოცემულია პუნქტში 7.2.

7.3.1 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ არ უნდა გაუზავნოს შეტყობინება ატიპურ შედეგზე მანამდე, ვიდრე არ დაასრულებს გამოკვლევას და არ გადაწყვეტს მისი მიზნის თუ არა ატიპურ შედეგს არასასურველი ანალიტიკური შედეგის სტატუსი სანამ არსებობს შემდეგი გარემოებები:

(ა) თუ ანტი-დოპინგური ორგანიზაცია გადაწყვეტს რომ უნდა ჩატარდეს B სინჯის ანალიზი მანამდე, სანამ მიიღებს გადაწყვეტილებას თავისი გამოკვლევის შედეგად 7.3 პუნქტის შესაბამისად, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია ჩაატაროს B სინჯის ანალიზი მას შემდეგ რაც გაუზავნის სპორტსმენს ისეთ შეტყობინებას, რომელიც შეიცავს ატიპური შედეგის აღწერას და ინფორმაციას 7.2 (ბ)-(ე) პუნქტის თანახმად.

(ბ) თუ ანტი-დოპინგური ორგანიზაცია იღებს მოთხოვნას წამყვანი ღონისძიების ორგანიზატორისაგან მისი საერთაშორისო ღონისძიების დაწყების ცოტა ხნით ადრე ან იმ სპორტული ორგანიზაციიდან, რომელიც პასუხისმგებელია გუნდის წევრების შერჩევაზე მოახლოებული ღონისძიებისათვის, შეატყობინოს აქვს თუ არა რომელიმე სპორტსმენს წამყვანი ღონისძიების ორგანიზატორის ან სპორტული ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ სიაში ატიპური შედეგი, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დაასახელოს ამ სპორტსმენის სახელი.

[შენიშვნა პუნქტზე 7.3.1 (ბ): 7.3.1 (ბ) პუნქტში აღწერილ შემთხვევაზე არჩევანი რაიმე ზომების მიღებისა ენიჭება წამყვანი ღონისძიების ორგანიზატორს ან სპორტულ ორგანიზაციას მათი წესების შესაბამისად.]

7.4 იმ სხვა ანტი-დოპინგური წესების დარღვევის განხილვა, რომელიც არ არის განხილული პუნქტში 7.1 7.3

ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ან სხვა განმხილველმა ორგანომ, რომელიც დადგენილია ასეთი ორგანიზაციის მიერ უნდა ჩაატაროს საბოლოო გამოკვლევა შესაძლო ანტი-დოპინგური წესის დარღვევაზე, როგორც ეს მოითხოვება მოქმედი ანტი-დოპინგური კანონების და იმ წესების შესაბამისად რომლებიც შემუშავებულია კოდექსის შესაბამისად ან იმ წესების შესაბამისად, რომელთაც ანტი-დოპინგური ორგანიზაცია თვლის შესაფერისად. მაშინ, როდესაც ანტი-დოპინგური ორგანიზაცია დარწმუნდება, რომ ადგილი ჰქონდა ანტი-დოპინგური წესის დარღვევას, მან მაშინვე უნდა გაუზავნოს

სპორტსმენს ან სხვა პირს შეტყობინება სასჯელის თაობაზე თავისი ანტი-დოპინგური წესების შესაბამისად და მასზე დაყრდნობით. სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შეტყობინება გაეგზავნებათ 14.1.2 პუნქტის შესაბამისად.

7.6 სპორტიდან წასვლა

თუ სპორტსმენი ან სხვა პირი გადაწყვეტს სპორტიდან წასვლას, როდესაც მიმდინარეობს შედეგების მართვის პროცესი, ანტი-დოპინგური ორგანიზაცია, რომელიც ატარებს შედეგების ანალიზს უფლებამოსილებას იტოვებს დაასრულოს პროცესი. თუ სპორტსმენი ან სხვა პირი მიდის სპორტიდან შედეგების ანალიზის პროცესის დაწყებამდე, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელიც უფლებამოსილი იყო შედეგების ანალიზზე, მაშინ, როდესაც სპორტსმენმა ან სხვა პირმა დაარღვია ანტი-დოპინგური წესი, უფლებამოსილება აქვს ჩაატაროს შედეგების ანალიზი.

[შენიშვნა პუნქტზე 7.6: სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ჩადენილი ქმედება მანამდე, ვიდრე რომელიმე ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ექნებოდა მასზე იურისდიქცია არ ჩაითვლება ანტი-დოპინგური წესის დარღვევად, მაგრამ კანონიერი საფუძველი ექნება უარი ეთქვას სპორტსმენს ან სხვა პირს სპორტული ორგანიზაციის წევრობაზე.]

კოდექსი თვი 10 ინდივიდუალური სანქციები.

10.3.3 2.4 პუნქტის დარღვევისათვის (ადგილ-სამყოფელის მონაცემების შეუსრულებლობა/ანგამოტოვებული ტესტი) შეჯიბრებში მონაწილეობიდან განთავისუფლების ვადა შეიძლება იყოს მინიმუმ ერთი (1) წელი და მაქსიმუმ ორი (2) წელი, რაც დამოკიდებულია დანაშაულის ხარისხზე.

[შენიშვნა პუნქტზე 10.3.3: სანქცია 10.3.3 პუნქტის შესაბამისად იქნება 2 წელი, თუ სამივე ადგილ-სამყოფელის მოთხოვნათა დარღვევა ან გამოტოვებული ტესტი იყო არასაპატიო მიზეზის გამო. სხვაგვარი სანქცია შეფასდება 2-დან 1 წლამდე შემთხვევის პირობების გათვალისწინებით.]

10.11 ტესტირება აღდგენისათვის

პირობა იმისა, რომ სპორტსმენს აღუდგეს მონაწილეობის უფლება სანქციის ვადის გასვლისას არის ის, რომ სპორტსმენი პირობითი სასჯელის ან დისკვალიფიკაციის პერიოდში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი ანტი-დოპინგური ორგანიზაციის არასაშეჯიბრო ტესტირებისათვის, რომელსაც აქვს ტესტირების იურისდიქცია, და მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარადგინოს აღდგომდებარეობის მიმდინარე და ზუსტი მონაცემები. თუ სპორტსმენი წავა სპორტიდან დისკვალიფიკაციის პერიოდში და ამოღებული იქნება არასაშეჯიბრო ტესტირების მონაცემთა სარეგისტრაციო ბაზიდან, ხოლო მოგვიანებით მოინდომებს აღდგენას, მას არ ექნება აღდგენის უფლება მანამდე

სანამ არ შეატყობინებს შესაბამის ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და არ იქნება არასაშეჯიბრო ტესტირების საგანი იმ პერიოდის მანძილზე, რამდენიც ჰქონდა დარჩენილი დისკვალიფიკაციის ვადის დასრულებამდე, როდესაც ის წავიდა სპორტიდან.

კოდექსი თავი 14 კონფიდენციალურობა და ანგარიში:

14.3 ინფორმაცია სპორტსმენის ადგილ-მდებარეობის შესახებ.

როგორც შემდგომში ტესტირების საერთაშორისო სტანდარტშია მოცემული, სპორტსმენებმა, რომლებიც თავიანთი საერთაშორისო ფედერაციის ან ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ შეყვანილი არიან ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში უნდა უზრუნველყონ მიმდინარე, ზუსტი ადგილ-მდებარეობის ინფორმაციის მიწოდება. საერთაშორისო ფედერაციებმა და ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა სპორტსმენების პირადობის მონაცემები და შეგროვებული მიმდინარე ადგილმდებარეობის ინფორმაცია უნდა წარადგინონ მსოფლიო ანტიდოპინგურ სააგენტოში (WADA). ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ანტი-დოპინგური ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის სისტემის (ADAMS, აამს) მეშვეობით შესაფერის დროს იმ ანტი-დოპინგური ორგანიზაციებისათვის, რომელთაც გააჩნიათ იურისდიქცია ტესტირება ჩატარონ სპორტსმენს მე-15 თავის შესაბამისად. ეს ინფორმაცია ყოველთვის იქნება მკაცრად კონფიდენციალური; გამოყენებული იქნება ექსკლუზიურად მხოლოდ ტესტირების დაგეგმვის, კოორდინაციის და ჩატარებისათვის; და იქნება გამჟღავნებული, როდესაც ის აღარ იქნება მიმდინარე ამ მიზნისათვის.

14.5 დოპინგ კონტროლის მონაცემთა საინფორმაციო ცენტრი

მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტო (WADA) შეასრულებს დოპინგ კონტროლის მონაცემების და შედეგების საინფორმაციო ცენტრის როლს საერთაშორისო დონის სპორტსმენებისა და ეროვნული დონის სპორტსმენებისათვის, რომლებიც შეყვანილი არიან ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ტესტირების მონაცემთა სარეგისტრაციო ბაზაში. იმისათვის რომ განხორციელდეს კოორდინირებული ტესტის განაწილების დაგეგმვა და თავიდან იქნეს აცილებული სხვა და სხვა ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ ერთი და იმავე სპორტსმენის ტესტირება, თითოეულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ამ სპორტსმენების ყველა საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირების შესახებ მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) საინფორმაციო ცენტრს რაც შეიძლება სწრაფად ამ ტესტების ჩატარებიდან. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება სპორტსმენისათვის, მისი ეროვნული ფედერაციისათვის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისათვის ან ეროვნული პარალიმპიური კომიტეტისათვის, ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციისათვის და საერთაშორისო ოლიმპიური ან პარალიმპიური კომიტეტებისათვის.

იმისათვის, რომ შეძლოს შეასრულოს დოპინგ კონტროლის მონაცემთა საინფორმაციო ცენტრის როლი, მსოფლიო ანტიდოპინგურმა კომიტეტმა (WADA) შეიმუშავა მონაცემთა ბაზის მართვის საშუალება, ADAMS, რომელიც იცავს კონფიდენციალურობის პრინციპებს. კერძოდ, მსოფლიო ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ შეიმუშავა ანტი-დოპინგური ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის სისტემა (ADAMS, აამს), რომ იყოს შესაბამისობა მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის (WADA) და სხვა ორგანიზაციების მონაცემთა კონფიდენციალურობის სტატუსში და ნორმებში. სპორტსმენის, სპორტსმენის დამხმარე პერსონალის ან იმ სხვა პირების, რომლებიც ჩართულნი არიან ანტიდოპინგურ საქმიანობაში პირადი ინფორმაცია შენახული იქნება მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის (WADA) მიერ, რომელსაც ზედამხედველობას უწევს კანადის კონფიდენციალობის დამცავი ორგანოები, მკაცრი კონფიდენციალობით პრივატულობის დამცავი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მსოფლიო ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გამოაქვეყნოს მიღებული შემაჯამებელი სტატისტიკური ინფორმაცია სპორტსმენის კონფიდენციალობის სრული დაცვით და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეროვნული და რეგიონული მონაცემთა კონფიდენციალობის ორგანოებისათვის განსახილველად.

14.6 მონაცემთა კონფიდენციალურობა

თავისი მოვალეობების შესრულებისას კოდექსის შესაბამისად, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია შეაგროვოს, შეინახოს, დაამუშავოს ან გაახმაუროს სპორტსმენთან ან მესამე მხარესთან დაკავშირებული პირადი ინფორმაცია. თითოეულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს რომ ამ ინფორმაციის მიწოდება მოხდება მოქმედი მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალობის კანონთა დაცვით, ისევე როგორც კონფიდენციალობის დაცვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავენ მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაცია იმისათვის რომ უზრუნველყოს სპორტსმენების და დამხმარე პერსონალის ინფორმირებულობა და მათი თანხმობა საჭიროების შემთხვევაში თავიანთი პირადი ინფორმაციის მიწოდებაზე კოდექსის შესაბამისად ანტიდოპინგურ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

კოდექსი თავი 15 დოპინგ კონტროლის მოვალეობების განმარტება:

15.1 ტესტირება ღონისძიებაზე

სინჯების აღება დოპინგ კონტროლისათვის უნდა ჩატარდეს როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ ღონისძიებებზე. გარდა ცალკეული შემთხვევისა, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ღონისძიების პერიოდში მხოლოდ ერთი ორგანიზაციაა პასუხისმგებელი ტესტირების ჩატარებასა და მართვაზე. საერთაშორისო ღონისძიებაზე დოპინგ კონტროლისათვის სინჯების აღება მოხდება და მართვა ჩატარდება საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის ღონისძიების მმართველი ორგანო (მაგ. საერთაშორისო

ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიურ თამაშებზე, საერთაშორისო ფედერაცია მსოფლიო ჩემპიონატზე და პან ამერიკული სპორტული ორგანიზაცია პან ამერიკულ თამაშებზე). ეროვნულ ღონისძიებებზე დოპინგ კონტროლისათვის სინჯების აღება და ანალიზი მოხდება ქვეყნის ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ.

15.1.1 თუ ანტი-დოპინგური ორგანიზაცია, რომელიც არ არის პასუხისმგებელი ღონისძიებაზე ტესტირების ჩატარებასა და ანალიზზე ცდილობს ჩაატაროს სპორტსმენთა დამატებითი ტესტირება ღონისძიების პერიოდში, მან ჯერ უნდა გამართოს მოლაპარაკება ღონისძიების მმართველ ორგანოსთან დამატებითი ტესტირების ჩატარებაზე ნებართვის მისაღებად. თუ ანტი-დოპინგური ორგანიზაცია უკმაყოფილოა ღონისძიების მმართველი ორგანოს პასუხით, მას შეუძლია ნებართვა ითხოვოს ტესტირების დამატებით ჩატარებაზე მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციისაგან და სთხოვოს განსაზღვროს დამატებითი ტესტის ჩატარების კოორდინაცია. მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტო (WADA) არ დათანხმდება დამატებითი ტესტირების ჩატარებაზე მანამდე, სანამ არ შეუთანხმდება და შეატყობინებს ღონისძიების მმართველ ორგანოს.

[შენიშვნა პუნქტზე 15.1.1: ვიდრე თანხმობას მისცემს ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, ჩაატაროს ტესტირება საერთაშორისო ღონისძიებაზე, მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაცია კონსულტაციას გადის ღონისძიების მმართველ საერთაშორისო ორგანიზაციასთან. ვიდრე თანხმობას მისცემს საერთაშორისო ფედერაციას ჩაატაროს ტესტირება ეროვნულ ღონისძიებაზე მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაცია კონსულტაციას გადის იმ ქვეყნის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან, სადაც ტარდება ღონისძიება. ტესტირების ჩამტარებელ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია არჩევის შემთხვევაში შეუთანხმდეს სხვა ორგანიზაციას და გადასცეს პასუხისმგებლობა სინჯის აღებაზე ან დოპინგ კონტროლის პროცესის სხვა ასპექტებზე.]

15.2 არასაშეჯიბრო ტესტირება

არასაშეჯიბრო ტესტირებას ატარებს და მართავს როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული ორგანიზაცია. არასაშეჯიბრო ტესტირება შეიძლება ჩატარდეს და იმართოს: (ა) მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA), (ბ) საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ან საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის ოლიმპიურ ან პარალიმპურ თამაშებთან დაკავშირებით, (გ) სპორტსმენის საერთაშორისო ფედერაციის; (დ) რომელიმე ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ, რომელსაც აქვს სპორტსმენის ტესტირების იურისდიქცია 5.1 პუნქტის შესაბამისად (ტესტის განაწილების დაგეგმვა). არასაშეჯიბრო ტესტირება შეთანხმებული უნდა იყოს ანტი-დოპინგური ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის სისტემის (ADAMS, აამს) საშუალებით, რათა მოხდეს კომბინირებული ტესტირების ეფექტურობის მაქსიმალიზაცია და თავიდან იქნეს აცილებული ინდივიდუალური სპორტსმენის განმეორებითი ტესტირება

[შენიშვნა პუნქტზე 15.2: დამატებითი უფლებამოსილების მინიჭება ტესტირების ჩატარებაზე შეიძლება მინიჭებულ იყოს ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე ხელისმომწერებსა და მთავრობებს შორის.]

15.4.1 ურთიერთაღიარება

რომელიმე ხელისმომწერის უფლება ტესტირების, მოსმენის შედეგების ან სხვა სამართლებრივი გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, რომელიც მოცემულია მე-13-ე თავში, შეესაბამება მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსის 2007 წლის ვერსიის 1.0 46 პუნქტს და არის ამ ხელისმომწერის უფლებამოსილების ჩარჩოებში, უნდა აღიაროს და პატივი სცეს ყველა სხვა ხელისმომწერმა.

[შენიშვნა პუნქტზე 15.4.1: წარსულში არსებობდა უხერხულობა ამ პუნქტის განმარტებაში თერაპიული გამოყენების ნებართვასთან დაკავშირებით. ვიდრე სხვაგვარად არ იქნება განხილული საერთაშორისო ფედერაციის წესებით ან შეთანხმებით საერთაშორისო ფედერაციასთან, ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას არ აქვს უფლებამოსილება გასცეს თერაპიული გამოყენების ნებართვა საერთაშორისო დონის სპორტსმენისათვის.]

15.4.2 ხელისმომწერებმა უნდა აღიარონ სხვა ორგანოების იგივე ქმედებები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ კოდექსის მიღებაში, მაგრამ მათი წესები ასევე შეესაბამება კოდექსს.

[შენიშვნა პუნქტზე 15.4.2: თუ იმ ორგანოს გადაწყვეტილება, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია კოდექსის მიღებაში ერთის მხრივ შეესაბამება კოდექსს და მეორეს მხრივ ეწინააღმდეგება კოდექსის პრინციპებს, ხელისმომწერები უნდა შეეცადონ, რომ მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც ჰარმონიაშია კოდექსის პრინციპებთან. მაგალითად, თუ კოდექსის შესაბამის პროცესში არა ხელისმომწერმა აღმოაჩინა, რომ სპორტსმენმა დაარღვია ანტი-დოპინგური წესი მის ორგანიზმში აკრძალული ნივთიერების არსებობით, მაგრამ დისკვალიფიკაციის პერიოდი უფრო მოკლეა, ვიდრე ამას კოდექსი ითვალისწინებს, მაშინ ყველა ხელისმომწერმა უნდა აღიაროს ანტი-დოპინგური წესის დარღვევის აღმოჩენა და სპორტსმენის ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა ჩაატაროს მოსმენა მე-8-ე თავის შესაბამისად იმის თაობაზე დაეკისროს თუ არა სპორტსმენს უფრო გრძელვადიანი დისკვალიფიკაცია კოდექსის შესაბამისად თუ არა.]

3.0 ტერმინები, განმარტებები, და ინტერპრეტაცია

3.1 2009 წლის კოდექსის განსაზღვრული ტერმინები

ADAMS: აამს: ანტი-დოპინგური ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის სისტემა, არის ინტერნეტ ტექნოლოგიებზე დამყარებული მონაცემთა ბაზის მართვის საშუალება მონაცემთა შეყვანის, შენახვის, გაზიარებისა და ანგარიშის მიწოდებისათვის შექმნილი სტეიკჰოლდერებისა და მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის (WADA) დასახმარებლად მათი ანტი-დოპინგური მოღვაწეობისათვის მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან კავშირში.

არასასურველი ანალიტიკური შედეგი: ანგარიში ლაბორატორიიდან ან მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის (WADA) მიერ დამტკიცებული ორგანიზაციიდან, რომ ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტის და დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების შესაბამისად ადასტურებს სინჯში აკრძალული სუბსტანციების ან მისი მეტაბოლიტების ან მარკერების არსებობას (ენდოგენური სუბსტანციების აწეული რაოდენობის ჩათვლით) ან აკრძალული მეთოდის გამოყენების მტკიცებულებას.

ნტიდოპინგური ორგანიზაცია (ADO) (აღმ): ხელისმომწერი, რომელიც პასუხისმგებელია წესების შემუშავებაზე დოპინგ კონტროლის პროცესის რომელიმე ნაწილის ინიციატივისათვის, განხორციელებისათვის ან დაკისრებისათვის. მათში შედიან მაგალითად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი, სხვა წამყვანი ღონისძიებების ორგანიზატორები, რომლებიც ატარებენ ტესტირებას თავიანთ ღონისძიებებზე, მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაცია (WADA), საერთაშორისო ფედერაციები, და ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციები.

სპორტსმენი: პირი, რომელიც მონაწილეობს სპორტულ ღონისძიებებში საერთაშორისო დონეზე (როგორც თითოეული საერთაშორისო ფედერაციის მიერ არის დადგენილი), ეროვნულ დონეზე (როგორც თითოეული ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ არის დადგენილი, იმ პირთა ჩათვლით და არა მარტო, რომლებიც შეყვანილი არიან ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში), და მონაწილეობს რომელიმე სხვა სპორტულ ღონისძიებებში, რომელიც იმყოფება რომელიმე ხელისმომწერის ან სპორტული ორგანიზაციის იურისდიქციის ქვეშ და რომელიც აღიარებს კოდექსს. კოდექსის ყველა პირობა, მაგალითად ტესტირება ან თერაპიული გამოყენების ნებართვა მოქმედებს ყველა საერთაშორისო და ეროვნული დონის მოასპარეხეზე. ზოგიერთ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია ჩაატაროს ტესტირება და გამოიყენოს ანტი-დოპინგური წესები გასართობი დონის ან ოსტატ მოასპარეხეებზე, რომლებიც არ არიან მიმდინარე ან

პოტენციური ეროვნული მასშტაბის მოასპარეზებები. ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს არ მოეთხოვებათ გამოიყენონ კოდექსის ყველა ასპექტი ასეთ პირებზე. შეიძლება სპეციფიური დოპინგ კონტროლის ეროვნული წესების შექმნა კოდექსთან კონფლიქტის გარეშე იმ მოასპარეზებისათვის, რომლებიც არ არიან საერთაშორისო და ეროვნული დონის სპორტსმენები. ამგვარად ქვეყანას შეუძლია ტესტირება ჩაუტაროს რეკრეაციული დონის მოასპარეზებს და არ მოითხოვოს ნებართვა თერაპიული გამოყენებისათვის ან ადგილსამყოფელის ინფორმაცია. 2.8 პუნქტის მიზნებისათვის (ადმინისტრაცია ან ადმინისტრაციის მცდელობა) და ანტი-დოპინგური ინფორმაციისა და განათლებისათვის, ყველა პირი, რომელიც მონაწილეობს სპორტულ დონისძიებებში იმ რომელიმე ხელისმომწერის, მთავრობის, ან სხვა სპორტული ორგანიზაციის იურისდიქციის ქვეშ, რომელიც ხელმძღვანელობს კოდექსით არის სპორტსმენი.

[შენიშვნა: ეს განმარტება ნათელს ხდის, რომ ყველა საერთაშორისო და ეროვნული მასშტაბის სპორტსმენი ექვემდებარება კოდექსის ანტიდოპინგურ წესებს, საერთაშორისო და ეროვნული სპორტის ზუსტი განმარტებებით, რომელიც ფორმულირებული უნდა იყოს საერთაშორისო ფედერაციებისა და ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციების ანტიდოპინგურ წესებში. ეროვნულ დონეზე კოდექსის შესაბამისად შექმნილი ანტი-დოპინგური წესები ვრცელდება როგორც მინიმუმ ეროვნული გუნდების ყველა პირზე და ყველა იმ პირზე, ვინც შერჩეულია ნებისმიერი სპორტის სახეობის ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილეობისათვის. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ასეთი სპორტსმენი შეყვანილი უნდა იყოს ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში. განმარტება ასევე უფლებას აძლევს თითოეულ ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას მისი არჩევანის შემთხვევაში გააავრცელოს თავისი ანტი-დოპინგური პროგრამა გარდა ეროვნული მასშტაბის სპორტსმენებისა, უფრო დაბალ დონეზე მოასპარეზე სპორტსმენებზე და უფრო დაბალი დონის შეჯიბრებებზე. ყველა დონეზე მოასპარეზე ყველა დონის სპორტსმენებმა უნდა მიიღონ ანტი-დოპინგური ინფორმაცია და განათლება.]

ატიაური შედეგი: შეტყობინება ლაბორატორიიდან ან სხვა მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ დანიშნული ორგანოდან, რომელიც საჭიროებს შემდგომ გამოკვლევას, ვიდრე განისაზღვრება არასასურველი ანალიტიკური შედეგი, როგორც ეს მოცემულია ლაბორატორიების საერთაშორისო სტანდარტში ან დაკავშირებულ დოკუმენტებში.

კოდექსი: მსოფლიო ანტი-დოპინგური კოდექსი

შეჯიბრი: ერთეული გარბენი, მატჩი, თამაში ან ცალკეული ათლეტური შეჯიბრი. მაგალითად, კალათბურთის თამაში ან ოლიმპიური ფინალი 100 მეტრიან გარბენში. მარათონებისა და სხვა ათლეტური შეჯიბრებისათვის,

სადაც ხდება პრიზების მინიჭება დღიური ან სხვა დროის მონაკვეთის საფუძველზე, განსხვავება შეჯიბრსა და ღონისძიებას შორის იქნება ისეთი, როგორც საერთაშორისო ფედერაციის წესებში იქნება განსაზღვრული

ანტი-დოპინგური წესების დარღვევის შედეგი: სპორტსმენის ან სხვა პირის მიერ ანტი-დოპინგური წესების დარღვევას შეიძლება მოჰყვეს შემდეგი შედეგები: (ა) დისკვალიფიკაცია ნიშნავს რომ სპორტსმენის შედეგები გარკვეულ შეჯიბრზე ან ღონისძიებაზე არის გაუქმებული მედლების, ქულების და პრიზების კონფისკაციის ჩათვლით; (ბ) შეჯიბრიდან განთავისუფლება ნიშნავს რომ სპორტსმენს ან სხვა პირს განსაზღვრული პერიოდის მანძილზე ეკრძალება რაიმე შეჯიბრში ან სხვა ღონისძიებაში მონაწილეობა ან უწყდება დაფინანსება, როგორც ეს 10.9 პუნქტშია მოცემული; და (გ) დროებითი განთავისუფლება: ნიშნავს, რომ სპორტსმენი ან სხვა პირი დროებით განთავისუფლებულია რომელიმე შეჯიბრიდან მე-8-ე თავის შესაბამისად ჩატარებული მოსმენის საბოლოო გადაწყვეტილებამდე (სამართლიანი მოსმენის უფლება).

დოპინგ კონტროლი: ყველა საფეხური და პროცესი ტესტირების განაწილების დაგეგმვიდან რაიმე სახიზრის საბოლოო გადაწყვეტილებამდე ყველა საფეხურის და პროცესის: ადგილ-სამყოფელის ინფორმაციის მიწოდების, სინჯის აღების და დამუშავების, ლაბორატორიული ანალიზის, თერაპიული გამოყენების ნებართვის, შედეგების მართვის და მოსმენების ჩათვლით.

ღონისძიება: ინდივიდუალური ღონისძიებების სერია ჩატარებული ერთი მმართველი ორგანოს მიერ (მაგ. ოლიმპიადის ოლიმპიური თამაშები და ზამთრის თამაშები, FINA მსოფლიო ჩემპიონატები, ან ფენ ამერიკული თამაშები).

საშეჯიბრო: ვიდრე სხვაგვარად არ იქნება განმარტებული საერთაშორისო ფედერაციის ან სხვა შესაბამისი ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ, "საშეჯიბრო" ნიშნავს პერიოდს შეჯიბრის დაწყებიდან თორმეტი საათით ადრე, რომელშიც სპორტსმენი მონაწილეობს და ამ შეჯიბრთან დაკავშირებული სინჯის აღების პროცესს.

დამოუკიდებელ დამკვირვებელთა პროგრამა: მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) ზედამხედველობის ქვეშ მყოფი დამკვირვებელთა გუნდი, რომელიც აკვირდება ან ხელმძღვანელობს დოპინგ კონტროლის პროცესს გარკვეულ ღონისძიებაზე და წარმოადგენს თავისი დაკვირვების ანგარიშს.

შეჯიბრიდან განთავისუფლება: იხილეთ ზემოთ ხსენებული ანტი-დოპინგური წესების დარღვევის შედეგები.

საერთაშორისო ღონისძიება: ღონისძიება, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტი, საერთაშორისო ფედერაცია, წამყვანი ღონისძიების ორგანიზატორი, ან სხვა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაცია არის მმართველი ორგანო ან ნიშნავს ტექნიკურ ოფიციალურ პირებს ღონისძიებისათვის.

საერთაშორისო ღონის სპორტსმენი: სპორტსმენი, რომელიც ერთი ან მეტი საერთაშორისო ფედერაციის მიერ არის წარდგენილი ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შეყვანისათვის საერთაშორისო ფედერაციის სახელით.

საერთაშორისო სტანდარტი: მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA) მიერ შემუშავებული სტანდარტი კოდექსის დასახმარებლად. საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობა საკმარისი იქნება დასკვნისათვის, რომ პროცედურები, რომელთაც მიმართავს საერთაშორისო სტანდარტი (წინააღმდეგ სხვა ალტერნატიული სტანდარტის, პრაქტიკის ან პროცედურისა) განხორციელებულია სწორად. საერთაშორისო სტანდარტებში შვევა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად გაცემული ყველა ტექნიკური დოკუმენტი.

უმცროსი ასაკის: ფიზიკური პირი, რომელსაც არ მიუღწევია უფროს ასაკამდე მისი ქვეყნის მოქმედი კანონების შესაბამისად.

ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია: ორგანო (ორგანოები) დანიშნული თითოეული ქვეყნის მიერ როგორც პირველადი უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის მფლობელი ანტი-დოპინგური წესების შემუშავებაზე, სინჯის აღების დანიშნაზე, ტესტის შედეგების მართვაზე, მოსმენების ჩატარებაზე, ყველაფერი ეს ეროვნულ დონეზე. ეს ასევე გულისხმობს ორგანოს, რამდენიმე ქვეყნის მიერ დანიშნულს, რომელიც მოქმედებს როგორც რეგიონალური ანტი-დოპინგური ორგანიზაცია ამ ქვეყნებისათვის. თუ ეს დანიშნა არ მომხდარა კომპეტენტური საზოგადო მოღვაწეების მიერ, ორგანო შეიძლება იყოს ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ან მის მიერ დანიშნული.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (ეოკ): ორგანიზაცია აღიარებული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეიძლება ასევე იყოს ეროვნული სპორტული კონფედერაცია იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნული სპორტული კონფედერაცია გულისხმობს ტიპური ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პასუხისმგებლობას ანტიდოპინგურ სფეროში.

წინასწარი შეტყობინების გარეშე: დოპინგ კონტროლი, რომელიც ტარდება სპორტსმენის წინასწარ გაუფრთხილებლად და სადაც სპორტსმენი მუდმივად არის კომპანიონის ზედამხედველობის ქვეშ შეტყობინებიდან სინჯის აღებამდე.

არასაშეჯიბრო: დოპინგ კონტროლი, რომელიც არ არის საშეჯიბრო.

აკრძალული სია: სია, რომელიც განსაზღვრავს აკრძალულ სუბსტანციებს და აკრძალულ მეთოდებს.

დროებითი განთავისუფლება: იხილეთ “შედგები” ზემოთ

ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა: თითოეული საერთაშორისო ფედერაციისა და ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ დადგენილი წამყვანი სპორტსმენების გაერთიანება, რომლებიც გადიან როგორც საშეჯიბრო, ასევე არასაშეჯიბრო ტესტირებას როგორც საერთაშორისო ფედერაციის ან ორგანიზაციის ტესტირების განაწილების გეგმის ნაწილი. თითოეულმა საერთაშორისო ფედერაციამ უნდა გამოაქვეყნოს იმ სპორტსმენტა სია, რომლებიც შედიან მისი ტესტირების მონაცემთა სარეგისტრაციო ბაზაში სახელებით ან სპეციფიკური კრიტერიუმებით.

სინჯი ან ნიმუში: ბიოლოგიური მასალა აღებული დოპინგ კონტროლისათვის.

[შენიშვნა: ხანდახან არსებობს პრეტენზიები, რომ სისხლის სინჯის აღება არღვევს ზოგიერთი რელიგიური ან კულტურული ჯგუფების პრინციპებს. დადგენილია, რომ ასეთი პრეტენზიებისათვის არ არსებობს საფუძველი.]

ხელისმომწერები: ის ორგანიზაციები, რომლებიც ხელს აწერენ კოდექსს და თანხმდებიან იმოქმედონ კოდექსის შესაბამისად, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, საერთაშორისო ფედერაციების, საერთაშორისო პარალიმპური კომიტეტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების, ეროვნული პარალიმპური კომიტეტების, წამყვანი ღონისძიებების ორგანიზატორების, ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციების და საერთაშორისო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ჩათვლით.

ჩარევა: შეცვლა არასინდისიერი მიზნისათვის და არასინდისიერი გზით; ცუდი გავლენის მოხდენა; არასინდისიერად ჩარევა; გართულება, შეცდომაში შეყვანა ან დათანხმება შედეგების შეცვლაზე თაღლითური გზით ან ხელის შეშლა ნორმალური პროცედურებისათვის; ან ტყუილი ინფორმაციის მიწოდება ანტი-დოპინგური ორგანიზაციისათვის.

მიზნობრივი ტესტირება: სპორტსმენების შერჩევა ტესტირებისათვის, როდესაც სპეციფიკური სპორტსმენები ან სპორტსმენტა ჯგუფებია დანიშნულ დროს არა რანდომული გზით შერჩეული.

გუნდური სპორტი: სპორტი, რომელშიც შეჯიბრის დროს შეიძლება მოთამაშეთა შეცვლა.

ტესტირება: დოპინგ კონტროლის პროცესის ნაწილი, რომელშიც შედის ტესტირების განაწილების დაგეგმვა, სინჯის აღება, სინჯის დამუშავება, სინჯის ტრანსპორტირება ლაბორატორიაში.

მაგრო (WADA): მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტო

3.2 ტესტირების საერთაშორისო სტანდარტებისათვის სპეციფიკური ტერმინები

სისხლის ამღები ოფიცერი (BCO): ოფიციალური პირი, რომელიც უფლებამოსილია ანტი-დოპინგური ორგანიზაციისაგან აიღოს სისხლის სინჯი სპორტსმენისაგან.

ზედამხედველობის ჯაჭვი: პროცესების თანამიმდევრულობა პირების ან ორგანიზაციების მიერ, რომელნიც პასუხისმგებელი არიან სინჯზე მისი აღებიდან მისი ლაბორატორიაში ანალიზისათვის მიღებამდე.

კომპანიონი: ოფიციალური პირი, რომელიც ტრენირებულია და უფლებამოსილია ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ შეასრულოს შემდეგი მოვალეობები: ტესტირებისათვის შერჩეული სპორტსმენის შეტყობინება; სპორტსმენის თანხლება და დაკვირვება დოპინგ კონტროლის სადგურამდე; და/ან სინჯის აღების თვალყურის დევნება და შემოწმება.

დოპინგ კონტროლის ოფიცერი (DCO): ოფიციალური პირი, რომელიც ტრენირებული და უფლებამოსილია ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული პასუხისმგებლობით სინჯის ადგილზე აღების პროცესის მენეჯმენტზე.

დოპინგ კონტროლის სადგური: ადგილი, სადაც ჩატარდება სინჯის აღების პროცესი.

დარღვევა: ტერმინი, რომელიც გამოიყენება ანტი-დოპინგური წესის დარღვევის აღწერისათვის კოდექსის 2.3, 2.5 და 2.8 პუნქტების შესაბამისად.

უარი რეგისტრაციაზე: უარი სპორტსმენის (ან იმ პირის, რომელსაც სპორტსმენმა დააგალა ამ დავალების შესრულება პუნქტის 11.3.6 ან 11.5.4 შესაბამისად) მიერ შეიტანოს ზუსტი და სრული ადგილ-სამყოფელის ინფორმაცია 11.3 ან 11.5.6 პუნქტების შესაბამისად.

საერთაშორისო ფედერაცია (IF): საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მართავს ერთ ან მეტ სპორტის სახეობას მსოფლიო დონეზე.

გამოტოვებული ტესტი: პირობის შეუსრულებლობა სპორტსმენის მიერ ადგილზე ხელმისაწვდომი იყოს ტესტირებისათვის იმ დღეს 60 წუთის მონაკვეთში, რომელიც მისი ადგილ-სამყოფელის მონაცემებში არის დადგენილი 11.4 ან 11.5.6 პუნქტების შესაბამისად.

ეროვნული ფედერაცია: ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მართავს ერთ ან რამდენიმე სპორტის სახეობას ეროვნულ დონეზე.

რანდომული შერჩევა: სპორტსმენების შერჩევა ტესტირებისათვის, რომელიც არ არის მიზნობრივი. რანდომული შერჩევა შეიძლება იყოს სრულიად შემთხვევითი (სადაც არ არის გათვალისწინებული არანაირი წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმი და სპორტსმენები არიან შერჩეული სიიდან ან სარეგისტრაციო ბაზიდან რაიმე საფუძვლის გარეშე); ან შეწონილი (სადაც სპორტსმენები ფასდებიან წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით, შერჩევის შესაძლებლობის გაზრდის ან შემცირებისათვის).

პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაცია (ალო): ანტი-დოპინგური ორგანიზაცია პასუხისმგებელი გარკვეული ადგილ-მდებარეობის საკითხებზე, როგორც ეს დადგენილია პუნქტში 11.5.

სინჯის ასაღები მოწყობილობა: კონტეინერები ან აპარატები გამოყენებული უშუალოდ სისხლის სინჯის აღების პროცესის დროს სისხლის ასაღებად ან შესაგროვებლად: სინჯის ასაღები აღჭურვილობა უნდა შეიცავდეს მინიმუმ:

- შარდის სინჯის ასაღებად:
 - ასაღებ ჭურჭელს სინჯის ასაღებად, როცა ის გამოდის სპორტსმენის ორგანიზმიდან;
 - ბოთლებს, რომლებიც ილუქება და დაცულია ჩარევისაგან და თავსახურებს სინჯის უსაფრთხოებისათვის;
 - სინჯის განყოფილებებიან კომპლექტს;
- სისხლის სინჯის ასაღებად:
 - ნემსები სისხლის ასაღებად;
 - სისხლის სინჯარას, რომელიც ილუქება და დაცულია ჩარევისაგან.

სინჯის ამღები პერსონალი: კვალიფიციურ ოფიციალურ პირთა ჯგუფი უფლებამოსილი ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ, რომელსაც შეუძლია შეასრულოს მოვალეობები სინჯის აღების პროცესის მსვლელობისას.

სინჯის აღების პროცესი: ყველა თანამიმდევრული ქმედება დაწყებული სპორტსმენის შეტყობინებიდან დამთავრებული მის მიერ დოპინგ კონტროლის სადგურის დატოვებამდე სინჯის ჩაბარების შემდეგ.

შესაფერისი სპეციფიური სიმძიმე ანალიზისათვის: სპეციფიური სიმძიმე 1.005 ან უფრო მეტი რეფრაქტომეტრით ან 1.010 ან მეტი ლაბორატორიული ჩხირებით.

შარდის შესაფერისი მოცულობა ანალიზისათვის: მინიმუმ 90 მ/ლ სრული ან ნაწილობრივი ანალიზისათვის.

გუნდური აქტივობა: როგორც განსაზღვრულია პუნქტში 11.5.3.

ტესტირების განაწილების გეგმა: როგორც განსაზღვრულია პუნქტში 4.2.1.

ანგარიში უშედეგო მცდელობაზე: დეტალური ანგარიში ტესტირების უშედეგო მცდელობაზე, უფრო ვრცლად არის აღწერილი პუნქტში 11.6.3(ა).

უარი ადგილ-სამყოფელის რეგისტრაციაზე: რეგისტრაციაზე უარი ან გამოტოვებული ტესტი.

ადგილ-სამყოფელის რეგისტრაცია: ინფორმაცია მოწოდებული სპორტსმენის მიერ ან მისი სახელით ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზისთვის, რომელიც ადგენს სპორტსმენის ადგილ-სამყოფელს შემდგომი კვარტლის მანძილზე 11.3 პუნქტის შესაბამისად (ან შერჩევით, თუ გუნდური სპორტია, 11.5 პუნქტის შესაბამისად).

3.3 ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის ინტერპრეტაცია

3.3.1 ვიდრე სხვაგავარად არ იქნება განმარტებული, ამ დოკუმენტში პუნქტებისათვის შენიშვნები არის შენიშვნები ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის პუნქტებისათვის.

3.3.2 შენიშვნები, რომლებიც განმარტავენ ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის სხვა და სხვა პირობებს შეტანილია საერთაშორისო სტანდარტების უკეთესად გასაგებად და განსამარტავად.

ნაწილი ორი: სტანდარტები ტესტირებისათვის

4.0 დაგეგმვა

4.1 მიზანი

მიზანი არის ტესტირების განაწილების გეგმის შემუშავება, რომელიც სპეციფიურია შესაბამისი სპორტის სახეობისა (საერთაშორისო ფედერაციის შემთხვევაში) და შესაბამისი ქვეყნისათვის (ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის შემთხვევაში). საერთო მიზანი თითოეულ შემთხვევაში არის სინჯის აღების ეფექტური განაწილების დაგეგმვა და განხორციელება როგორც საშეჯიბრო ასევე არასაშეჯიბრო ტესტირებისათვის თითოეულ ქვეყანაში, თითოეულ სპორტის სახეობაში ან სახეობის დისციპლინაში (როგორც მოქმედი), რომლის შედეგია დოპინგური პრაქტიკის ეფექტური გამოაშკარავება, შეჩერება და შემცირება ამ სპორტის სახეობაში/დისციპლინაში/ქვეყანაში.

4.2 ძირითადი

4.2.1 თითოეულმა ტესტირების იურისდიქციის მქონე ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შეიმუშავოს თავისი ტესტირების რესურსების ეფექტური და წარმატებული განაწილების გეგმა სხვა და სხვა თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი სპორტის სახეობაში (ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის შემთხვევაში), სხვა და სხვა ქვეყანაში იურისდიქციის ფარგლებში (საერთაშორისო ფედერაციების შემთხვევაში) და სხვა და სხვა დისციპლინებში მისი იურისდიქციის ქვეშ არსებული სპორტის სახეობაში(საერთაშორისო ფედერაციის და ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის შემთხვევაში). ასეთი გეგმა, რომელიც პერიოდულად უნდა იყოს შემოწმებული, შეფასებული, მოდიფიცირებული და განახლებული არის მოსხენიებული ამ საერთაშორისო სტანდარტში, როგორც “ტესტირების განაწილების გეგმა”.

[4.2 შენიშვნა: რომელიმე ანტი-დოპინგური ორგანიზაცია (ისევე როგორც ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია), რომელსაც აქვს ტესტირების იურისდიქცია ბევრ და სხვა და სხვა სპორტის სახეობაზე (მაგ. წამყვანი ღონისძიების ორგანიზატორი) ამ საერთაშორისო სტანდარტით განიხილება ისევე როგორც ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია სხვა და სხვა სპორტის სახეობაში ტესტირების განაწილების დაგეგმვასა და ტესტირების რესურსების განაწილებასთან მიმართებაში. (იხილეთ პუნქტები 4.3.1, 4.3.6, და 4.4.4).]

4.2.2 დაგეგმვა იწყება ინფორმაციის შეგროვებიდან (მაგ. შესაბამისი სპორტსმენების რაოდენობა გარკვეულ სპორტში/დისციპლინაში/ქვეყანაში, ისევე როგორც სეზონის ძირითადი სტრუქტურა სპორტისათვის/დისციპლინისათვის შეჯიბრის განრიგის, ვარჯიშის ტიპის ჩათვლით თითოეული სპორტისათვის/დისციპლინისათვის/ქვეყნისათვის); თითოეულ სპორტში/დისციპლინაში/ქვეყანაში დოპინგის და ანალოგიურად შესაძლო დოპინგის პოტენციური რისკის შეფასებიდან; შემდეგ მოდის ტესტირების განაწილების გეგმის შემუშავება, რომელიც იყენებს ხელმისაწვდომ რესურსებს ყველაზე ეფექტური და წარმატებული ხერხით ამ რისკებზე ზემოქმედებისათვის.

4.2.3 ძირითადი აქტივობებია ინფორმაციის შეგროვება, მონიტორინგი და განვითარება; რისკის შეფასება; და ტესტირების განაწილების გეგმის შემუშავება, მონიტორინგი, შეფასება, მოდიფიცირება და განახლება.

4.2.4 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ სპორტსმენის დამხმარე პერსონალი და/ან სხვა პირი, რომელსაც აქვს დაინტერესება არ მონაწილეობდეს თავისი სპორტსმენის ტესტირების განაწილების დაგეგმვაში ან სპორტსმენების ტესტირებისათვის შერჩევის პროცესში.

4.3 მოთხოვნები ტესტირების განაწილების დაგეგმვისათვის

4.3.1 ტესტირების განაწილების დაგეგმვის საფუძველი უნდა იყოს დოპინგის რისკის და შესაძლო დოპინგის ტიპის საფუძვლიანი შეფასება სპორტისათვის/დისციპლინისათვის/ქვეყნისათვის. საერთაშორისო ფედერაციის შემთხვევაში, დამატებითი შეფასების გაკეთება ამ სპორტის სახეობის თითოეული დისციპლინისათვის, ასევე მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ეროვნული ანტი-დოპინგური პროგრამის ძლიერება მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ თითოეულ ქვეყანაში, იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იყოს ტესტირების რესურსების გამოყენების სწორი კოორდინაცია და ეფექტურობა. ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის შემთხვევაში უნდა გაკეთდეს რისკის შეფასება მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი თითოეული შესაბამისი სპორტის სახეობისათვის/დისციპლინისათვის, ასევე მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი სხვა და სხვა სპორტის სახეობებისათვის ერთნაირად დამახასიათებელი რისკები, ისევე როგორც თითოეული ქვეყნის ანტი-დოპინგური პოლიტიკის მოთხოვნები და პრიორიტეტები, რომელიც უნდა იყოს დაცული სხვა და სხვა სპორტის სახეობაში.

[4.3.1 შენიშვნა: გასაგებია, რომ სხვა და სხვა ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს ექნებათ ეროვნული პოლიტიკის სხვა და სხვა მოთხოვნები და პრიორიტეტები. მაგალითად, ერთ ეროვნულ ანტიდოპინგურ

ორგანიზაციას შეიძლება ჰქონდეს კანონიერი მიზეზები უპირატესობა მიანიჭოს ოლიმპიურ სპორტულ სახეობას (ერთს ან ყველას), მაშინ როდესაც მეორეს შეიძლება ჰქონდეს კანონიერი მიზეზები ქვეყნის სხვა სპორტული მახასიათებლების გამო უპირატესობა მიანიჭოს გარკვეულ პროფესიულ სპორტის სახეობებს. ეს ეროვნული პოლიტიკის აუცილებლობები არის შესაბამისი გასათვალისწინებელი ფაქტორები ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ტესტირების განაწილების დაგეგმვაში, ისევე როგორც ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციების მიერ შესაბამისი რისკების შეფასება მათ იურისდიქციაში მეოფ სხვა და სხვა სპორტის სახეობისათვის. მაგალითად ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის გადაწყვეტილებით თავის ტესტირების განაწილების დაგეგმვაში გარკვეული პერიოდის მანძილზე, (1) თავისი იურისდიქციის ფარგლებში არ დანიშნოს ტესტირება ერთ ან რამდენიმე სპორტის სახეობაში; და/ან (2) თავის ტესტირების განაწილების გეგმაში შეიტანონ ტესტირება გარკვეულ სპორტის სახეობაში, მაგრამ არ შეიყვანონ არცერთი სპორტსმენი თავის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში ამ სპორტის სახეობიდან იმ მზნით რომ ძალაში შეიყვანოს ამ საერთაშორისო სტანდარტის მე-11-ე თავის ადგილ-სამყოფელის მოთხოვნები. (იხილეთ შემდგომში პუნქტი 4.4.4(ბ)). ასეთი გადაწყვეტილებები ხშირად უნდა განიხილოს: იხილეთ პუნქტი 4.3.11]

4.3.2 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ როგორც მინიმუმ უნდა შეაფასოს დოპინგის პოტენციური რისკი და შესაძლო დოპინგის ტიპი თითოეული სპორტისათვის/დისციპლინისათვის შემდეგზე დაყრდნობით:

- ა) სპორტული სახეობის და/ან დისციპლინის ფიზიკური მოთხოვნები და შესაძლო შესრულების გამაძლიერებელი ეფექტი, რომელიც შეიძლება დოპინგმა გამოავლინოს; T
- ბ) დოპინგის ანალიზის ხელმისაწვდომი სტატისტიკა;
- გ) დოპინგის ტენდენციის ხელმისაწვდომი კვლევა;
- დ) დოპინგის ისტორია სპორტის სახეობაში და/ან დისციპლინაში;
- ე) ვარჯიშის პერიოდი და შეჯიბრის კალენდარი; და
- ვ) მიღებული ინფორმაცია დოპინგის შესაძლო გამოყენებაზე.

4.3.3 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შეიმუშავოს და დოკუმენტად აქციოს ტესტირების განაწილების გეგმა 4.3.2 პუნქტის ინფორმაციაზე დაყრდნობით; სპორტის სახეობაში/დისციპლინაში ჩართული სპორტსმენების რაოდენობა; შეჯიბრის კალენდარი; სხვა ტესტირებაზე პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაციების სპორტულ სახეობასთან/დისციპლინასთან დაკავშირებული ანტი-დოპინგური საქმიანობა; წინა ტესტირების განაწილების გეგმის ციკლის შეფასების შედეგები; (საერთაშორისო ფედერაციების შემთხვევაში) ეროვნული ანტი-დოპინგური პროგრამის ძლიერება ქვეყანაში; და (ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციების შემთხვევაში) ეროვნული

ანტი-დოპინგური პოლიტიკის მიმართულებები, რომლებსაც ეხება პუნქტი 4.3.1.

4.3.4 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ თავის განკარგულების მიხედვით უნდა დანიშნოს სინჯის აღების გარკვეული რაოდენობა თითოეული სპორტის სახეობისათვის/დისციპლინისათვის/ქვეყნისათვის (შესაბამისად), შარდისა და სისხლის ანალიზს შორის და საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირებას შორის. რესურსების განაწილებამ შარდისა და სისხლის ტესტირებებს შორის და არასაშეჯიბრო და საშეჯიბრო ტესტირებებს შორის შეფასების საფუძველზე მხედველობაში უნდა მიიღოს ამ პერიოდში დოპინგთან დაკავშირებული რისკები თითოეული სპორტის სახეობისათვის/დისციპლინისათვის.

4.3.5 თითოეულმა საერთაშორისო ფედერაციამ უნდა შეაფასოს თავის სპორტულ სახეობაში და ამ სახეობის სხვა და სხვა დისციპლინებში არასაშეჯიბრო და საშეჯიბრო ტესტირებასთან დაკავშირებული მომგებიანობა. სპორტულ სახეობებში და დისციპლინებში, რომლებშიც მაღალია დოპინგის რისკი არასაშეჯიბრო პერიოდში, პრიორიტეტული იქნება არასაშეჯიბრო ტესტირება და ტესტირების არსებითი ნაწილი ჩატარდება არასაშეჯიბრო პერიოდში. მაგრამ გარკვეული რაოდენობა საშეჯიბრო ტესტირებისა მაინც იქნება ჩატარებული. იმ სპორტის სახეობებსა და დისციპლინებში, რომლებშიც არის დოპინგის დაბალი რისკი, პრიორიტეტული იქნება საშეჯიბრო ტესტირება, და ჩატარდება საშეჯიბრო ტესტირების მნიშვნელოვანი რაოდენობა. მაგრამ მაინც იქნება ჩატარებული არასაშეჯიბრო ტესტირების გარკვეული რაოდენობა.

4.3.6 თითოეულმა ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ თავიდანვე უნდა განსაზღვროს როგორ გაანაწილებს თავისი გადაწყვეტილების მიხედვით სინჯების აღებას თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ სხვა და სხვა სპორტულ სახეობებში, ამ სპორტის სახეობებისათვის დოპინგის შესაბამისი რისკების ანალიზზე დაყრდნობით, ისევე როგორც ეროვნულ ანტიდოპინგურ მიმართულებებზე, რომლებიც არის განხილული პუნქტში 4.3.1. განსაზღვრავს რა ამ გზით “პრიორიტეტულ” სპორტის სახეობებს, რომლებისთვისაც თავისი ტესტირების რესურსები უნდა გაანაწილოს, ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა გააკეთოს საშეჯიბრო და არასაშეჯიბრო ტესტირების მომგებიანობის შეფასება ამ “პრიორიტეტულ” სპორტულ სახეობებში. როდესაც ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია შეაფასებს რომ ამ სპორტის სახეობებში და/ან დისციპლინებში არსებობს დოპინგის მაღალი რისკი არასაშეჯიბრო პერიოდში, მან უნდა უზრუნველყოს რომ არასაშეჯიბრო ტესტირება იყოს პრიორიტეტული და წლიური ტესტირების არსებითი ნაწილი ჩატარდეს არასაშეჯიბრო პერიოდში. მაგრამ საშეჯიბრო ტესტირების გარკვეული რაოდენობა მაინც იქნება ჩატარებული. როდესაც ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია შეაფასებს საფუძველზე დაასკვნის, რომ

არასაშეჯიბრო პერიოდში არის დოპინგის დაბალი რისკი ამ სპორტის სახეობებში და/ან დისციპლინებში, პრიორიტეტული იქნება საშეჯიბრო ტესტირება და ჩატარდება საშეჯიბრო ტესტირების არსებითი რაოდენობა. მაგრამ არასაშეჯიბრო ტესტირების გარკვეული რაოდენობა მაინც იქნება ჩატარებული.

4.3.7 იმისათვის რომ შეიმუშავოს ტესტირების განაწილების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს კოორდინირებული წესით სხვა ანტი-დოპინგური ორგანიზაციების ანტიდოპინგურ საქმიანობას:

- ა) ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა კოორდინირებულად უნდა ჩაატარონ ტესტირება, იმისათვის რომ თავიდან აიცილონ დუბლირება. ღონისძიებებზე ტესტირების ჩასატარებლად შეთანხმებული უნდა იყოს როლები და მოვალეობები 15.1 პუნქტის შესაბამისად.
- ბ) ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა მათ მიერ ჩატარებული ტესტირების ინფორმაცია დროულად უნდა გაუზიარონ სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, იდეალურ შემთხვევაში ანტი-დოპინგური ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის სისტემის (აამს) საშუალებით ან სხვა მსგავსი ფუნქციონალური და დაცვითი სისტემების მქონე ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზის საშუალებით, კოდექსის 14.5 პუნქტის შესაბამისად.

4.3.8 როგორც ტესტირების განაწილების გეგმის ნაწილი, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა გაანაწილოს ტესტის ტიპი თითოეული სპორტის სახეობის/დისციპლინის/ქვეყნის შესაბამისად, შარდისა და სისხლის სინჯებს შორის ტესტის ჩათვლით, გარკვეული სპორტის სახეობისათვის/დისციპლინისათვის დოპინგის რისკის ანალიზის საფუძველზე, როგორც ეს არის აღწერილი პუნქტში 4.3.4.

4.3.9 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ ტესტირებისათვის დროის შერჩევა იყოს დაგეგმილი, რომ უზრუნველყოს დოპინგური საქმიანობის ოპტიმალური პრევენცია და გამოვლენა.

4.3.10 გამონაკლისი და დასაშვები გარემოებების გარდა, ყველა ტესტირება ჩატარდება წინასწარ გაუფრთხილებლად:

- ა) საშეჯიბრო ტესტირებისათვის შენობის მფლობელის შერჩევა შეიძლება წინასწარ იყოს ცნობილი, მაგრამ სპორტსმენის/ადგილის მფლობელის

რანდომული შერჩევა სპორტსმენისათვის არ უნდა იყოს გამხელელი შეტყობინების მიღებამდე.

- ბ) ყველა არასაშეჯიბრო ტესტირება ჩატარდება წინასწარ გაუფრთხილებლად, გარდა გამონაკლისი და დასაშვები გარემოებებისა.

4.3.11 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ თავისი ტესტირების განაწილების გეგმა უნდა შექმნას დოკუმენტის სახით და შექმნას დამხმარე სისტემა, იმისათვის რომ ტესტირების განაწილების გეგმა იყოს განხილული და, თუ საჭიროა განახლებული რეგულარულ საფუძველზე, რომ შეტანილი იყოს ახალი ინფორმაცია და გათვალისწინებული იყოს სხვა ანტი-დოპინგური ორგანიზაციების ანგარიში სინჯის აღების შესახებ.

4.4 მოთხოვნები სპორტსმენების ტესტირებისათვის შერჩევისათვის

4.4.1 ტესტირების განაწილების გეგმის განხორციელებისას, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შეარჩიოს სპორტსმენები სინჯის ჩატარებისათვის მიზნობრივი და რანდომული შერჩევის მეთოდის გამოყენებით.

4.4.2 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ტესტირების მნიშვნელოვანი რაოდენობა ტესტირების განაწილების გეგმის მიხედვით იყოს მიზნობრივი ტესტირება, დოპინგის რისკების ინტელექტუალურ შეფასებაზე დაყრდნობით და რესურსების მეტად ეფექტური გამოყენებით, რომ უზრუნველყოს ოპტიმალური შეჩერება და გამოაშკარავება. ფაქტორები, რომლებიც იქნება შესაბამისი იმის განსაზღვრისათვის თუ ვინ იქნება მიზნობრივი ტესტირების საგანი შეიცვლება სპორტის სახეობის მიხედვით, მაგრამ მათში შეიძლება შევიდეს (შეზღუდვის გარეშე) ზოგიერთი ან ყველა შემდეგი ფაქტორებისა:

- ა) არანორმალური ბიოლოგიური პარამეტრები (სისხლის პარამეტრები, სტეროიდების პროფილი და ა.შ);
- ბ) ჭრილობა;
- გ) გამოწვევა ან არ ყოფნა მოსალოდნელი შეჯიბრიდან;
- დ) სპორტიდან წასვლა ან დაბრუნება;
- ე) ქცევა დოპინგის ჩათვლით;
- ვ) შესრულების სწრაფი, მნიშვნელოვანი გაუმჯობესება
- ზ) ადგილ-სამყოფელის ინფორმაციის განმეორებით მიუწოდებლობა;
- თ) ადგილ-სამყოფელის რეგისტრაცია, რომელიც მიუთითებს დოპინგის რისკის პოტენციურ ზრდაზე, შორ მანძილზე გადასვლის ჩათვლით;
- ი) სპორტსმენის სპორტული შესრულების ისტორია;

- კ) სპორტსმენის ასაკი, მაგ. სპორტიდან წასვლის მოახლოება, ახალგაზრდულიდან უფროსი ასაკის ჯგუფში გადასვლა;
- ლ) სპორტსმენის ტესტირების ისტორია;
- მ) სპორტსმენის აღდგენა მონაწილეობიდან განთავისუფლების შემდეგ;
- ნ) ფინანსური სტიმული გაუმჯობესებული შესრულებისათვის, როგორცაა პრიზი, ფულადი პრიზი ან სპონსორობის შესაძლებლობა;
- ო) სპორტსმენის კავშირი მესამე მხარესთან, როგორცაა მწვრთნელი ან ექიმი დოპინგის გამოყენების ისტორიასთან დაკავშირებით; და
- პ) დასაყრდენი ინფორმაცია მესამე მხარისგან.

4.4.3 არამიზნობრივი ტესტირება შეიძლება განისაზღვროს რანდომული შერჩევით, რომელიც ჩატარდება ამ შერჩევის დოკუმენტალური სისტემის გამოყენებით. რანდომული შერჩევა, რომელიც არის შეწონილი ჩატარდება გამოკვეთილი კრიტერიუმების შესაბამისად და შეუძლია მხედველობაში მიიღოს 4.4.2 პუნქტში ჩამოთვლილი ფაქტორები იმისათვის, რომ უზრუნველყოს რისკის ქვეშ მყოფი სპორტსმენების მაქსიმალური პროცენტის შერჩევა ტესტირებისათვის.

4.4.4 როგორც დადგენილია პუნქტში 11.2:

- ა. ტესტირების განაწილების გეგმის შემუშავებასთან ერთად, რომელიც სპეციფიკურია თავისი სპორტისათვის, საერთაშორისო ფედერაციამ უნდა განსაზღვროს კრიტერიუმები გარკვეული სპორტსმენების საერთაშორისო სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შესაყვანად, რომლებზედაც გაგრძელდება ადგილ-სამყოფელის მოთხოვნები საერთაშორისო სტანდარტის მე-11-ე თავის შესაბამისად. ეჭვის თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო ფედერაციის ტესტირების განაწილების გეგმაში უნდა შევიდეს ყველა შესაბამისი სპორტსმენი, და არა მარტო ის სპორტსმენები, რომლებიც შედიან საერთაშორისო ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში და შესაბამისად საერთაშორისო ფედერაციამ უნდა შეარჩიოს ტესტირებისათვის სპორტსმენები (არასაშეჯიბრო ტესტირების ჩათვლით), რომლებიც არ შედიან მის საერთაშორისო ტესტირების მონაცემთა სარეგისტრაციო ბაზაში. მაგრამ ტესტირების განაწილების გეგმაში მითითებული არასაშეჯიბრო ტესტირების შესაბამისი რაოდენობა უნდა ჩაუტარდეთ სპორტსმენებს, რომლებიც შედიან საერთაშორისო ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში.
- ბ. დამატებით ტესტირების განაწილების გეგმის შემუშავებასთან ერთად, რომელიც ანაწილებს ტესტირების რესურსებს მისი იურისდიქციის

ქვეშ მყოფ ყველა სპორტის სახეობაზე, ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს კრიტერიუმები გარკვეული სპორტსმენების შესაყვანად ეროვნული ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში ზოგიერთი ან ყველა მის იურისდიქციაში მყოფი სპორტის სახეობიდან, რომლებზედაც ვრცელდება ადგილ-სამყოფელის მოთხოვნები ამ საერთაშორისო სტანდარტების მე-11-ე თავის შესაბამისად. ეჭვის თავიდან ასაცილებლად ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ტესტირების განაწილების გეგმაში უნდა შევიდეს ყველა შესაბამისი სპორტსმენი ყველა სპორტის სახეობიდან და არა მარტო ის სპორტსმენები, რომლებიც შედიან ტესტირების ეროვნულ სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში და შესაბამისად ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ტესტირებისათვის უნდა ამოირჩიოს სპორტსმენები ტესტირებისათვის (არასაშეჯიბრო ტესტირების ჩათვლით), რომლებიც არ შედიან ეროვნული ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში. მაგრამ, როდესაც გარკვეული სპორტის სახეობის სპორტსმენები შედიან ეროვნულ ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, მათ გარკვეული პროპორციით უნდა ჩაუტარდეთ არასაშეჯიბრო ტესტირება, რომელიც განკუთვნილია ამ სპორტის სახეობისათვის ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ტესტირების განაწილების გეგმაში.

[4.4.4 შენიშვნა: როგორც შემდგომში ამ საერთაშორისო სტანდარტის მე-11-ე თავშია აღწერილი, სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზის ძირითადი მიზანია განსაზღვროს შესაბამისი სპორტის სახეობების ის სპორტსმენები, რომლებზედაც ვრცელდება ამ საერთაშორისო სტანდარტის მე-11-ე თავში მოცემული ადგილ-სამყოფელის მოთხოვნები. ეს გადაწყვეტილება პრინციპულად უნდა ეყრდნობოდეს არასაშეჯიბრო დოპინგის რისკის შეფასებას სპორტის სახეობაში ან დისციპლინაში: მით უფრო დიდია ეს რისკი, რაც უფრო დიდია სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა, შესაბამისად რაც უფრო პატარაა სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა, მით უფრო მცირეა რისკი. შესაბამისად სპორტსმენთა რიცხვი სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში იცვლება სპორტის სახეობის მიხედვით. მაგრამ 11.2 პუნქტის შესაბამისად არსებობს მინიმალური მოთხოვნები სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზების შესავსებად და 4.4.4 პუნქტიდან გამომდინარე უნდა ჩატარდეს არასაშეჯიბრო ტესტირების შესაფერისი რაოდენობა ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შეყვანილ სპორტსმენებზე, როგორც ეს განსაზღვრულია ტესტირების განაწილების გეგმაში.

ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის შემთხვევაში, შესაბამისი სპორტული სახეობები იქნება ის მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი სპორტული სახეობები, რომლებსაც ის გადაწყვეტს ეროვნული პოლიტიკისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით 4.3.1 პუნქტის შესაბამისად, ისევე როგორც რისკის ფაქტორები განხილული პუნქტში 4.3.3, როგორც

“პრიორიტეტული” სპორტის სახეობა არასასეჯიბრო ტესტირებისათვის. ამ ფაქტორებზე დაყრდნობით ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია რომელიმე გარკვეული სპორტსმენი გარკვეული სპორტის სახეობიდან არ შეიყვანოს ეროვნულ ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში. გადაწყვეტილება რეგულარულად უნდა იყოს განხილული 4.3.11 პუნქტის შესაბამისად. მაგრამ თუ ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია გადაწყვეტს შეიყვანოს გარკვეული სპორტსმენი გარკვეული სპორტის სახეობიდან სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, ამ სპორტსმენს უნდა ჩაუტარდეს არასასეჯიბრო ტესტირების შესაბამისი რაოდენობა, რომელიც განსაზღვრულია ტესტირების განაწილების გეგმაში ამ სპორტის სახეობისათვის.]

4.4.5 თუ ანტი-დოპინგური ორგანიზაცია უფლებამოსილებას ანიჭებს დოპინგ კონტროლის ოფიცერს შეარჩიოს სპორტსმენები სინჯის ასაღებად, მან უნდა მიაწოდოს დოპინგ კონტროლის ოფიცერს შერჩევის კრიტერიუმები ტესტირების განაწილების გეგმის შესაბამისად.

4.4.6 სინჯის ასაღებად სპორტსმენის შერჩევის შემდეგ და სპორტსმენის შეტყობინებამდე, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ და/ან დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა უზრუნველყონ, რომ გადაწყვეტილება სპორტსმენის შერჩევის შესახებ ეცნობოს მხოლოდ საჭირო პირებს, იმისათვის რომ უზრუნველყონ სპორტსმენის შეტყობინება და ტესტირება წინასწარ გაუფრთხილებელი შეტყობინების საფუძველზე.

5.0 სპორტსმენების შეტყობინება

5.1 მიზანი

მიზანი არის ის, რომ მიღებულ იქნეს ზომები სპორტსმენის ადგილმდებარეობის დასადგენად, შერჩეულ სპორტსმენს შეტყობინება გაეგზავნოს 5.4.1 პუნქტის შესაბამისად, სპორტსმენის უფლებები იყოს დაცული, არ იყოს შესაძლებელი აღებული სინჯის მანიპულირება და შეტყობინება იყოს დოკუმენტირებული.

[5.1 შენიშვნა: მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტო მიაწოდებს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას სახელმძღვანელოს რომ დაეხმაროს მას განსაზღვრაში თუ რა ზომებია შესაფერისი სპორტსმენის ადგილმდებარეობის დასადგენად, რომელიც განხილულია მე-11-ე თავში (ადგილსამყოფელის ინფორმაცია).]

5.2 ძირითადი

შეტყობინება იწყება ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ შერჩეული სპორტსმენის შეტყობინებიდან და მთავრდება, სპორტსმენის მისვლით დოპინგ კონტროლის სადგურში ან ცნობით სპორტსმენის უარის შესახებ, რომელიც მიეწოდება ანტიდოპინგურ ორგანიზაციას.

ძირითადი ღონისძიებები:

დოპინგ კონტროლის ოფიცრების, კომპანიონების, და სხვა სინჯის ამღები პერსონალის დანიშნვა;

სპორტსმენის ადგილ-მდებარეობის დადგენა და მისი პიროვნების დადასტურება;

სპორტსმენის ინფორმირება მისი სინჯის ასაღებად შერჩევის შესახებ და მისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ; I

გაუფრთხილებელი სინჯის აღებისათვის სპორტსმენის მუდმივი კომპანიონობა შეტყობინებიდან მისი დოპინგ კონტროლის სადგურამდე მისვლამდე; და

შეტყობინების ან შეტყობინების მცდელობის დოკუმენტირება.

5.3 მოთხოვნები სპორტსმენის შეტყობინებამდე

5.3.1 *სინჯის აღების* შეტყობინების მეთოდი გამონაკლისი გარდა, უნდა იყოს *შეტყობინება წინასწარ გაუფრთხილებლად*.

5.3.2 სინჯის აღების პროცესის ჩასატარებლად ან დასასწრებად, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დანიშნოს და უფლებამოსილება მიანიჭოს სინჯის ამღებ პერსონალს, რომელსაც გავლილი აქვს ტრეინინგი ამ მოვალეობების შესრულებაზე და არ ექნებათ ინტერესთა კონფლიქტი სინჯის აღებისას თავისი მოვალეობის შესრულებისას და რომლებიც არიან სრულწლოვანი.

5.3.3 *სინჯის ამღებ პერსონალს* უნდა ჰქონდეს ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ გაცემული უფლებამოსილების ოფიციალური დოკუმენტები. დოპინგ კონტროლის ოფიცრის შემთხვევაში დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს მისი სახელი. დოპინგ კონტროლის ოფიცერს ასევე უნდა ჰქონდეს მისი საიდენტიფიკაციო ბარათი მისი სახელით და ფოტოთი (მაგ. ანტი-დოპინგური ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ბარათი, მძღოლის მოწმობა, ჯანმრთელობის ბარათი, პასპორტი ან მსგავსი მოქმედი საბუთი) და ვადით.

[5.3.3 შენიშვნა: თანმხლებ პირებს არ სჭირდებათ სურათიანი და სახელიანი დოკუმენტი. მათ უნდა წარმოადგინონ მხოლოდ ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ გაცემული უფლებამოსილების დოკუმენტი, როგორცაა ბრძანება მისიის შესრულებაზე ან უფლების მიმნიჭებელი წერილი.]

5.3.4 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დაადგინოს კრიტერიუმები სინჯის ასაღებად შერჩეული სპორტსმენის პიროვნების დადგენისათვის. ეს უზრუნველყოფს იმას რომ ის სპორტსმენი მიიღებს შეტყობინებას, რომელიც არის შერჩეული. სპორტსმენის პიროვნების დადგენის მეთოდი შეტანილი იქნება დოპინგ კონტროლის დოკუმენტაციაში.

5.3.5 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, დოპინგ კონტროლის ოფიცერმა ან კომპანიონმა უნდა დაადგინოს სპორტსმენის ადგილ-მდებარეობა და დაგეგმოს შეტყობინების მიმართვის ფორმა და დრო, სპორტის სახეობის/შეჯიბრის/ვარჯიში/და ა.შ თავისებურებების და სიტუაციის გათვალისწინებით.

5.3.6 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შექმნას სისტემა სპორტსმენის შეტყობინების დეტალური რეგისტრაციისა და შედეგებისათვის.

5.3.7 სპორტსმენი უნდა იყოს პირველი, რომელიც მიიღებს შეტყობინებას, რომ ის შერჩეულია სინჯის აღებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინასწარი კონტაქტი არის საჭირო მესამე მხარესთან 5.3.8 პუნქტის შესაბამისად.

5.3.8 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ/დოპინგ კონტროლის ოფიცერმა/კომპანიონმა უნდა გაითვალისწინოს რომ საჭიროა ჯერ მესამე მხარეს გაეგზავნოს შეტყობინება, როდესაც სპორტსმენი არის უმცროსი ასაკის (როგორც ეს მოცემულია დანართში გ ცვლილებები უმცროსი ასაკის სპორტსმენებისათვის), ან სპორტსმენის ინვალიდობის შემთხვევაში (როგორც ეს მოცემულია დანართში ბ ცვლილებები ინვალიდი სპორტსმენებისათვის), ან სიტუაციებში, სადაც საჭიროა თარჯიმანი და ხელმისაწვდომია შეტყობინებისათვის.

[5.3.8 შენიშვნა: საშეჯიბრო ტესტირების შემთხვევაში დაშვებულია ტესტირების ჩატარების შესახებ მესამე მხარის შეტყობინება, თუ საჭიროა დახმარება სინჯის ამღები პერსონალისათვის განსაზღვროს ის სპორტსმენები, რომელთაც უნდა ჩაუტარდეთ ტესტირება და შეატყობინოს ამ სპორტსმენებს რომ მას მოეთხოვება სინჯის აღება. მაგრამ არ არსებობს საჭიროება მესამე მხარის (მაგ. გუნდის ექიმი) შეტყობინებაზე დოპინგ კონტროლის მისიის შესახებ, როდესაც არ არის ასეთი დახმარების საჭიროება.]

5.4 მოთხოვნები სპორტსმენების შეტყობინებისათვის

5.4.1 როდესაც დამყარებულია პირველადი კონტაქტი, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, დოპინგ კონტროლის ოფიცერმა ან კომპანიონმა უნდა უზრუნველყოს, რომ სპორტსმენი და/ან მესამე მხარე (5.3.8 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად) იყოს ინფორმირებული:

- ა) რომ სპორტსმენს მოეთხოვება სინჯის აღება;
- ბ) ორგანოს შესახებ, რომლის შესაბამისადაც უნდა ჩატარდეს სინჯის აღება;
- გ) სინჯის აღების ტიპზე და ყველა პირობაზე, რომელიც საჭიროა იყოს დაცული სინჯის აღებამდე;
- დ) სპორტსმენის უფლებების შესახებ, შემდეგის ჩათვლით:
 - 1) ყავდეს წარმომადგენელი და თუ შესაძლებელია თარჯიმანი;
 - 2) ითხოვოს დამატებითი ინფორმაცია სინჯის აღების პროცესზე;
 - 3) ითხოვოს ანგარიშის გაგზავნის დროებით შეჩერება დოპინგ კონტროლის სადგურისათვის კანონიერი მიზეზით; და
 - 4) ითხოვოს ცვლილებების შეტანა, როგორც ეს მოცემულია დანართში ბ ცვლილებები ინვალიდი სპორტსმენებისათვის; და
- ე) სპორტსმენის პასუხისმგებლობის შესახებ, შემდეგი მოთხოვნების ჩათვლით:
 - 1) ყოველთვის დარჩეს დოპინგ კონტროლის ოფიცრის/კომპანიონის ზედამხედველობის ქვეშ მათ მიერ შეტყობინების მომენტიდან სინჯის აღების პროცედურის დამთავრებამდე;
 - 2) წარმოადგინოს პირადობა 5.3.4 პუნქტის შესაბამისად;
 - 3) დაიცვას სინჯის აღების პროცედურები (სპორტსმენს უნდა განემარტოს დაუმორჩილებლობის შესაძლო შედეგები); და
 - 4) დაუყოვნებლად წარადგინოს ანგარიში ტესტის შესახებ, თუ არ არსებობს კანონიერი მიზეზი დაგვიანებისათვის, როგორც ეს განსაზღვრულია პუნქტში 5.4.4.
- ვ) დოპინგ კონტროლის სადგურის ადგილ-მდებარეობის შესახებ.
- ზ) რომ სინჯის აღების წინ სპორტსმენმა უნდა შეარჩიოს საკვების ან სითხის მიღება, იგი ამას აკეთებს თავისი რისკის ხარჯზე და ყოველ შემთხვევაში უნდა მოერიდოს გადაჭარბებულ რეჰიდრატაციას და

ოფიქროს რომ ჩაბარებულ სინჯს ჰქონდეს ანალიზისათვის შესაბამისი სპეციფიკური სიმძიმე.

თ) რომ სპორტსმენის მიერ სინჯის ამღები პერსონალისათვის ჩაბარებული სინჯი უნდა იყოს სპორტსმენის მიერ ჩაბარებული პირველი შარდი შეტყობინების, მაგ. მან არ უნდა მოშარდოს სინჯის აღების წინ.

5.4.2 როდესაც კონტაქტი დამყარებულია, დოპინგ კონტროლის ოფიცერმა/კომპანიონმა:

ა) დაკვირვების ქვეშ უნდა ყავდეს სპორტსმენი ამ წუთიდან მის მიერ დოპინგ კონტროლის სადგურის დატოვებამდე, სინჯის აღების პროცესის დასრულებამდე.

ბ) თავისი თავი გააცნოს სპორტსმენს იმ დოკუმენტების წარდგენით, რომელიც დადგენილია პუნქტში 5.3.3.

დ) დაადასტუროს სპორტსმენის პიროვნება, 5.3.4 პუნქტში დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. სპორტსმენის პიროვნების დადასტურება სხვა მეთოდით ან უარი სპორტსმენის პიროვნების დადასტურებაზე უნდა იყოს დოკუმენტირებული და გაგზავნილი ანგარიშის სახით ანტი-დოპინგური ორგანიზაციისათვის.

ე) იმ შემთხვევაში თუ სპორტსმენის პიროვნება ვერ დადასტურდა 5.3.4 პუნქტში დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს, სწორი იქნება თუ არა მოიქცეს დანართი ა-ს შესაბამისად გამოიძიოს დამორჩილებაზე შესაძლო უარი.

5.4.3 მაშინ კომპანიონმა/დოპინგ კონტროლის ოფიცერმა ხელი უნდა მოაწერინოს სპორტსმენს შესაბამის ფორმას, რომ ცნობს და იღებს შეტყობინებას. თუ სპორტსმენი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს ფორმას, რომ მან მიიღო შეტყობინება, კომპანიონმა/დოპინგ კონტროლის ოფიცერმა, თუ შესაძლებელია უნდა აუხსნას სპორტსმენს უარის ან დაუმორჩილებლობის შესაძლო შედეგების შესახებ და კომპანიონმა (თუ არა დოპინგ კონტროლის ოფიცერმა) ყველა ამ ფაქტის შესახებ უნდა მოახსენოს დოპინგ კონტროლის ოფიცერს. როდესაც შესაძლებელი იქნება დოპინგ კონტროლის ოფიცერი გააგრძელებს სინჯის აღებას. დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა ჩაიწეროს ფაქტები დეტალური ანგარიშის სახით და შემთხვევის შესახებ შეატყობინოს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას. ანტი-დოპინგური ორგანიზაცია მიჰყვება შემდეგ საფეხურს, რომელიც აღწერილია დანართში ა შესაძლო დაუმორჩილებლობის გამოძიება.

5.4.4 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა/კომპანიონმა თავისი შეხედულების მიხედვით შეიძლება გაითვალისწინონ რომელიმე მესამე მხარის დასაბუთებული მოთხოვნა ან სპორტსმენის თხოვნა ანგარიშის მოგვიანებით

გაზაგნაზე დოპინგ კონტროლის სადგურისათვის და შემდეგ ცნოს და მიიღოს შეტყობინება და/ან დოპინგ კონტროლის სადგურის დროებით დატოვებაზე მისვლისთანავე და დართოს ნებართვა ასეთ თხოვნაზე, თუ სპორტსმენი მუდმივად იქნება კომპანიონის მეთვალყურეობის ქვეშ და თუ თხოვნა ეხება შემდეგ ქმედებებს:

საშეჯიბრო ტესტირების დროს:

- ა) გამარჯვების ცერემონიაში მონაწილეობა;
- ბ) მედია მოვალეობების შესრულება;
- გ) შემდეგ შეჯიბრებში მონაწილეობა;
- დ) მოთელვის შესრულება;
- ე) სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიღება;
- ვ) წარმომადგენლის ან თარჯიმნის მოძებნა;
- ზ) ფოტო დადასტურების მიღება;
- თ) რაიმე სხვა გარემოება, რომელიც შეიძლება იყოს გამართლებული და დასაბუთებული.

არასაშეჯიბრო ტესტირებისათვის:

- ა) წარმომადგენლის მოძებნა;
- ბ) ვარჯიშის პროცესის დასრულება;
- გ) აუცილებელი სამედიცინო დახმარების მიღება;
- დ) ფოტო დადასტურების მიღება;
- ე) რაიმე სხვა გარემოება, რომელიც შეიძლება იყოს გამართლებული და დასაბუთებული.

5.4.5 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა ან სხვა უფლებამოსილმა სინჯის ამღებმა პერსონალმა უნდა ჩაიწეროს დოპინგ კონტროლის სადგურისათვის ანგარიშის მიწოდების დაგვიანების ყველა მიზეზი და/ან დოპინგ კონტროლის დატოვების მიზეზი, რომელიც შეიძლება საჭიროებდეს ანტი-დოპინგური ორგანიზაციის შემდგომ გამოძიებას. სპორტსმენის მიერ მუდმივად მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნის პირობის დარღვევა ასევე უნდა იყოს ჩაწერილი.

5.4.6 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა/კომპანიონმა უარი უნდა უთხრას სპორტსმენს ანგარიშის დაგვიანებით გაგზავნაზე, თუ შეუძლებელი იქნება სპორტსმენის მუდმივი მეთვალყურეობა.

5.4.7 თუ სპორტსმენი დაავიანებს ანგარიშის მიწოდებას დოპინგ კონტროლის სადგურისათვის 5.4.4 პუნქტის შესაბამისობის დარღვევით, მაგრამ დაბრუნდება დოპინგ კონტროლის ოფიცრის წასვლამდე, დოპინგ კონტროლის ოფიცერი გადაწყვეტს განიხილოს თუ არა პირობის შეუსრულებლობა. თუ საერთოდ შესაძლებელია დოპინგ კონტროლის ოფიცერი განაგრძობს სინჯის აღებას, და იწერს დაგვიანების ყველა დეტალს სპორტსმენის ანგარიშის ფორმაში, რომელიც იგზავნება დოპინგ კონტროლის სადგურში.

5.4.8 თუ სპორტსმენის დაკვირვების პროცესში სინჯის ამღები პერსონალი აღმოაჩენს, რომ ტესტის ჩატარება საფრთხის ქვეშ დგას, შემთხვევა უნდა ეცნობოს დოპინგ კონტროლის ოფიცერს და მან უნდა ჩაიწეროს ეს. თუ დოპინგ კონტროლის ოფიცერი საჭიროდ ჩათვლის, იგი შეასრულებს დანართის ა მოთხოვნებს გამოიძიებს პირობის შესაძლო დარღვევას და/ან აიღებს დამატებით სინჯს სპორტსმენისაგან.

6.0 მომზადება სინჯის აღების პროცესისათვის

6.1 მიზანი

სინჯის აღების პროცესისათვის მომზადება იმ მეთოდით, რომ პროცესი ჩატარდეს ეფექტურად და წარმატებულად.

6.2 ძირითადი

სინჯის აღების პროცესი იწყება პროცესის ეფექტური ჩატარების შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების სისტემის დანერგვით და მთავრდება იმით, როდესაც დასტურდება, რომ სინჯის აღების აღჭურვილობა აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს.

ძირითადი ქმედებები:

- ა) სისტემის დანერგვა სინჯის აღების დეტალების შეგროვებისათვის;
- ბ) კრიტერიუმების დანერგვა, იმისათვის თუ ვინ უნდა ესწრებოდეს სინჯის აღების პროცესს;
- გ) უზრუნვეყოფა იმისა, რომ დოპინგ კონტროლის სადგური აკმაყოფილებდეს 6.3.2 პუნქტში აღწერილ მინიმალურ კრიტერიუმებს;
- დ) უზრუნვეყოფა იმისა, რომ სინჯის აღების აღჭურვილობა აკმაყოფილებდეს 6.3.4 პუნქტში აღწერილ მინიმალურ კრიტერიუმებს.

6.3 მოთხოვნები სინჯის აღების პროცესისათვის მოსამზადებლად

- 6.3.1 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დანერგოს სისტემა საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად რომ უზრუნველყოს სინჯის აღების პროცესის ეფექტურად ჩატარება, სპეციალური მოთხოვნების ჩათვლით, რომელიც ეხება ინვალიდ სპორტსმენებს (როგორც ეს მოცემულია დანართში ბ ცვლილებები ინვალიდი სპორტსმენებისათვის), ისევე როგორც მოთხოვნები ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის (როგორც ეს მოცემულია დანართში გ ცვლილებები ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის).
- 6.3.2 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა გამოიყენოს ის დოპინგ კონტროლის სადგური, რომელიც როგორც მინიმუმ უზრუნველყოფს სპორტსმენის ანონიმურობას და რომელიც გამოიყენება მხოლოდ როგორც დოპინგ კონტროლის სადგური სინჯის აღების პროცესის მანძილზე. დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა ჩაიწეროს ყველა გადახვევა ამ კრიტერიუმებიდან.
- 6.3.3 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა დანერგოს კრიტერიუმები თუ ვინ შეიძლება დაესწროს სინჯის აღების პროცესს გარდა სინჯის აღები პერსონალისა. როგორც მინიმუმ კრიტერიუმებში უნდა შედიოდეს:
- ა) სპორტსმენის უფლება ახლდეს თავისი წარმომადგენელი და/ან თარჯიმანი სინჯის აღების პროცესში გარდა შარდის აღების პროცესისა;
 - ბ) ახალგაზრდა სპორტსმენის უფლება (როგორც ეს მოცემულია დანართში გ ცვლილებები ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის), იყოლიოს მოწმე დოპინგ კონტროლის ოფიცრის/კომპანიონის უჭლებამოსილების გასაკონტროლებლად შარდის სინჯის აღების დროს, მაგრამ წარმომადგენლის გარეშე, რომელიც უშუალოდ აკვირდება შარდის სინჯის აღების პროცესს, სანამ ახალგაზრდა სპორტსმენი არ ითხოვს ამას;
 - გ) ინვალიდი სპორტსმენის უფლება ახლდეს წარმომადგენელი, როგორც ეს მოცემულია დანართში ბ ცვლილებები ინვალიდი სპორტსმენებისათვის;
 - დ) მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს დამოუკიდებელი დამკვირვებელი, სადაც მოქმედებს დამოუკიდებელი დამკვირვებლის პროგრამა. მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს დამკვირვებელი უშუალოდ არ დაესწრება შარდის სინჯის აღებას.

6.3.4 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს სინჯის აღების აღჭურვილობის სისტემა, რომელიც აკმაყოფილებს როგორც მინიმუმ შემდეგ კრიტერიუმებს:

- ა) აქვს უნიკალური დანომრვის სისტემა, ყველა ბოთლის, კონტეინერის, სინჯარის ან სხვა საგნებს, რომლებიც გამოიყენება ნიმუშის დასაღუქად;
- ბ) აქვს დაღუქვის ისეთი სისტემა, რომელიც ნათელს ხდის ჩარევას;
- გ) უზრუნველყოფს, რომ სპორტსმენის სახელი არ ჩანდეს აღჭურვილობაზე; და
- დ) უზრუნველყოფს, რომ ყველა აღჭურვილობა იყოს სუფთა და დაბეჭდილი სპორტსმენის მიერ მის გამოყენებამდე.

6.3.5 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შექმნას სისტემა სინჯების დაცვის ჯაჭვის ჩაწერისათვის და სინჯის აღების დოკუმენტირებისათვის, რომელშიც შედის დადასტურება იმისა, რომ ორივე - სინჯის და სინჯის აღების დოკუმენტაცია მივა დანიშნულების ადგილზე.

[6.3.5 შენიშვნა; ინფორმაცია თუ როგორ არის შენახული სინჯი , ვიდრე დატოვებს დოპინგ კონტროლის სადგურს შეიძლება ჩაიწეროს მისი შემდგომ ანგარიშში. როდესაც სინჯი წაღებული იქნება დოპინგ კონტროლის სადგურიდან, სინჯის თითოეული გადაცემის უსაფრთხოება ერთი პირიდან მეორეზე, მაგალითად დოპინგ კონტროლის ოფიცრიდან კურიერზე, ან დოპინგ კონტროლის ოფიცრიდან ლაბორატორიაზე უნდა იყოს დოკუმენტირებული, სანამ სინჯი მივა დანიშნულების ადგილამდე.]

7.0 სინჯის აღების პროცესის ჩატარება

7.1 მიზანი

სინჯის აღების პროცესის ჩატარება, იმ მეთოდით რომელიც უზრუნველყოფს სინჯის მთლიანობას, უსაფრთხოებას და პირადობას და პატივს ცემს სპორტსმენის პრივატულობას.

7.2 ძირითადი

სინჯის აღების პროცესი იწყება სინჯის აღების პროცესის ჩატარების სრული პასუხისმგებლობის დადგენით და მთავრდება როდესაც შეივსება სინჯის აღების დოკუმენტაცია.

ძირითადი ქმედებები:

- ა) სინჯის ასაღებად მომზადება;

- ბ) სინჯის აღება და დაცვა; და
- გ) სინჯის აღების დოკუმენტაციის შედგენა.

7.3 მოთხოვნები სინჯის აღებამდე

7.3.1 ანტი-დოპინგური ორგანიზაცია პასუხისმგებელი უნდა იყოს სინჯის აღების პროცესის სრულ ჩატარებაზე, დოპინგ კონტროლის ოფიცერისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მინიჭებით.

7.3.2 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა უზრუნველყოს სპორტსმენის ინფორმირება მისი უფლებების და პასუხისმგებლობის შესახებ 5.4.1. პუნქტის შესაბამისად.

7.3.3 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა მისცეს სპორტსმენს ჰიდრატაციის საშუალება. სპორტსმენმა თავიდან უნდა აიცილოს გადაჭარბებული რეჰიდრატაცია, და იფიქროს მოთხოვნაზე ჩააბაროს შესაფერისი სპეციფიკური სიმძიმის სინჯი ანალიზისათვის.

7.3.4 სპორტსმენი დატოვებს დოპინგ კონტროლის სადგურს მხოლოდ დოპინგ კონტროლის ოფიცრის/კომპანიონის მუდმივი დაკვირვების ქვეშ და დოპინგ კონტროლის ოფიცრის ნებართვით. დოპინგ კონტროლის ოფიცერი მხედველობაში იღებს სპორტსმენის დასაბუთებულ თხოვნას დატოვოს დოპინგ კონტროლის სადგური, როგორც ეს დადგენილია პუნქტში 5.4.5 და 5.4.6, ვიდრე სპორტსმენი შეძლებს სინჯის ჩაბარებას.

7.3.5 თუ დოპინგ კონტროლის ოფიცერი ნებას დართავს სპორტსმენს დატოვოს დოპინგ კონტროლის სადგური, დოპინგ კონტროლის ოფიცერი უნდა დაეთანხმოს სპორტსმენს დატოვების შემდეგ პირობებზე:

- ა) სპორტსმენის მიზანი დატოვოს დოპინგ კონტროლის სადგური;
- ბ) დაბრუნების დრო (ან დაბრუნება შეთანხმებული ქმედების დასრულების შემდეგ);
- გ) რომ სპორტსმენი უნდა დარჩეს მუდმივი დაკვირვების ქვეშ;
- დ) სპორტსმენმა არ უნდა მოშარდოს, სანამ ის არ დაბრუნდება დოპინგ კონტროლის სადგურში; და

დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა ჩაიწეროს სპორტსმენის გასვლის და დაბრუნების ზუსტი დრო.

7.4 მოთხოვნები სინჯის აღებისათვის

7.4.1 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა აიღოს სინჯი სპორტსმენისაგან სინჯის აღების სპეციფიკური მეთოდით შემდეგი პროტოკოლის დაცვით:

- ა) დანართი ა: შარდის სინჯის აღება;
- ბ) დანართი ე: სისხლის სინჯის აღება.

7.4.2 სპორტსმენის ან სპორტსმენთან დაკავშირებული პირის რაიმე ქცევა ან გადახრა, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სინჯის აღებას დეტალურად ჩაიწერება დოპინგ კონტროლის ოფიცრის მიერ. თუ საჭირო იქნება ანტი-დოპინგური ორგანიზაცია ძალაში შეიყვანს დანართს ა პირობის შესაძლო შეუსრულებლობის გამოძიება.

7.4.3 თუ გაჩნდება ეჭვი სინჯის წარმომავლობაზე ან ორიგინალობაზე, სპორტსმენს თხოვენ სინჯის ხელმეორედ აღებას. თუ სპორტსმენი უარს ამბობს დამატებითი სინჯის აღებაზე, დოპინგ კონტროლის ოფიცერმა დეტალურად უნდა ჩაიწეროს უართან დაკავშირებული გარემოებები და ანტი-დოპინგური ორგანიზაცია ძალაში შეიყვანს დანართს ა პირობის შესაძლო შეუსრულებლობის გამოძიება.

7.4.4 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა სპორტსმენს საშუალება უნდა მისცეს ჩაწეროს პრობლემები, რომელიც მას შეიძლება ჰქონოდა სინჯის აღების პროცესის დროს.

7.4.5 სინჯის აღების პროცესის დროს ჩაწერილი უნდა იყოს როგორც მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია:

- ა) თარიღი, დრო და შეტყობინების ტიპი (წინასწარ გაუფრთხილებლად, წინასწარ გაფრთხილებით, საშეჯიბრო, არასაშეჯიბრო);
- ბ) დოპინგ კონტროლის სადგურში მისვლის დრო;
- გ) სინჯის ჩაბარების თარიღი და დრო;
- დ) სპორტსმენის სახელი;
- ე) სპორტსმენის დაბადების თარიღი;
- ვ) სპორტსმენის სქესი;
- ზ) სპორტსმენის სახლის მისამართი და ტელეფონის ნომერი;
- თ) სპორტსმენის სპორტის სახეობა და დისციპლინა;
- ი) სპორტსმენის მწვრთნელის და ექიმის სახელები;
- კ) სინჯის კოდის ნომერი;

- ლ) დამსწრე დოპინგ კონტროლის ოფიცრის/კომპანიონის სახელი და ხელმოწერა;
- მ) სისხლის ამღები ოფიცრის სახელი და ხელმოწერა; (სადაც საჭიროა);
- ნ) მოთხოვნის შესაბამისი ლაბორატორიული ინფორმაცია სინჯზე;
- ო) ლაბორატორიეს მიერ დადგენილი პერიოდის მანძილზე მიღებული მედიკამენტები და დანამატები და ბოლოს პერიოდის მანძილზე ჩატარებული სისხლის გადასხმის დეტალები (თუ ჩატარებული აქვს), განცხადებული სპორტსმენის მიერ;
- პ) რაიმე დარღვევა პროცედურების დროს;
- ჟ) სპორტსმენის შენიშვნები ან ჩივილი სინჯის აღების პროცესთან დაკავშირებით, თუ არის წარმოდგენილი;
- რ) სპორტსმენის თანხმობა ტესტის მონაცემთა ანტი-დოპინგური ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის სისტემაში (აამს) შეყვანაზე;
- ს) სპორტსმენის თანხმობა ან უარი კვლევის მიზნით სინჯის გამოყენებაზე;
- ტ) სპორტსმენის წარმომადგენლის სახელი და ხელმოწერა (თუ ჰყავს), 7.4.6 პუნქტის შესაბამისად;
- უ) სპორტსმენის სახელი და ხელმოწერა; და
- ფ) დოპინგ კონტროლის ოფიცრის სახელი და ხელმოწერა.

7.4.6 სინჯის აღების პროცესის დამთავრებისას სპორტსმენი და დოპინგ კონტროლის ოფიცერი ხელს აწერენ შესაბამის დოკუმენტაციას, რომლითაც თანახმა არიან, რომ დოკუმენტები სიზუსტით ასახავს სპორტსმენის სინჯის აღების პროცესის დეტალებს, სპორტსმენის რაიმე ჩივილის ჩათვლით. სპორტსმენი და მისი წარმომადგენელი (თუ ჰყავს) ორივე ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტაციას, თუ სპორტსმენი არის უმცროსი ასაკის. სხვა პირებს, რომლებიც ფორმალურად ესწრებოდნენ სინჯის აღების პროცესს შეუძლიათ ხელი მოაწერონ დოკუმენტაციას, როგორც პროცედურების მოწმეებმა.

7.4.7 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა სპორტსმენს უნდა გადსცეს სინჯის აღების პროცესის ჩანაწერთა ასლი, რომელსაც სპორტსმენმა ხელი მოაწერა.

8.0 უსაფრთხოება/ტესტირების შემდგომი ადმინისტრაცია

8.1 მიზანი

უზრუნველყოს დოპინგ კონტროლის სადგურში ჩატარებული სინჯის აღების და და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის უსფრთხოება მათი დოპინგ კონტროლის სადგურიდან წაღებამდე.

8.2 ძირითადი

ტესტირების შემდგომი ადმინისტრაცია იწყება, როდესაც სპორტსმენი დატოვებს დოპინგ კონტროლის სადგურს სინჯის ჩაბარების შემდეგ და მთავრდება ყველა აღებული სინჯისა და სინჯის აღების დოკუმენტაციის ტრანსპორტირებისათვის მომზადებით.

8.3 მოთხოვნები უსაფრთხოებისათვის/ტესტირების შემდგომი ადმინისტრაციისათვის

8.3.1 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა სინჯის შენახვას იმ მეთოდით რომელიც დაიცავს მათ მთლიანობას, იდენტურობას და უსაფრთხოებას ვიდრე მოხდება მათი ტრანსპორტირება დოპინგ კონტროლის სადგურიდან. დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა სინჯი დაცული იყოს ამ კრიტერიუმების შესაბამისად.

8.3.2 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ/დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა შეიმუშავოს სისტემა, იმისათვის რომ თითოეული სინჯი და თითოეული სინჯის დოკუმენტაცია იყოს სრული და დამუშავებული უსაფრთხოდ.

8.3.3 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შეიმუშავოს სისტემა, რომ უზრუნველყოს საჭიროების შემთხვევაში ჩასატარებელი ანალიზის ტიპზე ინსტრუქციები მიეწოდოს მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის აკრედიტებულ ლაბორატორიას, ან როგორც ამას მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაცია დაადგენს.

9.0 სინჯების და დოკუმენტაციის ტრანსპორტირება

9.1 მიზანი

- ა) სინჯების და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მიტანის უზრუნველყოფა მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებულ ლაბორატორიაში ან როგორც მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაცია გადაწყვეტს გაკეთდეს საჭირო ანალიზი შესაფერის პირობებში და
- ბ) გარანტირებული იყოს სინჯის აღების პროცესის დოკუმენტაციის დროულად და უსაფრთხოდ გაგზავნა დოპინგ კონტროლის ოფიცრის მიერ ანტი-დოპინგური ორგანიზაციისათვის.

9.2 ძირითადი

ტრანსპორტირება იწყება, როდესაც სინჯები და დაკავშირებული დოკუმენტაცია ტოვებს დოპინგ კონტროლის სადგურს და მთავრდება სინჯების და სინჯის აღების პროცესის დოკუმენტაციის მიღების დასტურით დანიშნულების ადგილზე.

ძირითადი ქმედება არის სინჯების და დაკავშირებული დოკუმენტაციის უსაფრთხო ტრანსპორტირება მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის (WADA) აკრედიტირებულ ლაბორატორიაში ან როგორც მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაცია გადაწყვეტს და სინჯის აღების პროცესის დოკუმენტაციის უსაფრთხო ტრანსპორტირება ანტიდოპინგურ ორგანიზაციაში.

9.3 მოთხოვნები სინჯის და დოკუმენტაციის ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის

9.3.1 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ტრანსპორტირების სისტემა, რომელიც გარანტირებს სინჯების და დოკუმენტაციის ტრანსპორტირებას იმ მეთოდით, რომელიც დაიცავს მათ მთლიანობას, იდენტურობას და უსაფრთხოებას.

9.3.2 სინჯების ტრანსპორტირება მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის აკრედიტირებულ ლაბორატორიაში ყოველთვის უნდა მოხდეს ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ უზრუნველყოფილი ტრანსპორტირების მეთოდით შეძლებისდაგვარად სწრაფად სინჯის აღების პროცესის დასრულებიდან. სინჯები უნდა იყოს ტრანსპორტირებული იმ მეთოდით, რომელიც ამცირებს მათი დაზიანების შესაძლებლობას ისეთი ფაქტორებით, როგორცაა დროის ხანგრძლივობა და ტემპერატურის ექსტრემალური ცვალებადობა.

[9.3.2 შენიშვნა: ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა ტრანსპორტირების მოთხოვნები გარკვეული მისიებისათვის უნდა განიხილონ იმ ლაბორატორიებთან, რომელთაც იყენებენ სინჯების ანალიზისათვის, რომ

დაადგინონ რა არის აუცილებელი (მაგ. საჭიროა სინჯების ცივად თუ გაყინულ მდგომარეობაში ტრანსპორტირება) ამ მისიების გარკვეულ პირობებში.]

9.3.3 სინჯებთან და დაკავშირებულ დოკუმენტაციასთან ერთად არ უნდა იყოს გაგზავნილი სპორტსმენის პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებულ ლაბორატორიაში ან სხვა მის მიერ დამტკიცებულ ორგანიზაციაში.

9.3.4 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა შესაბამისი სინჯის აღების პროცესის დოკუმენტაცია უნდა გაუგზავნოს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ ნებადართული ტრანსპორტირების მეთოდით შეძლებისდაგვარად სწრაფად სინჯის აღების პროცესის დამთავრებიდან.

9.3.5 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ შეიძლება შეამოწმოს უსაფრთხოების ჯაჭვი თუ არ არის დადასტურებული სინჯების და მისი შესაბამისი დოკუმენტაციის ან სინჯის აღების პროცესის დოკუმენტაციის მიღება არ არის დადასტურებული მათი დანიშნულების ადგილიდან ან დარღვეულია სინჯის მთლიანობა ან იდენტურობა ტრანსპორტირების დროს. ამ შემთხვევაში ანტი-დოპინგური ორგანიზაცია გადაწყვეტს გაუქმდეს თუ არა სინჯი.

9.3.6 სინჯის აღების პროცესთან ან ანტი-დოპინგური წესების დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია უნდა შეინახოს ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ მინიმუმ 8 წლის განმავლობაში კოლექსის მე-17-ე თავის შესაბამისად.

10.0 სინჯების მფლობელობა

10.1 ანტი-დოპინგური ორგანიზაცია, რომლის ინიციატივითაც ტარდება ტესტირება არის სპორტსმენისაგან აღებული სინჯის მფლობელი.

10.2 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, რომლის ინიციატივითაც ტარდება ტესტირება სინჯებზე მფლობელობა შეიძლება გადასცეს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელიც უფლებამოსილია ტესტირების შედეგების მართვაზე.

11.0 მოთხოვნები სპორტსმენის ადგილმდებარეობის შესახებ.

11.1 მიზანი/ძირითადი პრინციპები

11.1.1 აღიარებული და მიღებულია, რომ (ა) არასაშეჯიბრო ტესტირების წინასწარ გაუფრთხილებელი შეტყობინება ყველაზე ეფექტური დოპინგ კონტროლია; და (ბ) სპორტსმენის ადგილმდებარეობის ზუსტი ინფორმაციის გარეშე ასეთი ტესტირება იქნება არაეფექტური და ხშირად შეუძლებელი.

[11.1.1 შენიშვნა: ასეთი აღიარება არის ფუნდამენტალური განმარტება, რომელიც ხაზგასმულია კოდექსის 2.4 პუნქტში და ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის ამ მე-11-ე თავში.]

11.1.2 ამიტომ ტესტირების განაწილების გეგმის შემუშავებასთან ერთად ამ საერთაშორისო სტანდარტის მე-4-ე თავის შესაბამისად, თითოეულმა საერთაშორისო ფედერაციამ და ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შექმნას სპორტსმენების ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა, რომელიც ეთანხმება საერთაშორისო ფედერაციის და ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს: იხილეთ პუნქტი 11.2 და გუნდურ სპორტთან დაკავშირებით პუნქტი 11.5. სპორტსმენები, რომლებიც შედიან ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, იქნებიან ტესტირების საგანი და მოეთხოვებათ ემორჩილებოდნენ სპორტსმენის ადგილმდებარეობის მოთხოვნებს, რომლებიც დადგენილია მე-11-ე თავში: იხილეთ კოდექსის 14.3 პუნქტი.

11.1.3 სპორტსმენს, რომელიც შედის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში მოეთხოვებათ ადგილმდებარეობის ინფორმაციის რეგისტრაცია მოახლოვებული კვარტალისათვის, ინფორმაციის დაზუსტებით თუ სად იცხოვრებს, ივარჯიშებს და სად მიიღებს შეჯიბრში მონაწილეობას მომდევნო კვარტლის მანძილზე, რომ შესაძლებელი იყოს მისი მოძებნა ტესტირებისათვის მომდევნო კვარტლის ნებისმიერ დროს: იხილეთ 11.3 პუნქტი. ამის შეუსრულებლობა უდრის რეგისტრაციის შეუსრულებლობას და აქედან გამომდინარე ადგილმდებარეობის მოთხოვნების შეუსრულებლობას კოდექსის 2.4 პუნქტის თანახმად.

11.1.4 სპორტსმენს, რომელიც შედის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში ასევე მოეთხოვება მომდევნო კვარტლის ადგილმდებარეობის მონაცემებში შეიტანოს ცალკე გამოყოფილი 60 წუთი განსაზღვრული ტესტირებისათვის და მიუთითოს თუ როდის და სად იქნება ხელმისაწვდომი ამ პერიოდის მანძილზე: იხილეთ პუნქტი 11.4. ეს არ ზღუდავს სპორტსმენის მოვალეობას ხელმისაწვდომი იყოს ტესტირებისათვის ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას. არ ზღუდავს მის მოვალეობასაც მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც აღწერილია პუნქტში 11.3 და რომელიც შეეხება მის ადგილმდებარეობას ამ განსაზღვრული 60 წუთის პერიოდის გარდა. მაგრამ თუ სპორტსმენი არ არის ხელმისაწვდომი მისი ადგილმდებარეობის ინფორმაციაში

შეტანილი ტესტირებისათვის გამოყოფილი 60 წუთის პერიოდში და არ განუახლებია მისი ადგილმდებარეობის ინფორმაციის რეგისტრაცია და არ წარმოუდგენი ახალი 60 წუთიანი პერიოდი ტესტირებისათვის, ეს მოთხოვნის შეუსრულებლობა ჩაითვლება გამოტოვებულ ტესტად და შესაბამისად ადგილმდებარეობის რეგისტრაციის მოთხოვნის შეუსრულებლობად კოდექსის 2.4 პუნქტის შესაბამისად.

[11.14 შენიშვნა: გამოყოფილი 60 წუთიანი პერიოდის მიზანია დამყარდეს ბალანსი სპორტსმენის ტესტირებისათვის ადგილმდებარეობის დადგენის საჭიროებასა და სპორტსმენზე გამოტოვებული ტესტისათვის შესაძლო პასუხისმგებლობის დაკისრების არაპრაქტიკულობასა და უკანონობას შორის, ადგილის გამოცვლის ყოველ ჯერზე ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც დანერგეს ადგილსამყოფელის სისტემა 2008 წლამდე ასახეს ეს უხერხულობა სხვა და სხვა გზით. ზოგიერთმა მოითხოვა “24/7” ადგილ-სამყოფელის ინფორმაცია, მაგრამ არ ჩათვალა შემთხვევა გამოტოვებულ ტესტად, როდესაც სპორტსმენი არ იმყოფებოდა იქ, სადაც თქვა რომ იქნებოდა, მანამდე, ვიდრე (ა) მიუხედავად სატელეფონო შეტყობინებისა მან მაინც ვერ მოახერხა განახლებული ინფორმაციის მიწოდება; ან (ბ) მეორე დღეს არ იმყოფებოდა იქ, სადაც მან თქვა რომ იქნებოდა ტესტირებისათვის. სხვებმა მოითხოვეს სპორტსმენის მხოლოდ ერთი საათის ადგილ-სამყოფელის ინფორმაცია დღის განმავლობაში, მაგრამ ანგარიშგაღებულნი დატოვეს სპორტსმენი ამ პერიოდის მანძილზე, რაც თითოეული მხარისათვის ქმნის გარკვეულობას, მაგრამ ზღუდავს ანტი-დოპინგური ორგანიზაციის შესაძლებლობას ჩაუტაროს სპორტსმენს ტესტირება სხვა დროს, ამ ერთი საათის გარდა. ადგილ-სამყოფელთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე სტეიკჰოლდერებთან კონსულტაციის შემდეგ, მიღებული იქნა აზრი, რომ საუკეთესო გზა გაიზარდოს შანსი სპორტსმენის ნებისმიერ დროს პოვნისა იყო თითოეული სისტემის ელემენტების კომბინირება, მაგ. ადგილ-სამყოფელის ინფორმაციის გამუდამება “24/7“-ის საფუძველზე, მაშინ როდესაც გამოტოვებული ტესტის გამოვლენა იზღუდება მხოლოდ 60 წუთიან პერიოდამდე. (იმისათვის რომ განხილულ იყოს, თუ როგორ ხდება ამის პრაქტიკაში განხორციელება, იხილეთ 11.4.1 პუნქტის შენიშვნა

11.15 ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შეყვანილი სპორტსმენის ტესტირების იურისდიქცია შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას (იხილეთ კოდექსის მე-15-ე თავი) და შესაბამისად (როდესაც სპორტსმენის ტესტირების მცდელობა არის წარუმატებელი და დაკმაყოფილებულია 11.5.3 პუნქტის მოთხოვნები) შეუძლია გააკეთოს გამოტოვებული ტესტირების ჩანაწერი სპორტსმენის წინააღმდეგ, ეს გამოტოვებული ტესტირება აღიარებული იქნება სხვა ანტი-დოპინგური ორგანიზაციების მიერ კოდექსის 15.4 პუნქტის შესაბამისად.

11.16 სპორტსმენი, რომელიც შედის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში და სამჯერ მიყოლებით არ შეასრულებს მოთხოვნას ადგილმდებარეობის ინფორმაციის რეგისტრაციის შესახებ თვრამეტ თვიანი პერიოდის განმავლობაში, ჩაითვლება ანტი-დოპინგური წესის დამრღვევად

კოდექსის 2.4 პუნქტის შესაბამისად (ადგილმდებარეობის მოთხოვნების შეუსრულებლობისა და გამოტოვებული ტესტის რაიმე კომბინაცია, რაც მთლიანობაში შეადგენს სამს) მიუხედავად იმისა რომ ანტი-დოპინგური ორგანიზაცია განიხილავს ამას როგორც ადგილმდებარეობის მოთხოვნის შეუსრულებლობის შესაძლებლობას.

[11.1.6 შენიშვნა: მაშინ როდესაც ადგილ-სამყოფელის მოთხოვნის ერთხელ დარღვევა არ განიხილება, როგორც ანტი-დოპინგური წესის დარღვევა კოდექსის 2.4 პუნქტის თანახმად, შეიძლება ჩაითვალოს ანტი-დოპინგური წესის დარღვევად, თუ გარემოებები მეტად სკანდალურია კოდექსის 2.3 სტატიის (სინჯის აღებისათვის თავის არიდება) და/ან კოდექსის 2.5 სტატიის (დოპინგ კონტროლის პროცესში ჩარევა ან ჩარევის მცდელობა) შესაბამისად. არაფერი არ არის გათვალისწინებული ამ საერთაშორისო სტანდარტში რომ შეეწინააღმდეგოს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას განიხილოს ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევა ანტი-დოპინგური წესის დარღვევად ერთი ან ორივე ასეთი სტატიის თანახმად, სადაც გარემოებები აძლევს უფლებას. (შესაძლებლობა დაეყრდნოს ამას, როგორც ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევას კოდექსის 2.4 სტატიის შესაბამისად).

ამ მე-11-ე პუნქტში დადგენილი ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების საგანი არიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებიც შედიან ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში კოდექსის 14.3 პუნქტის შესაბამისად. სხვა სპორტსმენები არ არიან ამ ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების საგანი. მაგრამ მიუხედავად ამისა ამ საერთაშორისო სტანდარტით არაფერი არ უშლის ხელს ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს განახორციელონ სხვა და სხვა ადგილ-სამყოფელის მოთხოვნები იმ სპორტსმენებზე, რომლებიც არ შედიან ტესტირების საერაგისტრაციო მონაცემთა ბაზაში. მაგალითად:

- ა. როდესაც გარემოება უფლებას აძლევს, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია განსაზღვროს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი გარკვეული “მაღალი რისკის” სპორტსმენები, რომლებიც იქნებიან მკაცრი ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების საგანი (როგორცაა ტესტირებისათვის გამოყოფილი პერიოდების რაოდენობის გაზრდა, რომლის მანძილზეც სპორტსმენი პასუხისმგებელი იქნება გამოტოვებული ტესტისათვის, თუ არ იქნება ხელმისაწვდომი ტესტირებისათვის, მაგ. რეგულარული ვარჯიშის პერიოდი); და/ან
- ბ. ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია აირჩიოს სპორტსმენები (მაგალითად ის სპორტსმენები, რომლებიც იყვნენ უფრო ფართო ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, რომელიც მას ჰქონდა საერთაშორისო სტანდარტის 4.0 ძალაში შესვლამდე), რომლებიც იქნებიან ადგილ-სამყოფელის უფრო ნაკლები მოთხოვნების საგანი (მაგ. საცხოვრებლის, ვარჯიშის, შეჯიბრის და სხვა რეგულარული აქტივობის ადგილის რეგისტრაცია და არა

ტესტირებისათვის სპეციალურად გამოყოფილი 60 წუთიანი პერიოდის ადგილის რეგისტრაცია).

ამ მეთოდით ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია შექმნას სხვადასხვა სპექტრის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზები, სხვა და სხვა ადგილ-სამყოფელის მოთხოვნებით თითოეული ბაზისათვის და რომელიმე ასეთი მოთხოვნის შეუსრულებლობა განიხილება, როგორც ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების შეუსრულებლობა კოდექსის 2.4 პუნქტის შესაბამისად.

განსხვავება გამოჩნდება, როდესაც საქმე ეხება ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევის კომბინაციას სხვა და სხვა წესების თანახმად. როდესაც სპორტსმენი შედის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, მხოლოდ ამ მე-11-ე თავის მიხედვით მის მიმართ წაყენებული ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევა უნდა იყოს კომბინირებული კოდექსის 2.4 პუნქტის მიზნებისათვის. როდესაც სპორტსმენი არის სხვა ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, რომელზეც მოქმედებს სხვა ადგილ-სამყოფელის მოთხოვნები, მაშინ ანტი-დოპინგური ორგანიზაციის წესები, რომლებსაც შეყავს ის ამ მონაცემთა ბაზაში განსაზღვრავს თუ რომელი სხვა წესების მიხედვით წაყენებული ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევა შეიძლება გაერთიანდეს ანტი-დოპინგური ორგანიზაციის წესებთან კოდექსის 2.4 სტატიის შესაბამისად.]

11.1.7 11.1.6 პუნქტში ნახსენები 18 თვიანი პერიოდი იწყება იმ დღიდან, როდესაც სპორტსმენი დაარღვევს ადგილ-მდებარეობის მოთხოვნებს. მასზე არ მოქმედებს ამ 18 თვის მანძილზე ჩატარებული რომელიმე წარმატებული სინჯის აღების პროცესი, მაგ. თუ 18 თვის მანძილზე ადგილი ექნება ადგილ-მდებარეობის მოთხოვნების სამჯერ შეუსრულებლობას, მაშინ ჩადენილია კოდექსის 2.4 ანტი-დოპინგური წესის დარღვევა, იმის გაუთვალისწინებლად რომ სპორტსმენს ამ 18 თვის მანძილზე წარმატებით ჩაუტარდა სინჯის აღება. მაგრამ თუ სპორტსმენმა, რომელმაც ერთხელ ჩაიდინა ადგილ-მდებარეობის მოთხოვნის დარღვევა, და შემდგომში ამ 18 თვის მანძილზე არ დაურღვევია ადგილმდებარეობის მოთხოვნები, მისი პირველი ადგილმდებარეობის მოთხოვნების შეუსრულებლობა უქმდება 11.1.6 პუნქტის თანახმად.

[11.1.7 შენიშვნა: თუ სპორტსმენი ორჯერ დაარღვევს ადგილ-მდებარეობის მოთხოვნებს, მაგრამ შემდეგ მესამეჯერ აღარ დაარღვევს 18 თვის მანძილზე პირველი დარღვევიდან, მაშინ პირველი დარღვევა “უქმდება” და 18 თვის ათვლა იწყება ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების მეორე დარღვევიდან.

იმ მიზნით, რომ განისაზღვროს მოხდა თუ არა ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების შეუსრულებლობა 11.1.6 პუნქტის შესაბამისად:

- ა. ჩაითვლება რომ ადგილი პქონდ რეგისტრაციის მოთხოვნების შეუსრულებლობას, თუ სპორტსმენი არ დაარეგისტრირებს თავის ადგილ-სამყოფელის მონაცემებს კვარტლის პირველ დღეს (თუ ადგილი

ექნება მომდევნო რეგისტრაციის მოთხოვნების შეუსრულებლობას იგივე კვარტალში) ან ბოლო დღეს, რომელიც 11.3.8 პუნქტის შესაბამისად ითვლება საბოლოო ვადად. და

ბ. ჩაითვლება, რომ ადგილი ჰქონდა ტესტის გამოტოვებას, თუ დანიშნულ დღეს სინჯის აღების მცდელობა იყო წარუმატებელი.]

11.1.8 გარდამავალი შეთანხმებები:

ა. ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის ეს 2009 წლის იანვრის ვერსია, ადგილმდებარეობის მოთხოვნების შეუსრულებლობის პირობების ჩათვლით, რომლებიც წარმოდგენილია სხვადასხვა ანტი-დოპინგური ორგანიზაციების მიერ კოდექსის 2.4 პუნქტის შესაბამისად ვრცელდება ყველა ადგილმდებარეობის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაზე, რომელსაც ადგილი ექნება 2009 წლის 1 იანვრის შემდეგ.

[11.1.8 (ა) შენიშვნა: ამ სტანდარტიდან არაფერი არ უშლის ხელს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელმაც თავისი ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა შექმნა 2009 წლის 1 იანვრამდე, ამ პუნქტის მიზნებისათვის შეატყობინოს თავის სპორტსმენებს, რომ ისინი შეყვანილი არიან მონაცემთა ბაზაში და შეაგროვოს მათგან ადგილ-სამყოფელის მონაცემები 2009 წლის 1 იანვარს დაწყებული კვარტლისათვის.]

ბ. თუ სპორტსმენმა დაარღვია 18 თვიან პერიოდთან დაკავშირებული ადგილმდებარეობის მოთხოვნები ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მაშინ მოქმედი წესების შესაბამისად 2009 წლის 1 იანვრამდე, საკითხი, შეიძლება თუ არა ასეთი მოთხოვნების დარღვევა კომბინირებული იყოს ერთმანეთთან და/ან 2009 წლის 1 იანვრის შემდეგ ადგილ-მდებარეობის მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებულ მიღებული წესების თანახმად კოდექსის 2.4 პუნქტის მიზნებისათვის უნდა განისაზღვროს კოდექსის 25.2 პუნქტის გამოყენებით.

[11.1.8 შენიშვნა: ამ სტანდარტების მიხედვით არაფერი ეწინააღმდეგება ანტიდოპინგურ ორგანიზაციას გაითვალისწინოს თავის წესებში სხვა ანტი-დოპინგური ორგანიზაციების მიერ აღიარებული ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევის ცნობა, მაშინაც კი, როდესაც ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ ამ მოთხოვნების დარღვევის სახალხოდ გამოცხადება მოხდა 2009 წლის 1 იანვრამდე. გარდა ამისა ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია ზედამხედველობის ქვეშ აიყვანოს სპორტსმენი, რომ მოხდეს 2009 წლის 1 იანვრამდე და მას

შემდეგ ჩადენილი ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევის კომბინირება კოდექსის 2.4 სტატიის თანახმად.]

11.2 მოთხოვნები ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზის შესაქმნელად

11.2.1 თითოეულმა საერთაშორისო ფედერაციამ უნდა განსაზღვროს კრიტერიუმები თავისი სპორტის სახეობის სპორტსმენებისათვის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შესაყვანად და უნდა გამოაქვეყნოს ეს კრიტერიუმები, ასევე იმ სპორტსმენთა სია, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმებს (და ასე არიან შეყვანილი ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში) განსახილველი პერიოდის მანძილზე. გამოყენებულმა კრიტერიუმებმა უნდა ასახონ საერთაშორისო ფედერაციის მიერ არასაშეჯიბრო დოპინგის რისკის ფაქტორების შეფასება ამ სპორტის სახეობაში: იხილეთ 4.2 პუნქტი. მაშინ როდესაც ეს კრიტერიუმები იცვლება (აქედან გამომდინარე სპორტსმენთა რაოდენობა ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში) სპორტის სახეობების მიხედვით, საერთაშორისო ფედერაციამ უნდა შეძლოს იმის ჩვენება, რომ მან გააკეთა შესაბამისი რისკების სწორი შეფასება და მიიღო შესაბამისი კრიტერიუმები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

[11.2.1 შენიშვნა: როგორც ძირითადი პრინციპი ითვალისწინებს, ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში უნდა შედიოდნენ სპორტსმენები, რომლებიც რეგულარულად მონაწილეობენ უმაღლესი დონის საერთაშორისო შეჯიბრებში (მაგ. ოლიმპიური, პარალიმპიური, მსოფლიო ჩემპიონატის მედლების კანდიდატები), განსაზღვრული თანრიგის ან სხვა შესაფერისი კრიტერიუმების მიხედვით. 4.4.4 პუნქტის თანახმად ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შესულმა სპორტსმენებმა უნდა გაიარონ გარკვეული რაოდენობის არასაშეჯიბრო ტესტირება, რომელიც დადგენილია საერთაშორისო ფედერაციის ტესტირების განაწილების გეგმაში.

ვარიანტები გუნდური სპორტის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზის შექმნისათვის ნახეთ პუნქტი 11.5.1]

11.2.2 თითოეულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს კრიტერიუმები სპორტსმენების შესაყვანად თავის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში იმ სპორტის სახეობებიდან რომლებიც შეტანილია მისი ტესტირების განაწილების გეგმაში, და უნდა გამოაქვეყნოს ეს კრიტერიუმები და ასევე იმ სპორტსმენთა სია, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კრიტერიუმებს (და ამის მიხედვით არიან შეყვანილი ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში) განსახილველი პერიოდის განმავლობაში. გამოყენებულმა

კრიტიკიუმებმა უნდა ასახონ ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ არასაშეჯიბრო დოპინგის რისკის ფაქტორების შეფასება ამ სპორტის სახეობაში (იხილეთ პუნქტი 4.3) და ასევე ეროვნული ანტი-დოპინგური პოლიტიკის მიმართულებები, ასახული პუნქტში 4.3.1. მაშინ როდესაც ეს კრიტიკიუმები იცვლება ქვეყნების მიხედვით, ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შეძლოს იმის ჩვენება, რომ მან გააკეთა შესაბამისი რისკების სწორი შეფასება და მიიღო შესაფერისი კრიტიკიუმები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

[11.2.2 შენიშვნა: როგორც ძირითადი პრინციპი ითვალისწინებს ეროვნულ ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში უნდა შევიდნენ სპორტსმენები (1) რომლებზედაც ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას აქვს იურისდიქცია და რომლებიც შეყვანილი არიან საერთაშორისო ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში; (2) სპორტსმენები, რომლებიც არიან ეროვნული გუნდის წევრები ოლიმპიურ, პარალიმპიურ და სხვა მაღალი დონის ღონისძიებებზე (ან რომლებიც შერჩეული არიან ასეთი გუნდებისათვის); და (3) სპორტსმენები, რომლებიც ვარჯიშობენ დამოუკიდებლად, მაგრამ ასპარეზობენ ოლიმპიური/პარალიმპიური ან მსოფლიო ჩემპიონატის დონეზე და შეიძლება იყვნენ შერჩეული ასეთი ღონისძიებებისათვის.

მიზეზის მაგალითი, თუ რატომ შეიძლება ერთ-ერთი ამ კატეგორიის გარკვეული სპორტსმენი არ შედიოდეს ეროვნულ ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში იქნებოდა ის თუ ეს შეეწინააღმდეგებოდა ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ეროვნულ ანტიდოპინგურ მიმართულებებს, როგორც ეს აღწერილია პუნქტში 4.3.1. გარკვეული სპორტის სახეობის სპორტსმენებმა, რომლებიც შედიან ეროვნულ ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, 4.4.4 პუნქტის შესაბამისად უნდა გაიარონ გარკვეული რაოდენობის არასაშეჯიბრო ტესტირება, რომელიც დადგენილია ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ტესტირების განაწილების გეგმაში.]

11.2.3 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ თავის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში უნდა შეიყვანოს თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი (ა) ის სპორტსმენები, რომლებიც განთავისუფლებული არიან შეჯიბრებში მონაწილეობისაგან (იხილეთ კოდექსის 10.11 პუნქტი); და (ბ) თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ის სპორტსმენები, რომლებმაც დატოვეს სპორტი, როდესაც ისინი შედიოდნენ მის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში და უნდათ დაბრუნდნენ აქტიურ სპორტში მონაწილეობისათვის (იხილეთ კოდექსის 5.4 პუნქტი). ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია თავის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შეიყვანოს ის სპორტსმენები, რომელთა ტესტირებასაც მიზნად ისახავს.

11.24 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ პერიოდულად უნდა განიხილოს და განაახლოს საჭიროების შემთხვევაში მისი კრიტერიუმები სპორტსმენების ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შეყვანისათვის. ამასთან ერთად ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა განიხილოს მის მიერ გამოქვეყნებული სპორტსმენთა სია, რომლებიც შედიან მის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, იმისათვის რომ უზრუნველყოს რომ თითოეული სიაში შესული სპორტსმენი ისევ აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმებს. სპორტსმენები, რომლებიც აღარ აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს, ამოღებული უნდა იყვნენ ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზიდან და სპორტსმენები, რომლებიც აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს, დამატებული უნდა იყვნენ ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაზე. ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ მათი სტატუსის ცვლილების შესახებ უნდა აცნობოს ასეთ სპორტსმენებს და გამოაქვეყნოს ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზის სპორტსმენთა ახალი სია დაგვიანების გარეშე.

[11.24 შენიშვნა: იხილეთ პუნქტი 11.5.2, რომ განიხილოთ ამ 11.24 პუნქტის მოქმედება გუნდთან მიმართებაში ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებით.]

11.25 სპორტსმენმა, რომელიც შეყვანილია ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში უნდა გააგრძელოს ადგილმდებარეობის მოთხოვნების დამორჩილება, რომელიც დადგენილია მე-11-ე თავში, მანამდე ვიდრე:

- ა. იგი არ მიიღებს წერილობით შეტყობინებას პასუხისმგებელი ანტიდოპინგური ორგანიზაციისაგან, რომ ის ამოღებულია მისი ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზიდან; ან
- ბ. იგი მიდის სპორტიდან მოქმედი წესების შესაბამისად და წერილობით შეტყობინებას უგზავნის თავის საერთაშორისო ფედერაციას ან ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას ან ორივეს.

[11.25 (ა) შენიშვნა: მოქმედი წესები შეიძლება ასევე მოითხოვდეს, რომ სპორტიდან წასვლის შეტყობინება გაეგზავნოს სპორტსმენის ეროვნულ ფედერაციას.]

როდესაც სპორტსმენი ტოვებს და შემდეგ ბრუნდება სპორტში, მისი წასვლის პერიოდი/ხელმიუწვდომლობა არასაშეჯიბრო ტესტირებისათვის იგნორირებული იქნება. შედეგად, სპორტსმენის მიერ ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების შეუსრულებლობა სპორტიდან წასვლამდე და სპორტში დაბრუნების შემდეგ შეიძლება იყოს კომბინირებული კოდექსის 2.4 პუნქტის შესაბამისად. მაგალითად, თუ სპორტსმენმა სპორტიდან წასვლის 12 თვით ადრე ორჯერ დაარღვია ადგილ-სამყოფელის მოთხოვნები და დაბრუნებიდან 6 თვის მანძილზე

კიდევ ერთხელ დაარღვევს ამ მოთხოვნებს, კოდექსის 2.4 პუნქტის თანახმად ეს შეესაბამება ანტი-დოპინგური წესის დარღვევას.]

11.2.6 კოორდინაციის მიზნით, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ მის მიერ დადგენილი სპორტსმენების ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შეყვანის კრიტერიუმები, მის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შესულ სპორტსმენტა მოქმედი სია და ცვლილებები, თუ საჭიროა უნდა მიაწოდოს სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს და მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას; იხილეთ კოდექსის 14.3 პუნქტი.

11.3 მოთხოვნები ადგილმდებარეობის ინფორმაციის რეგისტრაციისათვის

[11.3 შენიშვნა: ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ ანტი-დოპინგური ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის სისტემა (აამს) რომ განახორციელონ ინფორმაციის გაცვლა მოთხოვნილი ამ მე-11-ე პუნქტით.

ამ 11.3 პუნქტის მოქმედების განხილვის მიზნით გუნდურ სპორტთან მიმართებაში იხილეთ პუნქტი 11.5.5.]

11.3.1 პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ დანიშნულ დღეს, თითოეული კვარტლის პირველი დღის წინა პერიოდში (მაგ. 1 იანვარი, 1 აპრილი, 1 ივლისი და 1 ოქტომბერი, შესაბამისად), სპორტსმენმა, რომელიც შედის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში უნდა დაარეგისტრიროს ადგილმდებარეობის მონაცემები თავის საერთაშორისო ფედერაციასთან ერთად (თუ სპორტსმენი შედის თავის საერთაშორისო ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში) ან თავის ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან ერთად (თუ სპორტსმენი შედის თავის ეროვნულ ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში), რომელშიც შედის არა ნაკლებ შემდეგი ინფორმაციისა:

[11.3.1 შენიშვნა: თუ სპორტსმენი შედის საერთაშორისო ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში და ამავდროულად შედის ეროვნულ ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, მაშინ მისი საერთაშორისო ფედერაცია და ეროვნული ანტი-დოპინგური ფედერაცია უნდა შეთანხმდნენ იმაზე, თუ რომელი იქნება პასუხისმგებელი მიიღოს ადგილ-სამყოფელის ინფორმაცია და შეატყობინონ სპორტსმენს შესაბამისი გადაწყვეტილება. თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული, მაშინ ამას გადაწყვეტს მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაცია. სპორტსმენმა თავისი ადგილ-სამყოფელის ინფორმაცია უნდა გადასცეს მხოლოდ პასუხისმგებელ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელიც თავის მხრივ ამ ინფორმაციას მიაწოდებს საერთაშორისო ფედერაციას /ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და სხვა სპორტსმენის ტესტირების

იურისდიქციის მქონე ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს 11.7.3 (გ) პუნქტის თანახმად. ასევე შემთხვევაში, აუცილებელი იქნება საერთაშორისო ფედერაციამ/ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, რომელიც არ არის პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაცია, შეატყობინოს სპორტსმენს, რომ ის ასევე შედის მის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, 11.7.1 (ბ) პუნქტის შესაბამისად.]

- ა. სრული საფოსტო მისამართი, რომელზედაც სპორტსმენს გაეგზავნება კორესპონდენცია ოფიციალური შეტყობინების გაგზავნის მიზნით. მოიაზრება, რომ ყველა შეტყობინება ან სხვა რაიმე გზავნილი ამ მისამართზე უნდა მივიდეს ხუთ სამუშაო დღეში მისი გაგზავნიდან;

[11.3.1 შენიშვნა: ამ მიზნისათვის სპორტსმენმა უნდა წარმოადგინოს მისამართი, რომელზედაც ის ცხოვრობს ან ის მისამართი, რომელზეც მიღებული გზავნილი მაშინვე მიეწოდება მას. ანტიდოპინგურ ორგანიზაციამ თავის წესებში შეუძლია შეიტანოს ამ ძირითად შეტყობინებასთან ერთად სხვა სახის დამატებითი შეტყობინება (მაგალითად უფლება მისცეს ფაქსის, ელ-ფოსტის, შ შ ტექსტის ან სხვა სახის შეტყობინების გამოყენების; დაუშვას შეტყობინება მიეწოდოს სპორტსმენის საერთაშორისო ფედერაციას, თუ იგი დაბრუნდება უკან იმ მისამართიდან, რომელიც სპორტსმენმა წარმოადგინა). ასეთი პირობების მიზანია შემცირდეს შედეგების მართვის გრაფიკი, რომელიც დადგენილია 11.6 პუნქტში.]

- ბ. დეტალები სპორტსმენის ავადმყოფობაზე, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს პროცედურებზე სინჯის აღების პროცესის დროს;
- გ) სპორტსმენის სპეციალური თანხმობა, რომ მისი ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია გადაეცეს სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს უფლებამოსილება ტესტირება ჩაუტაროს მას: იხილეთ კოდექსის 14.6 პუნქტი;
- დ. იმ ადგილის სრული მისამართი, სადაც სპორტსმენი იცხოვრებს მომდევნო კვარტლის თითოეულ დღეს (მაგ. სახლი, დროებითი საცხოვრებელი, სასტუმრო და ა.შ.);
- ე. დასახელება და მისამართი იმ ადგილის, სადაც სპორტსმენი ივარჯიშებს, იმუშაებს ან განახორციელებს სხვა რეგულარულ აქტივობებს (მაგ. სკოლა) მომდევნო კვარტლის თითოეულ დღეს, ასევე ამ რეგულარული აქტივობების გრაფიკი; და

[11.3.1 შენიშვნა: ეს მოთხოვნა ეხება მხოლოდ რეგულარულ აქტივობებს, მაგ. აქტივობები, რომლებიც არის სპორტსმენის ყოველდღიური აქტივობების ნაწილი. მაგალითად თუ სპორტსმენის ყოველდღიურ აქტივობებში შედის ვარჯიში დარბაზში, აუზზე და

ბილიკზე, და რეგულარული ფიზიო პროცესები, სპორტსმენმა უნდა შეიტანოს დარბაზის, აუზის, ბილიკის და ფიზიოს დასახელება და მისამართი თავის ადგილ-სამყოფელის მონაცემებში, და შემდეგ შეადგინოს თავისი განრიგი, მაგ. “ორშაბათი”: 9-11 დარბაზი, 13-17 დარბაზი; სამშაბათი: 9-11 დარბაზი, 16—18 დარბაზი; ოთხშაბათი: 9-11 ბილიკი, 3-5 ფიზიო; ხუთშაბათი: 9-12 დარბაზი, 16-18 ბილიკი; პარასკევი: 9-11 აუზი, 3-5 ფიზიო; შაბათი: 9-12 ბილიკი, 13-15 აუზი; კვირა: 9-11 ბილიკი, 13-15 აუზი”.

თუ სპორტსმენი მიმდინარე პერიოდში არ ვარჯიშობს, მან თავის ადგილ-სამყოფელის მონაცემებში უნდა შეიტანოს ის ყოველდღიური აქტივობები, რომლებსაც ის განახორციელებს მომდევნო კვარტლის მანძილზე, მაგ. მისი სამსახურის განრიგი, სკოლის განრიგი, ან რეაბილიტაციის განრიგი, ან სხვა და თითოეული ადგილ-მდებარეობის დასახელება და მისამართი, სადაც ეს აქტივობა ხორციელდება.]

- ზ. სპორტსმენის საშეჯიბრო განრიგი მომდევნო კვარტლის მანძილზე, თითოეული შეჯიბრის დასახელება, მისამართი, და თარიღი, სადაც სპორტსმენს დაგეგმილი აქვს შეჯიბრში მონაწილეობის მიღება მომდევნო კვარტლის განმავლობაში.

11.3.2 ადგილმდებარეობის მონაცემებში ასევე უნდა შედიოდეს ერთი 60 წუთიანი შუალედი დღის 6 საათიდან საღამოს 11 საათამდე თითოეული დღის განრიგში მომდევნო კვარტლის მანძილზე, როდესაც ის ხელმისაწვდომი იქნება ტესტირებისათვის გარკვეულ ადგილზე.

[11.3.2 შენიშვნა: სპორტსმენმა უნდა აირჩიოს ადგილი, სადაც ამ 60 წუთის მანძილზე იქნება ხელმისაწვდომი. ეს შეიძლება იყოს მისი სახლი, ვარჯიშის ან შეჯიბრის ადგილი ან სხვა ადგილი (მაგ. სამსახური ან სკოლა). თუ სპორტსმენი არ იქნება ხელმისაწვდომი ტესტირებისათვის დაგეგნილ ადგილზე დადგენილ დროს, ეს ჩაითვლება გამოტოვებულ ტესტედ 11.6.3 პუნქტის შესაბამისად.]

11.3.3 ადგილმდებარეობის მონაცემების რეგისტრაციისას სპორტსმენი პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ საჭირო ინფორმაცია ზუსტი, დეტალური, იმისათვის რომ ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, რომელიც აპირებს ტესტირების ჩატარებას კვარტლის რომელიმე დღეს შეძლოს მისი ადგილ-მდებარეობის მოძებნა ამ 60 წუთიანი შუალედის და არა მარტო, მანძილზე, რომელიც მითითებულია მისი ადგილმდებარეობას რეგისტრირებულ მონაცემებში.

[11.3.3 შენიშვნა: პასუხისმგებელმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ანტი-დოპინგური ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის სისტემა (აამს) (ან სხვა ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზა მსგავსი ფუნქციისა და დაცვის) ან

სხვა ელექტრონული, ქაღალდის ფორმა უნდა გახადოს ხელმისაწვდომი სპორტსმენისათვის, რომ მან ეს ფორმა გამოიყენოს ადგილ-სამყოფელის მონაცემების შესატანად. მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაცია შექმნის ფორმის ნიმუშს ანტი-დოპინგური ორგანიზაციების მიერ გამოსაყენებლად.

[თუ სპორტსმენმა წინასწარ ზუსტად არ იცის თუ როგორი იქნება მისი ადგილ-სამყოფელის ინფორმაცია მომდევნო კვარტლის განმავლობაში, მან უნდა უზრუნველყოს საუკეთესო ინფორმაცია იმაზე დაყრდნობით თუ სად აპირებს ყოფნას შესაბამის დროს და შემდგომში განახლოს ეს ინფორმაცია საჭიროების მიხედვით 11.4.2 პუნქტის შესაბამისად. ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა უნდა შექმნან საჭირო მექანიზმი (მაგ. ტელეფონი, ფაქსი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა), რომ განხორციელდეს ასეთი განახლებული ინფორმაციის შევსება.

თავისი ადგილ-სამყოფელის ინფორმაციის შეტანისას (მისი კვარტალური ან განახლებული ინფორმაცია) სპორტსმენმა უნდა უზრუნველყოს ზუსტი მონაცემები, რო ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ შეძლოს მისი ადგილ-მდებარეობის პოვნა, მისვლა და სპორტსმენის მოძებნა. მაგ. ჩანაწერი “სირბილი ულრან ტყეში” არ არის საკმარისი და შედეგი იქნება ადგილ-სამყოფელის მოთხოვნის შეუსრულებლობა. ასევე ისეთი ადგილ-მდებარეობის შეტანა, სადაც დოპინგ კონტროლის ოფფიცერს არ შეუშვებენ (მაგ. შენობა, სადაც აკრძალულია შესვლა), შედეგი იქნება სპორტსმენის ტესტირების უშედეგო მცდელობა და შესაბამისად ადგილ-სამყოფელის მოთხოვნის შეუსრულებლობა.

ასეთ პირობებში არსებობს რამდენიმე შესაძლებლობა:

- ა. როდესაც ანტიდოპინგურ ორგანიზაციას თვითონ შეუძლია განსაზღვროს, რომ ინფორმაცია არ არის სრულყოფილი ადგილ-სამყოფელის მონაცემების რეგისტრაციაში, მან ასეთ შემთხვევას უნდა მიანიჭოს ადგილ-სამყოფელის მოთხოვნის აშკარა შეუსრულებლობის სტატუსი 11.6.2 პუნქტის შესაბამისად.
- ბ. თუ ანტი-დოპინგური ორგანიზაცია აღმოაჩენს, რომ ინფორმაცია არ არის სრული ადგილზე სპორტსმენის ტესტირების მცდელობისას:
 - ა) თუ არასაკმარისი ინფორმაცია ეხება 60 წუთიან შუალედს, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ამ შემთხვევას უნდა მიანიჭოს ტესტის გამოტოვების სტატუსი 11.6.3 პუნქტის შესაბამისად, და/ან (სადაც გარემოება გარანტირებს) სინჯის აღებისათვის თავის არიდება კოდექსის 2.3 სტატიის შესაბამისად, და/ან დოპინგ კონტროლის პროცესში ჩარევა ან ჩარევის მცდელობა კოდექსის 2.5 პუნქტის შესაბამისად; და

ბ) თუ არასრული ინფორმაცია ეხება პერიოდს 60 წუთიანი შუალედის გარდა, მაშინ ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ამ შემთხვევას უნდა მიანიჭოს ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების შეუსრულებლობის სტატუსი 11.6.4 პუნქტის შესაბამისად და/ან დოპინგ კონტროლის პროცესში ჩარევა ან ჩარევის მცდელობა კოდექსის 2.5 პუნქტის შესაბამისად.]

11.3.4 თუ სპორტსმენი არეგისტრირებს თავისი ადგილმდებარეობის მცდარ მონაცემებს, დღიური 60 წუთიანი შუალედის ადგილ-მდებარეობასთან დაკავშირებით ან სხვა პერიოდთან დაკავშირებით, ამ 60 წუთიანი შუალედის გარდა, მისი საქციელი შეესაბამება ანტი-დოპინგური წესის დარღვევას კოდექსის 2.3 სტატიის თანახმად (სინჯის აღებისაგან თავის არიდება) და/ან კოდექსის 2.5 სტატიის თანახმად (დოპინგ კონტროლის პროცესში ჩარევა ან ჩარევის მცდელობა).

[11.3.4 შენიშვნა: გადაწყვეტილება განხილული იყოს შემთხვევა, როგორც სინჯის აღებისაგან თავის არიდება კოდექსის 2.3 სტატიის თანახმად და/ან დოპინგ კონტროლის პროცესში ჩარევა ან ჩარევის მცდელობა კოდექსის 2.5 პუნქტის თანახმად ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ უპირობოდ იქნება განხილული ადგილ-სამყოფელი მოთხოვნების შეუსრულებლობად კოდექსის 2.4 პუნქტის შესაბამისად.]

11.3.5 სპორტსმენის მიერ ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევა გამოცხადდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაცია 11.6.2 პუნქტის შედეგების მართვის პროცედურების შესაბამისად დაადგენს შემდეგს:

ა. სპორტსმენი ინფორმირებული იყო 1) მისი ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შეყვანის თაობაზე, 2) შესაბამისად მოთხოვნის თაობაზე ადგილმდებარეობის მონაცემების რეგისტრაციის შესახებ; და 3) შედეგების შესახებ რომელიც შეიძლება იყოს გამოწვეული ადგილმდებარეობის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში;

ბ) სპორტსმენმა არ შეასრულა მოთხოვნები დადგენილ ვადაში;

[11.3.5 (ა) შენიშვნა: სპორტსმენი არ ასრულებს ადგილ-სამყოფელის მოთხოვნებს შემდგენაირად:

1) როდესაც არ შეაქვს ადგილ-სამყოფელის მონაცემები; ან

2) როდესაც მას შეაქვს ადგილ-სამყოფელის მონაცემები (კვარტალური მონაცემები ან განახლებული ინფორმაცია), მაგრამ არ შეაქვს ყველა საჭირო ინფორმაცია (მაგ. მას არ შეაქვს ადგილი, სადაც ის იქნება თითოეული დღის მანძილზე შემდეგ კვარტალში, ან თითოეული დღის მანძილზე განახლებულ ინფორმაციაში ან გამოტოვებს რეგულარულ აქტივობას, რომელსაც ის განახორციელებს ყოველდღიურად მომდევნო კვარტლის მანძილზე, ან განახლებულ ინფორმაციაში); ან

3). როდესაც მას შეაქვს ინფორმაცია, რომელიც არ არის ზუსტი (მაგ. მისამართი, რომელიც არ არსებობს) ან არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ მოძებნოს ის ტესტირებისათვის (მაგ. “სირბილი ულრან ტყეში”). როგორც 11.3.3 პუნქტის შენიშვნაშია აღნიშნული, თუ უზუსტობა ან არასაკმარისი ინფორმაცია ეხება 60 წუთიან შუალედს და აღმოჩენილი იქნება მხოლოდ ადგილზე სპორტსმენის ტესტირების მცდელობისას, ამას მიენიჭება გამოტოვებული ტესტის სტატუსი. სხვა პირობებში ასეთი უზუსტობა ან უკმარისობა ჩაითვლება ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების შეუსრულებლობად.]

გ) (მეორეჯერ ან მესამეჯერ ადგილმდებარეობის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში) იგი ინფორმირებული იყო მის მიერ ადგილ-მდებარეობის მოთხოვნის შეუსრულებლობის შესახებ 11.6.2 (ა) პუნქტის შესაბამისად და არ გამოასწორა ეს დარღვევა დადგენილ ვადაში; და

[11.3.5 შენიშვნა: ამ მოთხოვნის მიზანია სამართლიანობის გარანტირება სპორტსმენისათვის. პირველი ადგილ-სამყოფელის მოთხოვნის შეტყობინებაში, რომელსაც პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაცია უგზავნის სპორტსმენს 11.6.2 (ა) პუნქტის თანახმად, პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაცია ურჩევს სპორტსმენს, რომ მოთხოვნის შემდგომში თავიდან ასაცილებლად მან უნდა შეიტანოს საჭირო ადგილ-სამყოფელის ინფორმაცია შეტყობინებაში დადგენილ ვადაში. ეს ვადა შეიძლება იყოს განსაზღვრული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ, მაგრამ უნდა იყოს არა ნაკლებ 24 საათისა შეტყობინების მიღებიდან და არა უგვიანეს იმ თვის ბოლოსი, რომელ თვეშიც შეტყობინება იქნება მიღებული.]

დ. სპორტსმენის მიერ მოთხოვნის შეუსრულებლობა იყო დაუდევრობა. ამ მიზნებისათვის, ნავარაუდევო იქნება, რომ სპორტსმენმა მოთხოვნები არ დააკმაყოფილა დაუდევრობით, იმ მტკიცებულების საფუძველზე, რომ მან მიიღო შეტყობინება მოთხოვნაზე და მაინც არ დააკმაყოფილა ის.

ეს ვარაუდი გაბათილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენი დაამტკიცებს, რომ მოთხოვნის შეუსრულებლობა არ იყო გამოწვეული მისი მხრიდან დაუდევრობის მიზეზით.

[11.3.5 (დ) შენიშვნა: თუ დადგინდა ანტი-დოპინგური წესის დარღვევა კოდექსის 2.4 სტატიის შესაბამისად, სპორტსმენის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხარისხი იქნება კოდექსის 10.3.3 პუნქტის მიხედვით შეფასების შესაბამისი, შეჯიბრიდან განთავისუფლების პერიოდის დაკისრება.]

11.3.6 სპორტსმენს, რომელიც შედის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, შეუძლია თავისი ადგილმდებარეობის მონაცემების რეგისტრაცია, რომელსაც მოითხოვს პუნქტი 11.3.1 და პუნქტი 11.3.2 (და/ან განახლებული ინფორმაცია, რომელსაც მოითხოვს პუნქტი 11.4.3) დაავალოს მესამე მხარეს, როგორცაა (მაგალითად, და პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაციის წესების თანახმად) მწვრთნელი, მენეჯერი ან ეროვნული ფედერაცია, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს ეს მისია.

[11.3.6 შენიშვნა: გუნდური სპორტისათვის 11.3.6 პუნქტის მოქმედების განიხილვა მისთვის სპეციფიკურ კონტექსტში ნახეთ პუნქტში 11.5.4. ეჭვის თავიდან ასაცილებლად, სპორტსმენს, რომელიც არ არის გუნდური სპორტის სახეობიდან ასევე შეუძლია დაავალოს თავისი ადგილსამყოფელის მონაცემების რეგისტრაცია მესამე მხარეს რაიმე პერიოდის მანძილზე ან მუდმივად, თუ მესამე მხარე თანახმაა.

პასუხისმგებელ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია მოითხოვოს წერილობითი შეტყობინება შეთანხმებული დელეგირების შესახებ 11.3.6 პუნქტის თანახმად, რომელიც იქნება ხელმოწერილი სპორტსმენისა და მესამე მხარის მიერ.]

11.3.7 მაგრამ ყველა შემთხვევაში, გუნდური სპორტის ჩათვლით:

- ა. თითოეული სპორტსმენი, რომელიც შედის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, ვალდებულია ყოველთვის შეიტანოს ზუსტი და სრული ადგილმდებარეობის ინფორმაცია 11.3 პუნქტის თანახმად, განურჩევლად იმისა თვითონ შეაქვს ეს ინფორმაცია, თუ ავალებს მესამე მხარეს (ან ორივე ერთად). მტკიცება იმისა, რომ ამ მოვალეობას ასრულებდა მესამე მხარე და მან არ მიაწოდა ინფორმაცია ვერ იქნება დაცვა მოთხოვნების შეუსრულებლობის ბრალდებისაგან კოდექსის 2.4 სტატიის შესაბამისად; და

ბ. ასეთი სპორტსმენი რჩება ყოველთვის პირადად პასუხისმგებელი, რომ უზრუნველყოს მისი ხელმისაწვდომობა ტესტირებისათვის იმ ადგილას, რომელიც შეტანილია მისი ადგილმდებარეობის მონაცემებში, მიუხედავად იმისა ეს მონაცემები შეიტანა თვითონ თუ მესმე მხარემ (ან ორივემ ერთად). მტკიცება იმისა, რომ ამ მოვალეობის შესრულება ევალებოდა მესამე მხარეს და მან არ მიაწოდა სწორი ინფორმაცია ვერ იქნება დაცვა მოთხოვნების შეუსრულებლობის ბრალდებისაგან კოდექსის 2.4 სტატიის შესაბამისად.

11.4 ხელმისაწვდომობა ტესტირებისათვის

11.4.1 სპორტსმენი, რომელიც შედის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში აუცილებლად უნდა იყოს ადგილზე და ხელმისაწვდომი ტესტირებისათვის 60 წუთიანი შუალედის განმავლობაში მიმდინარე კვარტლის ყოველ მოცემულ დღეს, როგორც ეს დადგენილია მისი ადგილმდებარეობის მონაცემებში, იმ ადგილას, რომელიც მას აქვს მითითებული ამ შუალედისათვის.

[11.4.1 შენიშვნა: ეს სპეციფიკური მოთხოვნა არის სპორტსმენის პასუხისმგებლობაზე წარმოადგინოს თავისი ადგილ-სამყოფელის ინფორმაცია მომდევნო კვარტლის მანძილზე და დაემორჩილოს ტესტირებას ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას ამ კვარტლის განმავლობაში.

იმისათვის, რომ მიღწეული იყოს ტესტირება, რომელიც არის ეფექტური და გამოავლენს ტყუილს, საუკეთესო მეთოდები მოითხოვს ტესტირების განაწილების გეგმას, რომელიც ითვალისწინებს მოულოდნელ ტესტირებას. ეს რომ იყოს მიღწეული, ტესტირება უნდა იყოს ჩატარებული დღის სხვა და სხვა დროს. ასე რომ 60 წუთიანი შუალედი არ ზღუდავს ტესტირების ჩატარებას დღის სხვა მონაკვეთში ან ქმნის ტესტირებისათვის უადვილო პერიოდს, პირიქით:

- ა. ნათლად გამოკვეთავს, რომ სპორტსმენის ტესტირების უშედეგო მცდელობა ჩაითვლება გამოტოვებულ ტესტად (რაც ეხმარება სპორტსმენს თავი აარიდოს ტესტის გამოტოვებას და ეხმარება ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, ისევე როგორც მოსმენის საბჭოს, განსაზღვროს როდის იყო გამოტოვებული ტესტი);
- ბ. უზრუნველყოფს სპორტსმენის პოვნას და სინჯის აღებას დღეში ერთხელ მაინც (რომელმაც უნდა შეაჩეროს ტყუილი, ან გაართულოს მოტყუილების მცდელობა);
- გ. ზრდის სპორტსმენის მიერ წარმოდგენილი ადგილ-სამყოფელის ინფორმაციის სანდოობას, რომ დაეხმაროს ანტიდოპინგურ

ორგანიზაციას დაადგინოს სპორტსმენის ადგილ-მდებარეობა ტესტირების ჩასატარებლად გარდა 60 წუთიანი შუალედისა:

1. 60 წუთიანი შუალედი აჩერებს სპორტსმენს განსაზღვრულ ადგილას განსაზღვრულ დღეს. იმ ინფორმაციასთან ერთად, რომელიც სპორტსმენმა უნდა წარმოადგინოს, თუ სად ცხოვრობს, ვარჯიშობს, მონაწილეობს შეჯიბრზე და ახორციელებს სხვა რეგულარულ აქტივობებს დღის განმავლობაში, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას საშუალება უნდა ჰქონდეს დაადგინოს სპორტსმენის ადგილ-მდებარეობა სხვა მონაკვეთში, ამ 60 წუთიანი შუალედის გარდა, ან ალტერნატიულად განსაზღვროს, რომ სპორტსმენის მიერ მოწოდებული ადგილ-მდებარეობის ინფორმაცია 60 წუთიანი შუალედის გარდა არის არასრული ან უზუსტო (რომელზედაც შეიძლება გარემოებებიდან გამომდინარე მიენიჭოს, მონაცემების რეგისტრაციის შეუსრულებლობა კოდექსის 2.4 სტატიის თანახმად, სინჯის აღებისაგან თავის არიდება კოდექსის 2.3 პუნქტის თანახმად და/ან ჩარევა კოდექსის 2.5 სტატიის თანახმად).

2. სპორტსმენის ინტერესებში შედის წარმოადგინოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მისი ადგილ-სამყოფელის შესახებ 60 წუთიანი შუალედის გარდა, ისე რომ ანტიდოპინგურმა ორგანიზაციებმა შეძლონ ტესტირება ჩაუტარონ სპორტსმენს 60 წუთიანი შუალედის გარდა და აქედან გამომდინარე არ რისკავს პასუხი აგოს გამოტოვებულ ტესტზე; და

დ. შექმნას სასარგებლო ანტი-დოპინგური ინფორმაცია, მაგ. თუ სპორტსმენი რეგულარულად ადგენს 60 წუთიან პერიოდს დროის დიდი შუალედებით და/ან ცვლის თავის 60 წუთიანი პერიოდის დროს და ადგილს ბოლო წუთს. ასეთი ინფორმაცია საფუძველს ქმნის მიზნობრივი ტესტირების ჩატარებისათვის ამ სპორტსმენისათვის.]

11.4.2 სპორტსმენის მოვალეობაა უზრუნველყოს (განახლებული ინფორმაციის ჩათვლით საჭიროების შემთხვევაში) რომ მის მიერ წარდგენილი ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია იყოს სრული, რომ რომელიმე ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ შეძლოს მისი პოვნა ტესტირებისათვის კვარტლის ნებისმიერ დღეს, იმ გამოყოფილი 60 წუთიანი პერიოდის ჩათვლით და არა მარტო. როდესაც ინფორმაციის ცვლილება გარემოებებიდან გამომდინარე ნიშნავს რომ ადრე მიწოდებული ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული სპორტსმენის ან მესამე მხარის მიერ (ადგილ-სამყოფელის პირველადი ინფორმაცია ან განახლებული) აღარ არის ზუსტი და სრული (არ არის საკმარისი საშუალება მიეცეს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას იპოვოს სპორტსმენი ტესტირებისათვის ნებისმიერ მოცემულ დღეს კვარტლის

განმავლობაში, 60 წუთიანი პერიოდის ჩათვლით და არა მარტო, რომელიც მის მიერ არის დანიშნული), სპორტსმენმა უნდა განახლოს მისი ადგილმდებარეობის ინფორმაცია, რომ ინფორმაცია მის ფაილში ისევ ზუსტი და სრული იყოს. მან ინფორმაცია უნდა განახლოს რაც შეიძლება სწრაფად და აუცილებლად 60 წუთიან პერიოდამდე, რომელიც განსაზღვრულია ამ დღეს. ამ პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს შემდეგ შედეგებს:

- ა. თუ ამ პირობის შეუსრულებლობის გამო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მცდელობა ჩაუტაროს ტესტირება სპორტსმენს დადგენილ 60 წუთიან პერიოდში იქნება წარუმატებელი, ეს წარუმატებელი მცდელობა ჩაითვლება გამოტოვებულ ტესტად 11.6.3 პუნქტის შესაბამისად; და
- ბ. თუ გარემოებები განაპირობებენ, პირობის შეუსრულებლობა ჩაითვლება სინჯის აღებისაგან თავის არიდებად კოდექსის 2.3 პუნქტის თანახმად, და/ან ჩარევად ან ჩარევის მცდელობად კოდექსის 2.5 პუნქტის თანახმად; და
- გ. ყოველ შემთხვევაში, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა განიხილოს სპორტსმენისათვის მიზნობრივი ტესტირების ჩატარება.

[11.4.2 შენიშვნა: ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მოვალეობაა შეამოწმოს სპორტსმენის მიერ მოწოდებული ყოველი განახლებული ინფორმაცია მანამდე, სანამ ექნება სპორტსმენისათვის სინჯის აღების მცდელობა მის ადგილ-სამყოფელის ინფორმაციაზე დაყრდნობით. ეჭვის თავიდან ასაცილებლად სპორტსმენმა, რომელმაც შეიტანა განახლებული ინფორმაცია მის წინასწარ განსაზღვრულ დღეს 60 წუთიანი პერიოდის შეცვლაზე ამ პერიოდის წინ, მაინც ხელმისაწვდომი უნდა იყოს თავიდან დადგენილი პერიოდის მანძილზე ტესტირებისათვის, თუ ამ დროს იქნება დანიშნულ ადგილზე.

60 წუთიანი პერიოდის შეცვლა შეიძლება ნებისმიერ დროს ამ პერიოდის დაწყებამდე. შესაბამის პირობებში, სპორტსმენის მიერ ბოლო წუთს გაკეთებული ცვლილებები შეიძლება შეეფარდოს შესაძლო ანტიდოპინგურ დარღვევას სინჯის აღებისათვის თავის არიდებით კოდექსის 2.3 პუნქტის თანახმად და/ან დოპინგ კონტროლის პროცესში ჩარევა (ან ჩარევის მცდელობა) კოდექსის 2.5 პუნქტის თანახმად.

თუ სპორტსმენის მიერ შეტანილია განახლებული ინფორმაცია და ეს ინფორმაცია არ არის სრული და ზუსტი ან საკმარისი იმისათვის რომ ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ შეძლოს იპოვოს სპორტსმენი, ეს შეესაბამება მოთხოვნების შეუსრულებლობას 11.3.5 (ბ) პუნქტის თანახმად]

11.4.3 მხოლოდ მაშინ გამოცხადდება, რომ სპორტსმენმა ჩაიდინა ქმედება, რომელსაც ჰქვია გამოტოვებული ტესტი, როდესაც პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაცია შედეგების ანალიზის საფუძველზე 11.6.3 პუნქტის თანახმად დაადგენს რომელიმეს შემდეგიდან:

- ა. სპორტსმენს მიიღებული ჰქონდა შეტყობინება, რომ იგი შეყვანილია ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, მას აუხსნეს, რომ იგი პასუხისმგებელია გამოტოვებულ ტესტზე, და თუ ხელმისაწვდომი არ იყო ტესტირებისათვის 60 წუთიანი პერიოდის მანძილზე, რომლის დრო და ადგილი განსაზღვრული იყო მის ადგილ-სამყოფელის მონაცემებში;
- ბ. დოპინგ კონტროლის ოფიცერს მცდელობა ჰქონდა ტესტირება ჩატარებინა სპორტსმენისათვის კვარტლის მოცემულ დღეს, 60 წუთიანი პერიოდის მანძილზე, რომელიც ჩანიშნული იყო მისი ადგილ-სამყოფელის რეგისტრირებულ მონაცემებში, 60 წუთიანი პერიოდისათვის განკუთვნილ ჩანიშნულ ადგილზე მისვლით;

[11.4.3 (ბ) შენიშვნა: თუ სპორტსმენი არ იქნება ხელმისაწვდომი 60 წუთიანი პერიოდის დაწყებისას, მაგრამ მოგვიანებით მიავა 60 წუთიანი პერიოდის მანძილზე, დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა აიღოს სინჯი და აღარ განიხილოს მცდელობა ტესტირების წარუმატებელ მცდელობად, მაგრამ სრულად უნდა შეიტანოს დაგვიანების დეტალები დოპინგ კონტროლის ოფიცერის სინჯის აღების ანგარიშში. ნებისმიერი მაგალითი ამ ტიპის ქცევისა უნდა იყოს გამოძიებული პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ, როგორც შესაძლო ანტი-დოპინგური წესის დარღვევა სინჯის აღებისაგან თავის არიდებით კოდექსის 2,3 პუნქტის თანახმად ან კოდექსის 2.5 პუნქტის თანახმად. ამან ასევე შეიძლება გამოიწვიოს სპორტსმენისათვის მიზნობრივი ტესტირების ჩატარება.

თუ ტესტირებაზეა, სპორტსმენი უნდა დარჩეს დოპინგ კონტროლის ოფიცერთან ერთად, ვიდრე სინჯის აღება დამთავრდება, იმ შემთხვევაშიც, თუ სინჯის აღების პროცესს დაშვებები 60 წუთიან პერიოდზე მეტი.

თუ სპორტსმენი ხელმიუწვდომელია ტესტირებისათვის დადგენილი 60 წუთიანი პერიოდის მანძილზე, დადგენილ ადგილას, დადგენილ დღეს, იგი პასუხისმგებელი იქნება გამოტოვებულ ტესტზე, მიუხედავად იმისა თუ ამ რის მანძილზე მოგვიანებით წარმატებით ჩატარდება სინჯის აღება.]

- გ. დანიშნული 60 წუთიანი პერიოდის მანძილზე დოპინგ კონტროლის ოფიცერმა გააკეთა რაც მიზანშეწონილი იყო არსებულ პირობებში (მაგ. დანიშნული ადგილის პირობების გათვალისწინებით) რომ ეპოვნა სპორტსმენი, გარდა წინასწარ შეტყობინებისა ტესტის ჩატარების შესახებ;

[11.4.3 (გ) შენიშვნა: როდესაც დოპინგ კონტროლის ოფიცერი მივა 60 წუთიანი პერიოდისათვის დანიშნულ ადგილას, თუ სპორტსმენი მაშინათვე არ იქნება ნაპოვნი ადგილზე, დოპინგ კონტროლის ოფიცერი უნდა დარჩეს ადგილზე 60 წუთიანი პერიოდის დასრულებამდე და მის საპოვნელად გააკეთოს ყველაფერი, რაც მიზანშეწონილია არსებულ პირობებში.]

- დ. 11.4.4 პუნქტის პირობები შესრულებულია; და

- ე. სპორტსმენის მიერ პირობის შეუსრულებლობა ხელმისაწვდომი იყოს განკუთვნილ ადგილზე ტესტირებისათვის დადგენილი 60 წუთიანი პერიოდის მანძილზე იყო დაუდევრობა. ამ მიზნებისათვის, ნაგარაუდგვი იქნება, რომ სპორტსმენმა მოთხოვნები არ დააკმაყოფილა დაუდევრობით მტკიცებულების საფუძველზე, რომელიც დადგენილია ქვე პუნქტებში 11.4.3 (ა)-დან (დ)-მდე. ეს ვარაუდი გაბათილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენი დაამტკიცებს, რომ მისი მხრიდან დაუდევრობის მიზეზი არ იყო (1) რომ ის იყო ხელმიუწვდომელი ტესტირებისათვის დანიშნულ ადგილზე 60 წუთიანი პერიოდის მანძილზე; და (2) არ შეასრულა პირობა განახლებული ინფორმაცია შეეტანა თავის ადგილ-მდებარეობის მონაცემებში სხვა ადგილ-მდებარეობის მითითებით, სადაც ის იქნებოდა ხელმისაწვდომი ტესტირებისათვის დადგენილი 60 წუთიანი პერიოდის მანძილზე.

[11.4.3 (ე) შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა ანტი-დოპინგური წესის დარღვევა კოდექსის 2.4 სტატიის თანახმად, სპორტსმენის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხარისხი (მაგ. დაუდევრობა ან უფრო მძიმე) იქნება კოდექსის 10.3.3 პუნქტის მიხედვით შეფასების შესაბამისი, შეჯიბრებში მონაწილეობიდან განთავისუფლება.]

11.4.4 იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანობა სპორტსმენის მიმართ, როდესაც იქნება სპორტსმენისათვის ტესტირების ჩატარების წარუმატებელი მცდელობა მის ადგილმდებარეობის მონაცემებში დადგენილი 60 წუთიანი პერიოდის მანძილზე, სპორტსმენის ნებისმიერი შემდგომი ტესტირების მცდელობა (იგივე ან სხვა ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ) ჩაითვლება, როგორც გამოტოვებული ტესტი სპორტსმენის წინააღმდეგ, თუ ეს შემდეგი ტესტირების მცდელობა იქნება სპორტსმენის მიერ შეტყობინების

მიღების შემდეგ 11.6.3 (ბ) პუნქტის თანახმად, პირველადი წარუმატებელი მცდელობის შესახებ.

11.5 სპორტის გუნდური სახეობები

[11.5 შენიშვნა ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის 2007 წლის 3.0 ვერსიაში ცვლილებების შეტანის განხილვისას 2007-08 წლებში საერთო თემა გუნდური სახეობების მიერ წარდგენილ წინადადებებში იყო ის, რომ ნებისმიერი შეთანხმებული ადგილ-სამყოფელის სისტემა უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი, რომ ასახოს ის ფაქტი, რომ სპორტის გუნდური სახეობები ორგანიზებულია და ვითარდება უფრო გუნდურ საფუძველზე, ვიდრე ინდივიდუალურ საფუძველზე, აქტივობების უმეტესობა ამ სპორტის მიხედვით ტარდება კოლექტიურ ბაზაზე, ვიდრე ინდივიდუალურზე. ამ 11.5 პუნქტის მიზანია აისახოს გუნდური სპორტის ეს თავისებურება ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში გათვალისწინებით გუნდებთან მიმართებაში. ის ასევე ნებას რთავს გუნდური სპორტის სახეობის სპორტსმენებს წარადგინონ ადგილ-სამყოფელის ინფორმაცია კოლექტიურ ბაზაზე, როგორც გუნდის კოლექტიური აქტივობის ინფორმაციით, ასევე დამატებული ინფორმაციით ინდივიდუალური ადგილ-სამყოფელის შესახებ, იმ პერიოდისათვის, როდესაც სპორტსმენები არ არიან გუნდთან ერთად. 2004-2007 წლებში შექმნილი სისტემის შესაბამისად, გუნდურ სპორტის სახეობებში, როგორცა წყალბურთი და რაგბი, ინდივიდუალური სპორტსმენი ყოველთვის პირადად რჩება პასუხისმგებელი ადგილ-სამყოფელის ინფორმაციის სიზუსტეზე და იმაზე, რომ ხელმისაწვდომი იყოს ტესტირებისათვის ამ ინფორმაციით.]

11.5.1 სპორტის გუნდური სახეობის საერთაშორისო ფედერაციამ უნდა განსაზღვროს ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა გუნდთან მიმართებაში, ისე რომ ზოგიერთი ან ყველა სპორტსმენი მის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში არის გარკვეული გუნდიდან შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

[11.5.1 შენიშვნა: მაგალითად საერთაშორისო ფედერაციას შეუძლია განსაზღვროს თავისი ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა მაღალი რანგის ეროვნულ გუნდებთან მიმართებაში ნებისმიერ მოცემულ დროს. იმ წელს, როდესაც ამ საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება, მას შეუძლია აირჩიოს გააფართოვოს თავისი ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა ყველა ეროვნული გუნდების მასში შეყვანით, რომლებიც შერჩეული არიან მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის. 11.7.5 პუნქტის თანახმად საერთაშორისო ფედერაციას შეუძლია ასეთი სპორტსმენების ადგილ-სამყოფელის ინფორმაციის შეგროვება დაავალოს შესაბამის ეროვნულ ფედერაციებს.]

ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც გუნდური სპორტის სახეობები შეეკავს ეროვნული ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, შეუძლია ასევე მოიქცეს.]

11.5.2 ასეთ შემთხვევებში 11.2.4 პუნქტის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ გუნდის შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს, საერთაშორისო ფედერაციამ უნდა გამოსცეს წესები, რომლებიც ვრცელდება ასეთ ცვლილებებზე ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

11.5.2 შენიშვნა: მაგალითად სპორტის გუნდურ სახეობაში, სადაც ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა განისაზღვრება ეროვნულ გუნდებთან მიმართებაში, საერთაშორისო ფედერაციას შეუძლია წევრობა დაადგინოს იმ სპორტსმენების გათვალისწინებით, რომლებიც შედიან ბოლო წარმომადგენლობით ეროვნულ გუნდში, რომელიც შერჩეულია განსახილველი კვარტლის წინ. თუ ახალი წარმომადგენლობითი გუნდი იქნება სერჩეული კვარტლის განმავლობაში, რომელიც განსხვავდება წინა გუნდისაგან, საერთაშორისო ფედერაციის წესები განსაზღვრავენ მაშინვე უნდა აისახოს თუ არა ცვლილებები (მაგ. ნებისმიერი სპორტსმენი, რომელიც იყო წინა გუნდში და აღარ არის მეორეში, სასწრაფო წესით ამოვარდება ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზიდან) ან ალტერნატიულად, მეორე კვარტლის დაწყებისათვის (მაგ. სპორტსმენი, რომელიც არ არის მეორე გუნდში რჩება ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში კვარტლის დამთავრებამდე.)

11.5.3 სპორტის გუნდურ სახეობაში, სადაც ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა განისაზღვრება გუნდებთან მიმართებაში, შერჩეული გუნდების სპორტსმენები თავიანთი სპორტული აქტივობის უმეტეს ნაწილს (მაგ. ვარჯიში, მგზავრობა, ტაქტიკური ღონისძიებები) ახორციელებენ კოლექტიურ საფუძველზე. შესაბამისად ადგილმდებარეობის ინფორმაციის უმეტესი ნაწილი 11.3 პუნქტის თანახმად იქნება ერთი და იგივე გუნდის ყველა სპორტსმენისათვის. ამას გარდა, იმ შემთხვევაში, როდესაც სპორტსმენი არის გუნდის წევრი და არ მონაწილეობს გუნდის დაგეგმილ კოლექტიურ აქტივობაში (მაგ. ტრავმის გამო), ის შესაძლოა აგრძელებდეს სხვა აქტივობებს თავისი გუნდის ხელმძღვანელობით (მაგ. მკურნალობა გუნდის ექიმის მიერ). ასეთი გუნდური აქტივობები, კოლექტიური ან სხვაგვარი უნდა იყოს ცნობილი ამ ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის მიზნებისათვის, როგორც “გუნდური აქტივობა”.

11.5.4 სპორტსმენი, რომელიც შედის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ის თამაშობს გარკვეული გუნდისათვის, არის იგივე ინდივიდუალური ადგილმდებარეობის მოთხოვნების

საგანი, რომელიც დადგენილია ამ მე-11-ე თავში, როგორც სპორტსმენი, რომელიც შედის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით. 11.3.6 და 11.3.7 პუნქტების თანახმად, 11.5.3 პუნქტში საზგასმულ შემთხვევებში სპორტსმენს შეუძლია 11.3.1 პუნქტში მოთხოვნილი თავისი ადგილმდებარეობის ინფორმაციის - ნაწილის ან მთლიანად რეგისტრირების უფლებამოსილება მიანიჭოს (ან 11.4.2 პუნქტში მოთხოვნილი რაიმე განახლებული ინფორმაციის შეტანა) გუნდს, (მაგალითად, გამომდინარე პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური სააგენტოს წესებიდან) მწვრთნელს, მენეჯერს ან ეროვნულ ფედერაციას.

[11.5.4 შენიშვნა: ექვის თავიდან ასაცილებლად, მოხერხებულობისა და ეფექტურობისათვის, სპორტსმენმა, რომელიც არის გუნდის წევრი, შეიძლება თავისი ადგილ-სამყოფელის მონაცემების რეგისტრირება გადასცეს მის გუნდს, არა მარტო გუნდურ აქტივობასთან დაკავშირებული, არამედ იმ პერიოდთან დაკავშირებული მონაცემები, რომლის განმავლობაშიც ის არ არის გუნდთან ერთად, თუ გუნდი დათანხმდება ამაზე. ამ შემთხვევაში, აუცილებელია სპორტსმენმა ინფორმაცია თავისი ინდივიდუალური ადგილ-სამყოფელის შესახებ გადასცეს გუნდს გუნდური აქტივობების ინფორმაციაზე დასამატებლად.

იმ გუნდურ სპორტის სახეობებში, სადაც სპორტსმენს შეუძლია ითამაშოს ერთზე მეტ გუნდში, და გამომდინარე შეიძლება იყოს ჩართული ერთზე მეტი გუნდის აქტივობებში ნებისმიერი რეგისტრირებული პერიოდის განმავლობაში, უნდა შეიქმნას მკაფიო პირობები ინფორმაციის შეგროვების და წარდგენის შესაბამის წესებში, რომლებიც დადგენილია პუნქტში 11.3. მაგალითად, როდესაც საერთაშორისო ფედერაცია ადგენს თავის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზას ეროვნულ წარმომადგენლობით გუნდებთან მიმართებაში, ამ გუნდის სპორტსმენები თავიანთი დროის უმეტეს ნაწილს შეიძლება ატარებდნენ თავიანთ წარმომადგენლობით გუნდებთან ერთად, ასპარეზობდნენ საერთაშორისო ღონისძიებებზე, მაგრამ თავიანთი დროის მნიშვნელოვან ნაწილს შეიძლება ატარებდნენ თავიანთ კლუბებთან ერთად, მონაწილეობდნენ ადგილობრივ და რეგიონალურ ღონისძიებებში. ასეთ შემთხვევებში, ეროვნულმა ფედერაციამ უნდა შეაგროვოს სპორტსმენის კლუბის, როგორც გუნდის აქტივობების ინფორმაცია და შეიტანოს ეროვნული წარმომადგენლობითი გუნდის ინფორმაციასთან და სპორტსმენის გარკვეული პერიოდის ინდივიდუალური ადგილ-სამყოფელის ინფორმაციასთან ერთად.]

11.5.5 11.5.4 პუნქტში აღწერილი გარემოებების შემთხვევაში გუნდს (მაგ. ეროვნული ფედერაცია) შეუძლია დაარეგისტრიროს ადგილმდებარეობის ინფორმაცია თავისი სპორტსმენების სახელით, იმ ინფორმაციის უზრუნველყოფით, რომელიც მოთხოვნილია პუნქტში 11.3, შემდეგი სახით:

- ა. სრული საფოსტო მისამართი ოფიციალური შეტყობინებისათვის, 11.3.1 (ა) პუნქტის თანახმად. თუ სპორტსმენი თანახმაა, ეს შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს გუნდის მისამართზე.
- ბ. ინფორმაცია დადგენილი 11.3.1 (ბ), (გ), და (ვ) პუნქტებში;
- გ. მომდევნო კვარტლის განმავლობაში თითოეული დღის ინფორმაცია, გუნდის აქტივობა დღის მანძილზე, ეს იქნება კოლექტიური აქტივობა (მაგ. ვარჯიში) თუ ინდივიდუალური აქტივობა გუნდის ხელმძღვანელობით (მაგ. სამედიცინო მკურნალობა), შეკრების ადგილის და სხვა დეტალების ჩათვლით, რომლებიც მოთხოვნილია იმისათვის რომ სპორტსმენი იყოს ხელმისაწვდომი ადგილზე გარკვეულ დროს; და

[11.5.5 (ვ) შენიშვნა: თუ სპორტსმენი, გუნდური აქტივობების გარდა ანხორციელებს სხვა აქტივობებს (მაგ. ის არის მოყვარული სპორტსმენი და ამასთან ერთად მუშაობს ან სწავლობს), მაშინ ამ სხვა რეგულარული აქტივობების ადგილ-მდებარეობა და დრო ასევე უნდა იყოს გამჟღავნებული 11.3.1 (ე) პუნქტის თანახმად.]

- დ. მომდევნო კვარტლის თითოეული დღის განმავლობაში გამოყოფილი 60 წუთიანი პერიოდი დღის 6-დან საღამოს 11 საათამდე, როდესაც სპორტსმენი ხელმისაწვდომი იქნება ტესტირებისათვის გარკვეულ ადგილას. ეჭვების თავიდან ასაცილებლად, ეს 60 წუთიანი პერიოდი შეიძლება იყოს დღის მანძილზე გუნდის აქტივობის განმავლობაში.

11.5.6 გუნდის წევრი სპორტსმენებისათვის, რომლებიც შედიან ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, პასუხისმგებლობა ინფორმაციის რეგისტრაციის შეუსრულებლობაზე შეიძლება განესაზღვროთ 11.3.5 პუნქტის შესაბამისად და პასუხისმგებლობა გამოტოვებული ტესტისათვის განესაზღვროს 11.4.2 პუნქტის შესაბამისად. 11.3.7 პუნქტის შესაბამისად

- ა. თუ გუნდი არ არეგისტრირებს მოთხოვნილ ადგილმდებარეობის მონაცემებს, ან არეგისტრირებს და მასში არ შედის ყველა საჭირო ინფორმაცია, მაშინ (11.3.5 პუნქტის მოთხოვნების საგანი) სასჯელი მონაცემთა რეგისტრაციის მოთხოვნების შეუსრულებლობაზე დაეკისრება სპორტსმენს კოდექსის 2.4 სტატიის თანახმად; და
- ბ. თუ ადგილმდებარეობის ინფორმაცია შეიცვლება მას შემდეგ რაც გაკეთდა ადგილ-მდებარეობის მონაცემთა რეგისტრაცია, მაშინ 11.4.2 პუნქტის თანახმად უნდა გაკეთდეს ინფორმაციის განახლება, ისე რომ ინფორმაცია მუდმივად იყოს ზუსტი. თუ არ მოხდება ინფორმაციის განახლება და შედეგად სპორტსმენის ტესტირების მცდელობა

დადგენილი 60 წუთიანი პერიოდის მანძილზე იქნება წარუმატებელი, მაშინ (11.4.3 პუნქტის მოთხოვნის საგანი) სპორტსმენი პასუხისმგებელი იქნება გამოტოვებულ ტესტზე კოდექსის 2.4 პუნქტის შესაბამისად.

11.5.6 შენიშვნა: მაგალითად, თუ სპორტსმენის ტესტირების მცდელობა დადგენილი 60 წუთიანი პერიოდის მანძილზე გუნდური აქტივობის პერიოდში იქნება წარუმატებელი გამომდინარე გუნდის აქტივობასთან დაკავშირებული ოფიციალური რეგისტრირებული მცდარი ინფორმაციიდან ან გუნდს აქტივობის ადგილ-მდებარეობის ცვლილების შემთხვევაში, განახლებული ინფორმაციის შეტანის მოთხოვნის შეუსრულებლობიდან გამომდინარე, გუნდი შეიძლება სანქცირებული იყოს საერთაშორისო ფედერაციის მოქმედი წესების მიხედვით, მაგრამ თვითონ სპორტსმენიც პასუხისმგებელი იქნება (11.4.3 პუნქტის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით) გამოტოვებულ ტესტზე. ეს უნდა გაკეთდეს იმიტომ, რომ თუ სპორტსმენს შეუძლია დაადანაშაულოს თავისი გუნდი იმაში რომ არ იყო ხელმისაწვდომი გუნდის მიერ რეგისტრირებულ ადგილზე, მაშინ ის თავიდან აიცილებს პასუხისმგებლობას თავისი ადგილ-სამყოფელის ინფორმაციაზე ტესტირებისათვის. რა თქმა უნდა გუნდს იგივე ინტერესები აქვს უზრუნველყოს ადგილ-სამყოფელის ზუსტი მონაცემები და თავიდან აიცილოს ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების შეუსრულებლობა სპორტსმენის მხრიდან, როგორც სპორტსმენს.]

11.5.7 11.1.6 პუნქტის თანახმად, და დამატებით 11.5 პუნქტის ზემოთ ხსენებული პირობების თანახმად ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზის მფლობელობასთან დაკავშირებით, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას გუნდური სპორტისათვის შეუძლია დაარსოს ერთი ან მეტი ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზა თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი სხვა გუნდებისათვის/სპორტსმენებისათვის, და ამ მონაცემთა ბაზებისათვის შეუძლია გამოიყენოს სხვა და სხვა ადგილმდებარეობის მოთხოვნები კოდექსის 2.4 სტატიის შესაბამისად.

11.5.7 შენიშვნა: ასეთი მონაცემთა ბაზის კარგი მაგალითია ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მონაცემთა ბაზა 2006-2008 წლებში, რომელშიც შედიოდა ყველა სპორტსმენი, რომლებიც თამაშობდნენ გარკვეულ გუნდებში. ფეხბურთის ასოციაციის მეთოდით, რომელიც აღიარებული იყო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციების ასოციაციების (I) და ზოგიერთი სხვა გუნდური სპორტის სახეობების საერთაშორისო ფედერაციების მიერ, როგორც სასარგებლო მოდელი, გუნდი, რომელიც შედის ასეთ მონაცემთა ბაზაში პასუხისმგებელია პერიოდულად შეიტანოს ადგილ-სამყოფელის მონაცემები ფეხბურთის ასოციაციასთან, დაასახელოს გუნდში რეგისტრირებული სპორტსმენების სახელები და გუნდის ვარჯიშის და შეჯიბრის განრიგი მომდევნო პერიოდის მანძილზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ფეხბურთის ასოციაციას ატყობინებენ გუნდის კოლექტიურ

ადგილ-სამყოფელის მონაცემებს გუნდის აქტივობების განმავლობაში, რომელიც განხილულია პუნქტში 11.5.3. თუ არის ტესტირების ჩატარების მცდელობა ამ გუნდის სპორტსმენზე ამ გუნდის აქტივობის დროს და სპორტსმენი არ არის ხელმისაწვდომი განსაზღვრულ ადგილზე, მაშინ ტარდება სპორტსმენის გამოძიება გამოტოვებულ ტესტზე. თუ გამოძიება დაადგენს, რომ სპორტსმენი არ იყო ხელმისაწვდომი ტესტირებისათვის იმიტომ, რომ გუნდმა არ მიაწოდა ზუსტი ინფორმაცია სპორტსმენის მონაწილეობაზე შესაბამის გუნდურ აქტივობაში და/ან ამ აქტივობის ადგილ-მდებარეობა ფეხბურთის ასოციაციას, მაშინ სანქციის საგანი იქნება გუნდი და არა სპორტსმენი.

ამ სტანდარტების მიხედვით არაფერი არ უშლის ხელს ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს შექმნან ამ ტიპის მონაცემთა ბაზა გუნდური სპორტისათვის, გამოიყენონ ამ ტიპის მოთხოვნები. ეჭვის თავიდან ასაცილებლად, ეს უნდა გაკეთდეს დამატებით ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზის შექმნასთან ერთად 11.5 პუნქტის ზემოთ ხსენებული პირობების თანახმად, რომელზედაც ვრცელდება მე-11-ე თავის ყველა მოთხოვნა.]

11.6 შედეგების მართვა

11.6.1 ტესტირების საერთაშორისო სტანდარტების დანართი ა (“მოთხოვნების შესაძლო შეუსრულებლობის გამოძიება”) არ გამოიყენება ადგილმდებარეობის მოთხოვნების შეუსრულებლობაზე, ნაცვლად ამისა მოქმედებს ამ 11.6 პუნქტის პირობები.

11.6.2 სარეგისტრაციო მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებული შედეგების ანალიზის პროცესი იქნება შემდეგნაირი:

ა. თუ აღმოჩნდება, რომ 11.3.5 პუნქტის ყველა მოთხოვნა რეგისტრაციის მოთხოვნის დარღვევასთან დაკავშირებული დაკმაყოფილებულია, მაშინ არა უგვიანეს 14 დღისა რეგისტრაციის მოთხოვნის შეუსრულებლობის აღმოჩენიდან, პასუხისმგებელმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ შეტყობინება უნდა გაუგზავნოს სპორტსმენს რეგისტრაციის მოთხოვნის აშკარა დარღვევის შესახებ, პასუხის მოთხოვნით 14 დღის მანძილზე შეტყობინების მიღებიდან. შეტყობინებაში პასუხისმგებელმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა გააფრთხილოს სპორტსმენი შემდეგზე:

1. ვიდრე სპორტსმენი არ დაარწმუნებს პასუხისმგებელ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომ არ ჰქონია ადგილი მოთხოვნების დარღვევას, (ქვემოთ მოყვანილი შედეგების მენეჯმენტის მართვის საგანი) მანამდე სავარაუდო

ადგილმდებარეობის მოთხოვნების დარღვევა იქნება წაყენებული სპორტსმენის წინააღმდეგ; და

2. სპორტსმენისათვის მოსალოდნელ შედეგებზე, თუ მოსმენის საბჭო მხარს უჭერს სავარაუდო ადგილმდებარეობის მოთხოვნების დარღვევას.

[11.6.2 (ა) (1) შენიშვნა: შეტყობინებამ უნდა ამცნოს სპორტსმენს, იყო თუ არა მის წინააღმდეგ წაყენებული სხვა ადგილმდებარეობის მოთხოვნების დარღვევის ბრალდება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 18 თვიანი პერიოდის მანძილზე.]

- ბ. როდესაც სპორტსმენი აპროტესტებს აშკარა მონაცემთა რეგისტრაციის მოთხოვნის შეუსრულებლობას, პასუხისმგებელმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ თავიდან უნდა შეაფასოს იყო თუ არა დაკმაყოფილებული 11.3.5 პუნქტის მოთხოვნები. პასუხისმგებელმა ორგანიზაციამ სპორტსმენს წერილობით უნდა შეატყობინოს არა უგვიანეს 14 დღისა სპორტსმენის პასუხის მიღებიდან, რჩება თუ არა ძალაში გადაწყვეტილება, რომ ადგილი ჰქონდა მონაცემთა რეგისტრაციის მოთხოვნის დარღვევას.

[11.6.2 (ბ) შენიშვნა: სპორტსმენისათვის გაგზავნილი შეტყობინება 11.6.2 (ბ) პუნქტის თანახმად, რომ არ ყოფილა მონაცემთა რეგისტრაციის მოთხოვნის დარღვევა, ასევე უნდა გაეგზავნოს მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და ნებისმიერ სხვა მხარეს, რომელსაც გასაჩივრების უფლება აქვს კოდექსის მე-13-ე თავის თანახმად, და შეიძლება გასაჩივრდეს მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის ან სხვა ასეთი მხარის მიერ ამ პუნქტის შესაბამისად.]

- გ. თუ პასუხი არ იქნება მიღებული სპორტსმენისაგან შესაბამის ვადაში, ან პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაცია რჩება აზრზე, (სპორტსმენის პასუხის მიუხედავად) რომ იყო მონაცემთა რეგისტრაციის მოთხოვნის დარღვევა, პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაცია შეტყობინებას უგზავნის სპორტსმენს, რომ წაყენებული ბრალდება მის მიმართ რეგისტრაციის მოთხოვნის დარღვევაზე იქნება რეგისტრირებული. პასუხისმგებელმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ასევე უნდა შეატყობინოს სპორტსმენს, რომ მას აქვს უფლება გადაწყვეტილების ადმინისტრაციულ განხილვაზე;

- დ. სპორტსმენის მოთხოვნის შემთხვევაში, ადმინისტრაციული განხილვა ჩატარდება იმ პასუხისმგებელი ორგანიზაციის უფლებამოსილებით

აღჭურვილი პირის მიერ, რომელიც არ იყო ჩართული წინა შეფასებაში სავარაუდო რეგისტრაციის მოთხოვნის დარღვევაზე. განხილვა ჩატარდება მხოლოდ წერილობითი წარდგენების საფუძველზე და გაითვალისწინებს იმას იყო თუ არა 11.3.5 პუნქტის მოთხოვნები დაკმაყოფილებული. განხილვა დასრულდება სპორტსმენის თხოვნის მიღებიდან 14 დღის მანძილზე და გადაწყვეტილება სპორტსმენს გაეგზავნება წერილობით არა უგვიანეს 7 დღის მანძილზე გადაწყვეტილების მიღებიდან;

[11.6.2 (დ) შენიშვნა: არაფერი ამ პუნქტიდან არ ეწინააღმდეგება იმას, რომ საკმარისად მოტივირებულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ გამოიყენოს სამ კაციანი საბჭო ასეთი ადმინისტრაციული განხილვის ჩასატარებლად, უზრუნველყოს რომ არც ერთ მათგანს არ ჰქონდეთ მიღებული მონაწილეობა წინა შეფასებაში სავარაუდო რეგისტრაციის მოთხოვნის დარღვევაზე.]

- ე. თუ ამ განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ 11.3.5 პუნქტის მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული, მაშინ წაყენებული ბრალდება რეგისტრაციის მოთხოვნის დარღვევაზე არ იქნება განხილული, როგორც რეგისტრაციის მოთხოვნის დარღვევა რაიმე მიზნით; და

[11.6.2 (ე) შენიშვნა: ნებისმიერი შეტყობინება სპორტსმენისათვის ვაგზავნილი, რომელიც ადასტურებს რომ არ ყოფილა რეგისტრაციის მოთხოვნის დარღვევა უნდა იყოს ვაგზავნილი მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციისათვის და სხვა რომელიმე მხარისათვის რომელსაც გასაჩივრების უფლება აქვს კოდექსის მე-13-ე თავის თანახმად, და შეიძლება გასაჩივრდეს მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის ან სხვა ასეთი მხარის მიერ ამ პუნქტის შესაბამისად.]

- ვ. თუ სპორტსმენი არ ითხოვს სავარაუდო რეგისტრაციის მოთხოვნის დარღვევის ადმინისტრაციულ განხილვას შესაბამის ვადაში, ან თუ ადმინისტრაციული განხილვა მივა გადაწყვეტილებამდე, რომ 11.3.5 პუნქტის ყველა მოთხოვნა იყო დაკმაყოფილებული, მაშინ პასუხისმგებელი ორგანიზაცია არეგისტრირებს ბრალდებას სპორტსმენის მიმართ რეგისტრაციის მოთხოვნის დარღვევის შესახებ და უნდა შეატყობინოს ამის შესახებ სპორტსმენს და (კონფიდენციალობის საფუძველზე) მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და სხვა შესაბამის ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, თარიღის ჩათვლით, როდესაც ამას ჰქონდა ადგილი.

[11.6.2 (ვ) შენიშვნა: ეჭვის თავიდან ასაცილებლად, პასუხისმგებელი ორგანიზაციას არ ეკრძალება შეატყობინოს სხვა შესაბამის

ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს (მკაცრი კონფიდენციალურობის საფუძველზე) სავარაუდო რეგისტრაციის მოთხოვნის შეუსრულებლობის შესახებ შედეგების მართვის ადრეულ საფეხურზე. პასუხისმგებელ ორგანიზაციას უფლება აქვს გააკეთოს ეს, თუ ჩათვლის საჭიროდ (ტესტირების დაგეგმვის მიზნით ან სხვა).

შეტყობინებამ ასევე უნდა ამცნოს სპორტსმენს, იყო თუ არა მის წინააღმდეგ წაყენებული სხვა ადგილ-მდებარეობის მოთხოვნების შეუსრულებლობის ბრალდება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 18 თვიანი პერიოდის მანძილზე.]

11.6.3 შედეგების ანალიზის პროცესი რეგისტრაციის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში იქნება შემდეგი:

- ა. დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა წარუდგინოს ანგარიში წარუმატებელი მცდელობის შესახებ თავის ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, შეიტანოს სინჯის აღების მცდელობის ყველა დეტალი, მცდელობის თარიღის, ადგილ-მდებარეობის ჩათვლით, ადგილზე მისვლის და დატოვების ზუსტი დრო, ნაბიჯები გადაგმული სპორტსმენის მოსაძებნად ადგილზე, მესამე მხარესთან რაიმე კონტაქტის დეტალების ჩათვლით და სხვა დეტალები სინჯის აღების მცდელობაზე.

[11.6.3 (ა) შენიშვნა: მსოფლიო ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ წარუმატებელი მცდელობის ანგარიშის ფორმის ნიმუში ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ანტი-დოპინგური ორგანიზაციებისათვის. გამოსაყენებლად/ადაპტირებისათვის. როდესაც ანტი-დოპინგური ორგანიზაცია მისი სახელით ტესტის ჩატარების უფლებამოსილებას ანიჭებს სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, მან უნდა დაადგინოს წარუმატებელი მცდელობის ანგარიშის წარდგენის ვადა.]

- ბ. თუ აღმოჩნდება, რომ 11.4.3 პუნქტის მოთხოვნები გამოტოვებული ტესტის შესახებ არის დაკმაყოფილებული, მაშინ პასუხისმგებელმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ (ანტი-დოპინგური ორგანიზაცია, რომლის სახელითაც იყო ტესტირების მცდელობა) უნდა გაუზიაროს შეტყობინება წარუმატებელი მცდელობის შესახებ სპორტსმენს არა უგვიანეს 14 დღის ვადისა წარუმატებელი მცდელობის დღიდან და მოთხოვოს მას პასუხი არა უგვიანეს 14 დღის ვადისა შეტყობინების მიღებიდან. შეტყობინებაში პასუხისმგებელმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა გააფრთხილოს სპორტსმენი შემდეგზე:

1. ვიდრე სპორტსმენი არ დაარწმუნებს პასუხისმგებელ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომ არ ჰქონია ადგილი ტესტის გამოტოვებას (ქვემოთ მოყვანილი შედეგების მენეჯმენტის მართვის საგანი) მანამდე სავარაუდო ტესტის გამოტოვება იქნება წაყენებული სპორტსმენის წინააღმდეგ; და
2. სპორტსმენისათვის მოსალოდნელ შედეგებზე, თუ მოსმენის საბჭო მხარს უჭერს სავარაუდო ტესტის გამოტოვებას.

[11.6.3 (ბ) (2) შენიშვნა: შეტყობინებამ უნდა ამცნოს სპორტსმენს, იყო თუ არა მის წინააღმდეგ წაყენებული სხვა ადგილსამყოფელის მოთხოვნების შეუსრულებლობის ბრალდება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 18 თვიანი პერიოდის მანძილზე ამ გამოტოვებულ ტესტამდე.] (ნახეთ ასევე შენიშვნა პუნქტზე 11.6.3 (დ).]

- გ. როდესაც სპორტსმენი აპროტესტებს აშკარა გამოტოვებულ ტესტს, პასუხისმგებელმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ თავიდან უნდა შეაფასოს იყო თუ არა დაკმაყოფილებული 11.4.3 პუნქტის მოთხოვნები. პასუხისმგებელმა ორგანიზაციამ სპორტსმენს წერილობით უნდა შეატყობინოს არა უგვიანეს 14 დღისა სპორტსმენის პასუხის მიღებიდან, რჩება თუ არა ძალაში გადაწყვეტილება, რომ ადგილი ჰქონდა გამოტოვებულ ტესტს.

[11.6.3 (გ) შენიშვნა: მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაცია აპირებს გამოსცეს სახელმძღვანელო წარუმატებელი მცდელობის შესაფასებასთან დაკავშირებით, იმ განმარტებების ჩათვლით, რომლებიც საპატიოა ან არ არის საპატიო მიზეზი გამოტოვებული ტესტისათვის.]

ნებისმიერი შეტყობინება სპორტსმენისათვის გავზავნილი 11.6.3 (გ) პუნქტის შესაბამისად, რომელიც ადასტურებს რომ არ ყოფილა გამოტოვებული ტესტი უნდა იყოს გავზავნილი მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციისათვის და სხვა რომელიმე მხარისათვის რომელსაც გასაჩივრების უფლება აქვს კოდექსის მე-13-ე თავის თანახმად, და შეიძლება გასაჩივრდეს მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ან სხვა ასეთი მხარის მიერ ამ პუნქტის შესაბამისად.]

- დ. თუ პასუხი არ იქნება მიღებული სპორტსმენისაგან შესაბამის გადაში, ან პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაცია რჩება აზრზე, (სპორტსმენის პასუხის მიუხედავად) რომ იყო გამოტოვებული

ტესტი, პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაცია შეტყობინებას უგზავნის სპორტსმენს, რომ წაყენებული ბრალდება მის მიმართ გამოტოვებულ ტესტზე იქნება რეგისტრირებული. პასუხისმგებელმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ ასევე უნდა შეატყობინოს სპორტსმენს, რომ მას აქვს უფლება გადაწყვეტილების ადმინისტრაციულ განხილვაზე; სპორტსმენს უნდა მიეწოდოს წარუმატებელი მცდელობის ანგარიში, თუ აქამდე არ ქონდა მიწოდებული.

[ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია წარუმატებელი მცდელობის ანგარიში წარუდგინოს სპორტსმენს ამ საფეხურამდე, თუ ასე გადაწყვეტს (მაგ. როდესაც უგზავნის პირველად შეტყობინებას 11.6.3 (ბ) პუნქტის შესაბამისად), ან მას შეუძლია პირველად მიაწოდოს გამოტოვებული ტესტის მხოლოდ ძირითადი დეტალები, იტოვებს რა სრულ წარუმატებელი მცდელობის ანგარიშს ამ საფეხურის დროს წარდგენისათვის.]

- ე. სპორტსმენის მოთხოვნის შემთხვევაში, ადმინისტრაციული განხილვა ჩატარდება იმ პასუხისმგებელი ორგანიზაციის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ, რომელიც არ იყო ჩართული სავარაუდო გამოტოვებული ტესტის წინა შეფასებაში. განხილვა ჩატარდება მხოლოდ წერილობითი წარდგენების საფუძველზე და გაითვალისწინებს იმას იყო თუ არა 11.4.3 პუნქტის მოთხოვნები დაკმაყოფილებული. თუ საჭირო იქნება, დოპინგ კონტროლის ოფიცერს თხოვენ წარუდგინოს უფლებამოსილ პირს შემდგომი ინფორმაცია. განხილვა დასრულდება სპორტსმენის თხოვნის მიღებიდან 14 დღის მანძილზე და გადაწყვეტილება სპორტსმენს გაეგზავნება წერილობით არა უგვიანეს 7 დღის მანძილზე გადაწყვეტილების მიღებიდან.

[11.6.3 (ე) შენიშვნა: არაფერი ამ პუნქტიდან არ ეწინააღმდეგება იმას, რომ საკმარისად მოტივირებულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ გამოიყენოს სამ კაციანი საბჭო ასეთი ადმინისტრაციული განხილვის ჩასატარებლად, უზრუნველყოს, რომ არც ერთ მათგანს არ ჰქონდეთ მიღებული მონაწილეობა სავარაუდო გამოტოვებული ტესტის წინა შეფასებაში.]

- ვ. თუ ამ განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ 11.4.3 პუნქტის მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული, მაშინ სპორტსმენის ტესტირების წარუმატებელი მცდელობა არ იქნება განხილული, როგორც გამოტოვებული ტესტი რაიმე მიზნით; და

[11.6.3 (ვ) შენიშვნა: ნებისმიერი სპორტსმენისათვის გაგზავნილი შეტყობინება 11.6.3 (ვ) პუნქტის შესაბამისად, რომელიც ადასტურებს

რომ არ ყოფილა გამოტოვებული ტესტი უნდა იყოს გავზავნილი მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოსთვის და სხვა რომელიმე მხარისათვის რომელსაც გასაჩივრების უფლება აქვს კოდექსის მე-13-ე თავის თანახმად, და შეიძლება გასაჩივრდეს მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს ან სხვა ასეთი მხარის მიერ ამ პუნქტის შესაბამისად.]

ზ. თუ სპორტსმენი არ ითხოვს სავარაუდო გამოტოვებული ტესტის ადმინისტრაციულ განხილვას შესაბამის ვადაში, ან თუ ადმინისტრაციული განხილვა მივა გადაწყვეტილებამდე, რომ 11.4.3 პუნქტის ყველა მოთხოვნა იყო დაკმაყოფილებული, მაშინ პასუხისმგებელი ორგანიზაცია არეგისტრირებს ბრალდებას სპორტსმენის მიმართ გამოტოვებული ტესტის შესახებ და უნდა შეატყობინოს ამის შესახებ სპორტსმენს და (კონფიდენციალობის საფუძველზე) მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და სხვა შესაბამის ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, თარიღის ჩათვლით, როდესაც ამას ჰქონდა ადგილი.

[11.6.3 (ზ) შენიშვნა: ეჭვის თავიდან ასაცილებლად, ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელიც ცდილობდა ტესტირებას არ ეკრძალება შეატყობინოს სხვა შესაბამის ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს (მაგრი კონფიდენციალურობის საფუძველზე) სავარაუდო გამოტოვებული ტესტის შესახებ შედეგების მართვის ადრეულ საფეხურზე. პასუხისმგებელ ორგანიზაციას უფლება აქვს გააკეთოს ეს, თუ ჩათვლის საჭიროდ (ტესტირების დაგეგმვის მიზნით ან სხვა).

შეტყობინებამ ასევე უნდა ამცნოს სპორტსმენს, იყო თუ არა მის წინააღმდეგ წაყენებული სხვა ადგილ-მდებარეობის მოთხოვნების დარღვევის ბრალდება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 18 თვიანი პერიოდის მანძილზე ამ გამოტოვებულ ტესტამდე.]

როდესაც ასეთი შეტყობინება იქნება მიღებული, თუ შედეგების მართვაზე პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაცია, როგორც ეს 11.7.5 პუნქტის მიხედვით არის განსაზღვრული და ანტი-დოპინგური ორგანიზაცია, რომელიც ცდილობდა ტესტის ჩატარებას არ არის ერთი და იგივე, მაშინ შედეგების მართვაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას შეუძლია მაშინვე განიხილოს ჩანაწერი, რომ დაადგინოს არის თუ არა საკმარისი გამოტოვებულ ტესტთან დაკავშირებული მტკიცებულება, წარმოდგენილი ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ, რომელიც ცდილობდა ტესტის

ჩატარებას, რომ დადგინდეს ტესტის გამოტოვება კოდექსის 2.4 სტატიის შესაბამისად. განმხილველმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა წამოწოს შეტყობინების გამოძგზავნ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა რაც შეიძლება სწრაფად, მაგ. იგი არ უნდა დაელოდოს სპორტსმენის მიერ ადგილმდებარეობის მოთხოვნის დარღვევის სამამდე დაგროვებას 18 თვიანი პერიოდის მანძილზე. განმხილველი ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ნებისმიერი გადაწყვეტილება იმაზე, რომ სხვა ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ დარეგისტრირებული ადგილმდებარეობის მოთხოვნების შეუსრულებლობა უნდა იყოს იგნორირებული საკმარისი მტკიცებულების ნაკლებობის გამო, უნდა ეცნობოს მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას და სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, რაც კოდექსის მე-13-ე თავის თანახმად დარჩება მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის უფლებით გასაჩივრების საგანი, და არც ერთ შემთხვევაში არ იმოქმედებს ადგილ-სამყოფელის მოთხოვნის შეუსრულებლობის სხვა შემთხვევის კანონიერებაზე, რომელიც ადრე იყო წაყენებული სპორტსმენის მიმართ.

11.6.4 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, რომელიც აგზავნის ან იღებს შეტყობინებას ადგილმდებარეობის მოთხოვნების შეუსრულებლობაზე სპორტსმენის მხრიდან, არ უნდა გაუმხილოს ეს ინფორმაცია სხვას გარდა იმ პირებისა, რომლებმაც საჭიროა რომ იცოდნენ, მანამდე ვიდრე არ დადგინდება, რომ ამ სპორტსმენმა დაარღვია ანტი-დოპინგური წესი კოდექსის 2.4 სტატიის შესაბამისად, ადგილმდებარეობის მოთხოვნების შეუსრულებლობის საფუძველზე. იმ პირებმა, რომლებმაც უნდა იცოდნენ ეს ინფორმაცია, ასევე უნდა შინარჩუნონ მისი კონფიდენციალურობა.

[11.6.4 შენიშვნა: ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას გამოაქვეყნოს ზოგადი სტატისტიკური ანგარიში მის საქმიანობაზე, რომელიც ამჟღავნებს ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების შეუსრულებლობის საერთო რაოდენობას, რომლებიც იყო წაყენებული მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი სპორტსმენების მიმართ გარკვეული პერიოდის მანძილზე, იმის უზრუნველყოფით, რომ არ უნდა იყოს გამოქვეყნებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც ამჟღავნებს მონაწილე სპორტსმენების პიროვნებას. ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ არ უნდა გაამჟღავნოს, ნამდვილად ჩაიდინა თუ არა რომელიმე სპორტსმენმა მის მიმართ წაყენებული (ან არ ჩაიდინა) ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევა.]

11.6.5 პასუხისმგებელმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა აწარმოოს ყველა თითოეული მის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შესული სპორტსმენის მიმართ წაყენებული ადგილმდებარეობის მოთხოვნის

დარღვევის ჩანაწერი. როდესაც სპორტსმენის მიმართ წაყენებულია სამი ადგილ-მდებარეობის მოთხოვნის დარღვევა 18 თვიანი პერიოდის მანძილზე:

- ა. როდესაც ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ მისი ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შესული სპორტსმენისათვის ორჯერ ან მეტჯერ იყო ადგილმდებარეობის მოთხოვნების დარღვევის ბრალდება წაყენებული, მაშინ ის უნდა იყოს პასუხისმგებელი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს მოსმენის პროცედურების ჩატარებას სპორტსმენის წინააღმდეგ კოდექსის 2.4 სტატიის შესაბამისად. თუ არა (მაგალითად, თუ ადგილმდებარეობის შეუსრულებლობის ბრალდებები წაყენებული იყო სამი სხვა და სხვა ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ), მაშინ პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაცია იქნება ის, რომლის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაშიც იყო სპორტსმენი მესამე ბრალდების დროს. თუ სპორტსმენი ამ დროისათვის შედიოდა როგორც საერთაშორისო ასევე ეროვნულ ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, მაშინ პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაცია იქნება საერთაშორისო ფედერაცია.

[11.6.5 (ა) შენიშვნა: პასუხისმგებელ ორგანიზაციას უფლება აქვს მიიღოს სხვა რომელიმე ანტი-დოპინგური ორგანიზაციისაგან მის მიერ ჩაწერილი ინფორმაცია ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევის ბრალდებასთან დაკავშირებული, მას შეუძლია დასაბუთებულად მოითხოვოს ეს ინფორმაცია, იმისათვის რომ შეაფასოს ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევის მტკიცებულების სიმყარე და მასზე დაყრდნობით უზრუნველყოს მოსმენის პროცედურების ჩატარება კოდექსის 2.4 სტატიის შესაბამისად. თუ პასუხისმგებელი ორგანიზაცია გადწყვეტს, რომ ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების შეუსრულებლობის მტკიცებულება არ არის საკმარისი ასეთი პროცედურების ჩასატარებლად კოდექსის 2.4 სტატიის შესაბამისად, მაშინ მან შეიძლება უარი თქვას ამ ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევისათვის პროცედურების მხარდაჭერაზე. პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაციის ნებისმიერი გადწყვეტილება იმაზე, რომ გამოცხადებული ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების შეუსრულებლობა იგნორირებული უნდა იყოს მტკიცებულების ნაკლებობის საფუძველზე უნდა ეცნობოს სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს და მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რაც კოდექსის მე-13-ე თავის თანახმად დარჩება მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის უფლებით გასაჩივრების საგანი, და არც ერთ შემთხვევაში არ იმოქმედებს ადგილ-სამყოფელის მოთხოვნის შეუსრულებლობის სხვა შემთხვევის კანონიერებაზე, რომელიც ადრე იყო წაყენებული სპორტსმენის მიმართ.]

ბ. როდესაც პასუხისმგებელი ანტი-დოპინგური ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს მოსმენის პროცედურების ჩატარებას სპორტსმენის წინააღმდეგ 30 დღის ვადაში, მას შემდეგ რაც ანტი-დოპინგური ორგანიზაცია მიიღებს შეტყობინებას სპორტსმენის მიერ მესამეჯერ ადგილმდებარეობის მოთხოვნების შეუსრულებლობას 18 თვიანი პერიოდის მანძილზე კოდექსის 2.4 სტატიის შესაბამისად, მაშინ ჩაითვლება, რომ პასუხისმგებელმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა, რომ არ ყოფილა ანტი-დოპინგური წესის დარღვევა, იმ მიზნით, რომ გამოწვეული იყოს გასაჩივრების უფლება კოდექსის მე-13-ე თავის თანახმად (განსაკუთრებით 13.4 პუნქტის).

[11.6.5 (ბ) შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც ანტი-დოპინგური ორგანიზაცია აცხადებს სპორტსმენის მიერ ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევის შესახებ, მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მოთხოვნის თანახმად აწოდებს მას შემდგომში იმ ინფორმაციას, რომელსაც მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაცია მოითხოვს იმისათვის რომ შეაფასოს ამ ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევის მტკიცებულებების სიმყარე და (როდესაც საჭიროდ ჩათვლის) შეიტანოს საჩივარი კოდექსის მე-13-ე თავის თანახმად.]

11.6.6 სპორტსმენი, რომელზედაც გამოცხადებულია რომ დაარღვია ანტი-დოპინგური წესები კოდექსის 2.4 სტატიის შესაბამისად, უფლება ექნება განხილულ იყოს მისი ბრალდება სრული მტკიცებულებების განხილვით მოსმენის პროცესზე კოდექსის მე-8-ე თავის თანახმად. მოსმენის საბჭოზე არ უნდა მოახდინოს გავლენა შედეგების ანალიზის დროს მიღებულმა რაიმე გადაწყვეტილებამ, როგორც რომელიმე განმარტების ადეკვატურობამ, რომელიც წარმოდგენილი იქნება ადგილმდებარეობის მოთხოვნების შეუსრულებლობის მტკიცებულებად ან პირიქით. ამის ნაცვლად ტვირთი დააწვება ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელმაც მოსმენისას უნდა უზრუნველყოს ადგილმდებარეობის მოთხოვნების შეუსრულებლობის ყველა აუცილებელი ელემენტის დადგენა.

[11.6.6 შენიშვნა: არაფერი არ უშლის ხელს ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეეწინააღმდეგოს სპორტსმენის მიერ წარმოდგენილ არგუმენტს იმ საფუძველზე, რომ შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ არ იყო წარმოდგენილი შედეგების მართვის პროცესის ადრეულ საფეხურზე.]

ანტი-დოპინგური ორგანიზაცია, რომელიც ატარებს მოსმენებს სპორტსმენის წინააღმდეგ კოდექსის 2.4 სტატიის მიხედვით, კეთილსინდისიერად უნდა განიხილოს ასევე დაეკისროს თუ არა მოსმენების შედეგების მომლოდინე

სპორტსმენს სასჯელად დროებითი განთავისუფლება კოდექსის 2.4 სტატიის თანახმად.

თუ მოსმენის საბჭო გადაწყვეტს, რომ დადგენილია ერთი (ან ორი) ადგილ-სამყოფელის მოთხოვნის დარღვევა სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, მაგრამ მესამე შემთხვევა არ არის დამტკიცებული, მაშინ კოდექსის 2.4 სტატიის არავითარ დარღვევას არ ჰქონია ადგილი. მაგრამ თუ სპორტსმენი შემდგომში ჩაიდენს ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევას შესაბამის 18 თვიან პერიოდში, ჩატარდება ახალი მოსმენა ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევის და შემდგომში ჩადენილი ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევის კომბინაციის საფუძველზე წინა მოსმენის საბჭოს დასაკმაყოფილებლად კოდექსის 3.2.3 სტატიის შესაბამისად.

სპორტსმენის მიერ ანტი-დოპინგური წესების დარღვევა კოდექსის 2.4 პუნქტის თანახმად იწვევს შემდეგ შედეგებს

- ა. შეიჯიბრებიდან განთავისუფლება კოდექსის 10.3.3 პუნქტის (პირველი დარღვევა) ან 10.7 პუნქტის (მეორე დარღვევა) შესაბამისად; და
- ბ. კოდექსის 10.8 პუნქტის თანახმად (ვიდრე სამართლიანობა სხვაგვარად არ მოითხოვს) ყველა ინდივიდუალური შედეგის დისკვალიფიკაცია, რომელსაც სპორტსმენი მიაღწევს დოპინგის წესების დარღვევის დღიდან იმ დღემდე, როდესაც მას დაეკისრება პირობითი სასჯელი ან შეიჯიბრებიდან განთავისუფლება, ყველა გამომდინარე შედეგის ჩათვლით, ყველა მედლის, ქულების და პრიზების ჩამორთმევით. ამ მიზნებისათვის, ანტი-დოპინგური წესების დარღვევა დაფიქსირდება იმ დღეს, როდესაც მოსმენის საბჭო დაადგენს, რომ ადგილ-სამყოფელის მოთხოვნების დარღვევა სპორტსმენის მიერ მოხდა მესამეჯერ

სპორტსმენის მიერ ანტი-დოპინგური წესების დარღვევის ზემოქმედება იმ გუნდის შედეგებზე, რომელშიც სპორტსმენი თამაშობდა შესაბამისი პერიოდის მანძილზე კოდექსის 2.4 პუნქტის შეაბამისად განისაზღვრება კოდექსის მე-11-ე თავის შესაბამისად.]

11.7 ანტი-დოპინგური ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ადგილმდებარეობის მოთხოვნებზე

11.7.1 საერთაშორისო ფედერაცია პასუხისმგებელია შემდეგზე:

- ა. სპორტსმენების შერჩევა საერთაშორისო ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შესაყვანად, და დრო და დრო ბაზაში შესულ

სპორტსმენთა სიის გადახედვა, ყველაფერი ეს კოდექსის 14.3 და 11.2 პუნქტების შესაბამისად;

ბ. სპორტსმენისათვის შეტყობინების გაგზავნა მისი საერთაშორისო ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შეყვანის თაობაზე პირადად მისთვის, ან ეროვნული ფედერაციის ან ოლიმპიური/პარალიმპიური კომიტეტის საშუალებით, რომელსაც საერთაშორისო ფედერაცია დაავალებს სპორტსმენისათვის შეტყობინების მიწოდებას:

1. იმ ფაქტის შესახებ, რომ ის შეყვანილია საერთაშორისო ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში;
2. ადგილმდებარეობის მოთხოვნების შესახებ, რომელსაც სპორტსმენი უნდა აკმაყოფილებდეს მისი ბაზაში შეყვანის შედეგად; და
3. შესაძლო შედეგები, თუ ის დაარღვევს ასეთ მოთხოვნებს;

გ. შეთანხმება ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციისთან 11.3.1 პუნქტის შესაბამისად, თუ რომელი მათგანი აიღებს პასუხისმგებლობას სპორტსმენის ადგილმდებარეობის მონაცემების მიღებაზე, რომელიც შედის ორივეს ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის და საერთაშორისო ფედერაციის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში;

დ. ადვილად ასათვისებელი სისტემის შექმნა ადგილმდებარეობის ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და გაზიარებისათვის, სასურველია ონლაინ სისტემა (რომელიც შეძლებს დაარეგისტრიროს, ვის შეაქვს ინფორმაცია და როდის) ან უკიდურეს შემთხვევაში ფაქსი, ელ-ფოსტა ან სმს-ით შეტყობინების გაგზავნა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იყოს:

1. სპორტსმენის მიერ მოწოდებული ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცულობა (იდეალურ შემთხვევაში ანტი-დოპინგური ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის სისტემაში (აამს) ან მსგავსი ფუნქციის ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზაში);
2. ინფორმაცია ხელმისაწვდომი შეიძლება იყოს მხოლოდ (ა) საერთაშორისო ფედერაციის სახელით მოქმედი უფლებამოსილი პირებისათვის მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში; (ბ) მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციისათვის; და (გ) სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ სპორტსმენის ტესტირების იურისდიქცია კოდექსის 14.3 პუნქტის შესაბამისად; და
3. ინფორმაცია ყოველთვის დაცული უნდა იყოს მკაცრი კონფიდენციალურობის პირობებში, გამოყენებული უნდა იყოს

ექსკლუზიურად საერთაშორისო ფედერაციის მიერ ტესტირების დაგეგმვის, კოორდინაციის და ჩატარების მიზნით, და გამჟღავნებული უნდა იყოს შესაბამისი კონფიდენციალურობის მოთხოვნების გათვალისწინებით, როდესაც აღარ არის მიმდინარე;

ე. შედეგების მართვის ჩატარება 11.6 პუნქტის შესაბამისად, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

1. ნებისმიერი ადგილმდებარეობის რეგისტრაციის მოთხოვნების დარღვევა სპორტსმენის მიერ, რომელიც შედის საერთაშორისო ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში (თუ სპორტსმენი ასევე შედის ეროვნულ ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში და თავისი ადგილმდებარეობის მონაცემები შეაქვს ეროვნული ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, მაშინ სპორტსმენის მიერ ადგილმდებარეობის რეგისტრაციის მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებულ შედეგების ანალიზის პროცესს ატარებს ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია); და

2. გამოტოვებული ტესტის ბრალდება ამ სპორტსმენის მიმართ, როდესაც საერთაშორისო ფედერაციის მიერ იყო ტესტის ჩატარების წარუმატებელი მცდელობა; და

ვ. 11.6.5 (ა) პუნქტში განსაზღვრულ შემთხვევაში, დისციპლინარული პროცედურების ჩატარება სპორტსმენის მიმართ კოდექსის 2.4 პუნქტის თანახმად.

11.7.2 11.7.1 პუნქტის მიუხედავად:

ა. საერთაშორისო ფედერაციამ შეიძლება შესთავაზოს და ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია დაეთანხმოს ზოგიერთი ან ყველა მოვალეობის შესრულებას, რომლებიც გადმოცემულია ქვე პუნქტებში 11.7.1 (ბ)-დან (ე)-მდე;

ბ. საერთაშორისო ფედერაციას შეუძლია ზოგიერთი ან ყველა მოვალეობის შესრულება, გადმოცემული პუნქტში 11.7.1 დაავალოს სპორტსმენის ეროვნულ ფედერაციას; ან

გ. როდესაც მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაცია დაადგენს, რომ საერთაშორისო ფედერაცია არ ასრულებს თავის ზოგიერთ ან ყველა მოვალეობას, რომლებიც დადგენილია 11.7.1 პუნქტში, მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციას შეუძლია ზოგიერთი ან ყველა ეს

მოვალეობა გადასცეს რომელიმე სხვა შესაბამის ანტიდოპინგურ ორგანიზაციას.

11.7.3 ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია პასუხისმგებელია: T

- ა. შეარჩიოს სპორტსმენები ეროვნულ ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შესაყვანად, და პერიოდულად საჭიროების შემთხვევაში გადახედოს სპორტსმენთა სიას, ყველაფერი ეს კოდექსის 14.3 სტატიის და 11.2 პუნქტის შესაბამისად;
- ბ. შეტყობინება გაუგზავნოს ყველა სპორტსმენს, რომელიც შერჩეულია ეროვნულ ტესტირების სარეგისტრაციო ბაზაში შესაყვანად:
 - 1. იმ ფაქტის შესახებ, რომ ის შერჩეულია ეროვნულ ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შესაყვანად;
 - 2. ადგილმდებარეობის მოთხოვნების შესახებ, რომელსაც ის ვალდებულია დაემორჩილოს მისი ეროვნულ ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შეყვანის შედეგად; და
 - 3. შესაძლო შედეგების შესახებ, თუ ის დაარღვევს ასეთ მოთხოვნებს;
- გ. შეთანხმდეს საერთაშორისო ფედერაციასთან 11.3.1 პუნქტის შესაბამისად, რომელი მათგანი იქნება პასუხისმგებელი იმ სპორტსმენის ადგილმდებარეობის მონაცემების მიღებაზე, რომელიც შედის ორივე ეროვნული ანტი-დოპინგური სააგენტოს და საერთაშორისო ფედერაციის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში;
- დ. ადვილად ასათვისებელი სისტემის შექმნა ადგილმდებარეობის ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და გაზიარებისათვის, სასურველია ონლაინ სისტემა (რომელიც შეძლებს დაარეგისტრიროს, ვის შეაქვს ინფორმაცია და როდის) ან უკიდურეს შემთხვევაში ფაქსი, ელ-ფოსტა ან სმს-ით შეტყობინების გაგზავნა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იყოს:
 - 1. სპორტსმენის მიერ მოწოდებული ინფორმაციის უსაფრთხოება და დაცულობა (იდეალურ შემთხვევაში ანტი-დოპინგური ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის სისტემაში (აამს) ან მსგავსი ფუნქციის ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზაში);
 - 3. ინფორმაცია ყოველთვის დაცული უნდა იყოს მკაცრი კონფიდენციალურობის პირობებში, გამოყენებული უნდა იყოს

ექსკლუზიურად ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ ტესტირების დაგეგმვის, კოორდინაციის და ჩატარების მიზნით, და გამჟღავნებული უნდა იყოს შესაბამისი კონფიდენციალურობის მოთხოვნების გათვალისწინებით, როდესაც აღარ არის მიმდინარე;

ე. შედეგების ანალიზის ჩატარება 11.6 პუნქტის შესაბამისად, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

1. ნებისმიერი ადგილმდებარეობის რეგისტრაციის მოთხოვნების დარღვევა სპორტსმენის მიერ, რომელიც შედის ეროვნული ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში (თუ სპორტსმენი ასევე შედის საერთაშორისო ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში და თავისი ადგილმდებარეობის მონაცემები შეაქვს საერთაშორისო ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, მაშინ სპორტსმენის მიერ ადგილმდებარეობის რეგისტრაციის მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებულ შედეგების მართვის პროცესს ატარებს საერთაშორისო ფედერაცია); და

2. გამოტოვებული ტესტის ბრალდება ამ სპორტსმენის მიმართ, როდესაც ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ იყო ტესტის ჩატარების წარუმატებელი მცდელობა; და

ვ. 11.6.5 (ა) პუნქტში განსაზღვრულ შემთხვევაში, დისციპლინარული პროცედურების ჩატარება სპორტსმენის მიმართ კოდექსის 2.4 პუნქტის თანახმად.

11.7.4 11.7.3 პუნქტის მიუხედავად:

ა. ეროვნულმა ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ შეიძლება შესთავაზოს ზოგიერთი ან ყველა მოვალეობის შესრულება, რომლებიც გადმოცემულია პუნქტში 11.7.3 სპორტსმენის შესაბამის ეროვნულ ფედერაციას ან შესაბამის ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს სპორტსმენზე იურისდიქცია;

ბ. თუ არ არსებობს შესაბამისი ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაცია, მაშინ ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციის პასუხისმგებლობას 11.7.3 პუნქტის თანახმად თავის თავზე აიღებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი; და

გ. როდესაც მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაცია დაადგენს, რომ 11.7.3 პუნქტში დადგენილი მოვალეობები არ სრულდება, მას შეუძლია

ზოგიერთი ან ყველა ეს მოვალეობა გადასცეს რომელიმე სხვა შესაბამის ანტიდოპინგურ ორგანიზაციას.

11.7.5 მისთვის 11.7.2 და 11.7.4 პუნქტების შესაბამისად დაკისრებული მოვალეობებზე დამატებით, ეროვნულმა ფედერაციამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ დაეხმაროს ეროვნულ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი სპორტსმენების ადგილმდებარეობის მონაცემების შეგროვებაში (შეზღუდვის გარეშე) ამ მიზნით თავის წესებში სპეციალური პირობის შეტანით.

11.7.6 ნებისმიერ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს ტესტირების იურისდიქცია ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში შესულ სპორტსმენზე (იხილეთ კოდექსის მე-15-ე თავი):

ა. შეუძლია ნახოს ამ სპორტსმენის ადგილმდებარეობის შესახებ ფაილი, რომელიც რეგისტრირებულია სპორტსმენის ეროვნული ანტიდოპინგური ორგანიზაციის ან საერთაშორისო ფედერაციის ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, ტესტირებისათვის გამოსაყენებლად კოდექსის 14.3 მუხლის თანხმად, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

1. მან უნდა უზრუნველყოს, რომ ასეთი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ ანტი-დოპინგური ორგანიზაციის სახელით მოქმედი უფლებამოსილი პირებისთვის მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის დაცული იყოს მკაცრი კონფიდენციალურობის პირობებში, გამოყენებული იყოს ექსკლუზიურად მხოლოდ ტესტირების დაგეგმვის, კოორდინირებისა და ჩატარებისათვის, და გამჟღავნებული იყოს მხოლოდ კონფიდენციალურობის შესაბამისი მოთხოვნების შესაბამისად, როდესაც ის აღარ იქნება მიმდინარე; და
2. კოდექსის 15.2 სტატიის მიხედვით სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს სინჯის აღების აქტივობის კოორდინირებას სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან, იმისათვის რომ მიღწეული იყოს კომბინირებული ტესტის მცდელობის მაქსიმალური ეფექტურობა და თავიდან იყოს აცილებული ინდივიდუალური სპორტსმენის უსარგებლო განმეორებითი ტესტირება;

ბ. მან ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებელი დოპინგ კონტროლის ოფიცერი უნდა უზრუნველყოს სპორტსმენის ადგილმდებარეობის უახლესი ინფორმაციით და მისცეს გარკვეული ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა ეცადოს სპორტსმენის მოძებნა 11.4.3 (დ) პუნქტის შესაბამისად;

გ. მან უნდა ჩაატაროს ნებისმიერი გამოტოვებული ტესტის შედეგების მართვა, რომელიც წამოიჭრა მის მიერ სპორტსმენის ტესტირების მცდელობისას, 11.6.3 პუნქტის შესაბამისად;

[11.7.6 (ვ) შენიშვნა: როდესაც ანტი-დოპინგური ორგანიზაცია ცდილობს ტესტირების ჩატარებას სხვა ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან შეთანხმებით, ამ შეთანხმებამ უნდა განსაზღვროს, რომ ეს ანტი-დოპინგური ორგანიზაცია ჩაატარებს გამოტოვებული ტესტის შედეგების მართვას, რომელიც წამოიჭრება მისი მცდელობის შედეგად ჩაატაროს ტესტირება.

დ. მან წარუმატებელი მცდელობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს სპორტსმენზე პასუხისმგებელ ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, 11.4.3 (თ) პუნქტის შესაბამისად; და

ე. მან მის მიერ ასეთი ადგილმდებარეობის მოთხოვნების დარღვევის გამოძიებაში და აქედან გამომდინარე ნებისმიერის მოსმენის მოწვევაში, მოწმეების წარმოდგენისას ან/და დამასტურებელი შემდგომი ინფორმაციის წარმოდგენისას, ნებისმიერი დისციპლინარული ან დაკავშირებული მოსმენების ჩატარებისას, მის ცოდნაზე დამყარებული ფაქტების წარმოდგენისას, რომლებიც ემყარება მტკიცებულებებს უნდა ითანამშრომლოს პასუხისმგებელ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან და/ან მსოფლიო ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან მათი საფუძვლიანი თხოვნის შესაბამისად.

ნაწილი სამი: დანართები

დანართი ა მოთხოვნების შესაძლო დარღვევის გამოძიება

ა.1 მიზანი

უზრუნველყოფილი იყოს ყველა მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებული შემთხვევის შეფასება, რომელიც მოხდება სინჯის აღებამდე, სინჯის აღების დროს და მისი დასრულებისას, და რომელიც იქნება დოკუმენტირებული და შესაბამისად რეაგირებული.

ა.2 მასშტაბი

შესაძლო მოთხოვნების დარღვევის გამოძიება იწყება, როდესაც ანტი-დოპინგური ორგანიზაცია ან დოპინგ კონტროლის ოფიცერი შეიტყობს შესაძლო მოთხოვნების დარღვევის შესახებ და მთავრდება, როდესაც ანტი-დოპინგური ორგანიზაცია მიიღებს შემდგომ შესაბამის ზომებს მისი გამოძიების შედეგების საფუძველზე.

ა.3 პასუხისმგებლობა

ა.3.1 ანტი-დოპინგური ორგანიზაცია პასუხისმგებელია უზრუნველყოს:

- ა) შესაძლო მოთხოვნების დარღვევის გამოძიება შესაბამისი ინფორმაციასა და დოკუმენტაციის საფუძველზე.
- ბ) სპორტსმენს ან სხვა მხარეს მიეწოდოს წერილობითი ინფორმაცია შესაძლო მოთხოვნების დარღვევის თაობაზე და ჰქონდეს პასუხის გაცემის შესაძლებლობა.
- გ) შეფასების პროცესი იყოს დოკუმენტირებული.
- დ) საბოლოო გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი იყოს სხვა ანტი-დოპინგური ორგანიზაციებისათვის კოდექსის შესაბამისად.

ა. 3.2 დოპინგ კონტროლის ოფიცერი პასუხისმგებელია:

- ა) შეატყობინოს სპორტსმენს ან სხვა მხარეს შესაძლო მოთხოვნების დარღვევის შედეგების შესახებ.
- ბ) დაასრულოს სპორტსმენისათვის სინჯის აღების პროცესი, როდესაც შესაძლებელი იქნება.

გ) უზრუნველყოს დეტალური წერილობითი ანგარიში შესაძლო მოთხოვნების დარღვევაზე.

ა.3.3 სინჯის ამღები პერსონალი პასუხისმგებელია:

ა) შეატყობინოს სპორტსმენს ან სხვა მხარეს შესაძლო მოთხოვნების დარღვევის შედეგების შესახებ.

ბ) შეატყობინოს დოპინგ კონტროლის ოფიცერს შესაძლო მოთხოვნების დარღვევის შესახებ.

ა.4 მოთხოვნები

ა.4.1 ნებისმიერი პოტენციური მოთხოვნების დარღვევის შესახებ უნდა ეცნობოს დოპინგ კონტროლის ოფიცერს და/ან შემდეგში ანტიდოპინგურ ორგანიზაციას, როდორც კი შესაძლებელი იქნება.

ა.4.2 თუ ანტი-დოპინგური ორგანიზაცია დაადგენს, რომ ადგილი ჰქონდა პოტენციურ მოთხოვნების დარღვევას, სპორტსმენს ან სხვა მხარეს წერილობით უნდა ეცნობოს:

ა) შესაძლო შედეგების შესახებ;

ბ) იმის შესახებ, რომ პოტენციური მოთხოვნების დარღვევა გამოძიებული იქნება ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ და შემდგომში მიღებული იქნება შესაბამისი ზომები.

ა.4.3 ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია პოტენციურ მოთხოვნების დარღვევაზე მოპოვებული იქნება ყველა შესაბამისი წყაროსაგან, სპორტსმენის ან მესამე მხარის ჩათვლით რაც შეიძლება მალე და იქნება რეგისტრირებული.

ა.4.4 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შექმნას სისტემა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოტენციური მოთხოვნების დარღვევის გამოძიების შედეგები გათვალისწინებული იყოს შედეგების ანალიზის პროცესის დროს და თუ შესაძლებელია შემდგომი დაგეგმვისა და მიზნობრივი ტესტირებისათვის.

დანართი ბ ცვლილებები უნარშეზღუდული სპორტსმენებისათვის

ბ.1 მიზანი

უზრუნველყოფილი იყოს ინვალიდი სპორტსმენების განსაკუთრებული მოთხოვნების შეძლებისდაგვარად გათვალისწინება, სინჯის აღების პროცესის მთლიანობის დარღვევის გარეშე.

ბ.2 მასშტაბი

ცვლილებების საჭიროების განსაზღვრა იწყება სიტუაციაში გარკვევით, როდესაც სინჯის აღება ხდება ინვალიდი სპორტსმენისათვის და მთავრდება სინჯის აღების პროცესის და აღჭურვილობის ცვლილებებით საჭიროების და შესაძლებლობის მიხედვით.

ბ.3 პასუხისმგებლობა

ანტი-დოპინგური ორგანიზაცია პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ დოპინგ კონტროლის ოფიცერს ჰქონდეს ნებისმიერი ინფორმაცია და სინჯის ასაღები შესაფერისი აღჭურვილობა ინვალიდი სპორტსმენისათვის სინჯის აღების პროცესის ჩასატარებლად.

დოპინგ კონტროლის ოფიცერი პასუხისმგებელია სინჯის აღებაზე.

ბ.4 მოთხოვნები

ბ.4.1 შეტყობინების და სინჯის აღების ყველა ასპექტი ინვალიდი სპორტსმენისათვის ჩატარდება სტანდარტული შეტყობინებისა და სინჯის აღების მიხედვით, ვიდრე საჭირო არ იქნება ცვლილებები სპორტსმენის ინვალიდობიდან გამომდინარე.

ბ.4.2 სინჯის აღების დაგეგმვისას ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ და დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ინვალიდი სპორტსმენისათვის სინჯის აღებისას შეიძლება საჭირო გახდეს ცვლილებების შეტანა შეტყობინების ან სინჯის აღების სტანდარტულ პროცედურებში, სინჯის ასაღები აღჭურვილობის და გარემო პირობების ჩათვლით.

ბ.4.3 დოპინგ კონტროლის ოფიცერს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება შეიტანოს ცვლილებები, როდესაც შესაძლებელია სიტუაციიდან გამომდინარე, ისე რომ არ დაირღვეს სინჯის იდენტურობა, მთლიანობა და უსფრთხოება. ყველა ასეთი ცვლილება უნდა იყოს დაფიქსირებული დოკუმენტალურად.

ბ.4.4 სპორტსმენს ინტელექტუალური, ფიზიკური ან სენსორული ნაკლით სინჯის აღების პროცესის დროს შეუძლია ახლდეს მისი წარმომადგენელი ან

სინჯის ამღები პერსონალი, როდესაც სპორტსმენი უფლებამოსილებას ანიჭებს მას და შეთანხმებულია დოპინგ კონტროლის ოფიცერთან.

ბ.4.5 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გადაწყვიტოს ალტერნატიული აღჭურვილობის ან გარემოს გამოყენება, იმისათვის რომ სპორტსმენს მიეცეს სინჯის აღების საშუალება, ისე რომ არ დაირღვეს სინჯის იდენტურობა, მთლიანობა და უსფრთხოება.

ბ.4.6 სპორტსმენები, რომლებიც ხმარობენ საშარდე ან დრენაჟის სისტემებს, მოეთხოვებათ ამ სისტემების შარდისგან განთავისუფლება, ვიდრე ჩააბარებენ შარდის სინჯს ანალიზისათვის. თუ შესაძლებელია, არსებული საშარდე ან დრენაჟის სისტემა უნდა გამოიცივლოს ახლით.

ბ.4.7 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა დააფიქსიროს ცვლილებები, რომლებიც შეეა სტანდარტულ პროცესში ინვალიდი სპორტსმენის სინჯის აღების პროცედურების დროს, ნებისმიერი მოქმედი ცვლილების ჩათვლით, რომლებიც აღწერილია ზემოთ.

დანართი გ ცვლილებები უმცროსი ასაკის სპორტსმენებისათვის

გ.1 მიზანი

უზრუნველყოფილი იყოს უმცროსი ასაკის სპორტსმენების სინჯის აღებასთან დაკავშირებული აუცილებლობის დაკმაყოფილება, სინჯის აღების პროცესის მთლიანობის დარღვევის გარეშე.

გ.2 მასშტაბი

ცვლილებების საჭიროების განსაზღვრა იწყება სიტუაციაში გარკვევით, როდესაც სინჯის აღება ხდება უმცროსი ასაკის სპორტსმენებისათვის და მთავრდება სინჯის აღების პროცესის ცვლილებებით საჭიროების და შესაძლებლობის მიხედვით.

გ.3 პასუხისმგებლობა

ანტი-დოპინგური ორგანიზაცია პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ დოპინგ კონტროლის ოფიცერს ჰქონდეს ნებისმიერი ინფორმაცია, უმცროსი ასაკის სპორტსმენის სინჯის აღების პროცესის ჩასატარებლად ამაში შედის პუნქტი მშობლის თანხმობაზე, როდესაც ტესტირება ტარდება ღონისძიებაზე.

გ.4 მოთხოვნები

გ.4.1 შეტყობინების და სინჯის აღების ყველა ასპექტი უმცროსი ასაკის სპორტსმენისათვის ჩატარდება სტანდარტული შეტყობინებისა და სინჯის აღების მიხედვით, ვიდრე საჭირო არ იქნება ცვლილებები სპორტსმენის უმცროსი ასაკიდან გამომდინარე.

გ.4.2 სინჯის აღების დაგეგმვისას ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ და დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა გაითვალისწინონ, რომ უმცროსი ასაკის სპორტსმენისათვის სინჯის აღებისას შეიძლება საჭირო გახდეს ცვლილებების შეტანა შეტყობინების ან სინჯის აღების სტანდარტულ პროცედურებში.

გ.4.3 დოპინგ კონტროლის ოფიცერს და ანტიდოპინგურ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება სიტუაციიდან გამომდინარე შეიტანოს ცვლილება, თუ შესაძლებელია, ისე რომ არ დაირღვეს სინჯის იდენტიფიკაცია, მთლიანობა და უსფრთხოება.

გ.4.4 უმცროსი ასაკის სპორტსმენებს შეუძლიათ ახლდეთ თავისი წარმომადგენელი მთელი სინჯის აღების პროცესის განმავლობაში. წარმომადგენელი არ დაესწრება უშუალოდ შარდის სინჯის ჩაბარებას,

თუ ამას არ სთხოვს უმცროსი ასაკის სპორტსმენი. მიზანი არის ის, რომ უზრუნველყოფილი იყოს დოპინგ კონტროლის ოფიცრის მიერ სინჯის ჩაბარების პროცესის დაკვირვება. მაშინაც კი თუ უმცროსი ასაკის სპორტსმენი უარს ამბობს წარმომადგენელზე, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ, დოპინგ კონტროლის ოფიცერმა ან ჩაპერონმა (თანხმდებმა პირმა) უნდა გაითვალისწინონ და გადწვევიტონ, უნდა დაესწროს თუ არა მესამე მხარე შეტყობინების მიღებას ან სინჯის აღებას.

გ.4.5 უმცროსი ასაკის სპორტსმენების შემთხვევაში, დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა განსაზღვროს, ვინ დაესწრება დამატებით სინჯის ამღებ პერსონალთან ერთად სინჯის აღების პროცესს, უმცროსი ასაკის სპორტსმენის წარმომადგენელი სინჯის აღების პროცესზე დასაკვირვებლად (დოპინგ კონტროლის ოფიცრის დაკვირვების ჩათვლით, როდესაც სპორტსმენი აბარებს შარდის სინჯს, მაგრამ არა პირდაპირ შარდის სინჯის აღების პროცესს, ვიდრე ამას არ სთხოვს უმცროსი ასაკის სპორტსმენი), თუ დოპინგ კონტროლის ოფიცრის/კომპანიონის წარმომადგენელი დოპინგ კონტროლის ოფიცრის/კომპანიონის დასაკვირვებლად, როდესაც უმცროსი ასაკის სპორტსმენი აბარებს შარდის სინჯს, მაგრამ არა პირდაპირ შარდის ჩაბარების პროცესზე დაკვირვებით, ვიდრე ამას არ სთხოვს სპორტსმენი.

გ.4.6 თუ უმცროსი ასაკის სპორტსმენი უარს ამბობს თავისი წარმომადგენლის დასწრებაზე სინჯის აღების პროცესის განმავლობაში, ეს უნდა იყოს დაფიქსირებული დოკუმენტალურად დოპინგ კონტროლის ოფიცრის მიერ. ეს არ გამოიწვევს ტესტის გაუქმებას, მაგრამ უნდა იყოს რეგისტრირებული. თუ უმცროსი ასაკის სპორტსმენი უარს ამბობს წარმომადგენლის დასწრებაზე, უნდა დაესწროს დოპინგ კონტროლის ოფიცრის/კომპანიონის წარმომადგენელი.

გ.4.7 თუ უმცროსი ასაკის სპორტსმენი მოხვდება ტესტირების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში, სასურველი შეხვედრის ადგილი ყველა არასამედიცინო ტესტირებისათვის იქნება ადგილი, სადაც იმყოფებიან მოხრდილები, მაგ. ვარჯიშის ადგილი.

გ.4.8 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს მოქმედების კურსი, როდესაც უმცროსი ასაკის სპორტსმენის ტესტირებას არ ესწრება უფროსი, და ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა მიუჩინოს უფროსი, რომ გააგრძელოს ტესტირება.

დანართი დ შარდის სინჯის აღება

დ.1 მიზანი

სპორტსმენის შარდის სინჯის აღება იმ წესით, რომელიც უზრუნველყოფს:

- ა) შესაბამისობას საერთაშორისოდ აღიარებული ჯანდაცვის სტანდარტებთან, რომ არ იყოს საფრთხის ქვეშ დაყენებული სპორტსმენის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება და სინჯის ამღები პერსონალი;
- ბ) სინჯი აკმაყოფილებს შარდის ანალიზისათვის სპეციფიკური კუთრი წონის და შესაბამისი მოცულობის მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა არავითარ შემთხვევაში არ აუქმებს სინჯის ვარგისიანობას ანალიზისათვის. ანალიზისათვის სინჯის ვარგისიანობას განსაზღვრავს შესაბამისი ლაბორატორია ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან კონსულტაციით.
- გ) სინჯი არ იყოს მანიპულირებული, შეცვლილი, დაბინძურებული ან სხვაგვარად შეხებული.
- დ) სინჯის სუფთად და ზუსტად იდენტიფიცირება; და
- ე) სინჯის უსაფრთხოდ დაბეჭდვა ხელშეუხებელ კომპლექტში.

დ.2 მასშტაბი

შარდის სინჯის აღება იწყება სპორტსმენის შეტყობინების უზრუნველყოფით სინჯის აღების მოთხოვნების შესახებ და მთავრდება შარდის ნარჩენის მოცილებით სპორტსმენის სინჯის აღების პროცესის დასრულებისას.

დ.3 პასუხისმგებლობა

დ.3.1 დოპინგ კონტროლის ოფიცერი პასუხისმგებელია თითოეული სინჯის სწორად აღების, იდენტიფიცირების და დაბეჭდვის უზრუნველყოფაზე.

დ.3.2 დოპინგ კონტროლის ოფიცერი/კომპანიონი პასუხისმგებელია უშუალოდ სინჯის ჩაბარების პროცესზე დასწრებაზე.

დ.4 მოთხოვნები

დ.4.1 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა უზრუნველყოს სპორტსმენისათვის ინფორმაციის მიწოდება სინჯის აღების პროცესის მოთხოვნების შესახებ, დანართში ბ აღწერილი ცვლილებების ჩათვლით ცვლილებები ინვალიდი სპორტსმენებისათვის.

დ.4.2 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა უზრუნველყოს, რომ სპორტსმენს ჰქონდეს სინჯის ასაღები შესაფერისი აღჭურვილობის არჩევანის საშუალება. თუ სპორტსმენის ინვალიდობა მოითხოვს მის მიერ დამატებითი ან სხვა აღჭურვილობის გამოყენებას, როგორც ეს აღწერილია დანართში ბ ცვლილებები ინვალიდი სპორტსმენებისათვის, დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა შეამოწმოს ეს აღჭურვილობა, რომ ის არ იმოქმედებს სინჯის იდენტირობაზე ან მთლიანობაზე.

დ.4.3 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა რჩევა უნდა მისცეს სპორტსმენს სინჯის ასაღები ჭურჭლის შესარჩევად.

დ.4.4 როდესაც სპორტსმენი აირჩევს სინჯის ასღებ ჭურჭელს და სხვა სინჯის ასაღებ აღჭურვილობას, რომელშიც გროვდება შარდის სინჯი, დოპინგ კონტროლის ოფიცერი რჩევას აძლევს სპორტსმენს შეამოწმოს, რომ ყველა სინჯის ჭურჭლის ლუქი იყოს ხელშეუხებელი და აღჭურვილობა იყოს დაუზიანებელი. თუ სპორტსმენი არ არის კმაყოფილი შერჩეული აღჭურვილობით, მას შეუძლია აირჩიოს სხვა. თუ სპორტსმენი არ არის კმაყოფილი არცერთი აღჭურვილობით, ეს უნდა იყოს დოკუმენტალურად დაფიქსირებული დოპინგ კონტროლის ოფიცერის მიერ.

თუ დოპინგ კონტროლის ოფიცერი არ ეთანხმება სპორტსმენს, რომ არც ერთი ასარჩევად ხელმისაწვდომი აღჭურვილობა არ არის დამაკმაყოფილებელი, მაშინ დოპინგ კონტროლის ოფიცერი რჩევას აძლევს სპორტსმენს გააგრძელოს სინჯის აღების პროცესი.

თუ დოპინგ კონტროლის ოფიცერი ეთანხმება სპორტსმენს, რომ არც ერთი ასარჩევად ხელმისაწვდომი აღჭურვილობა არ არის დამაკმაყოფილებელი, მაშინ დოპინგ კონტროლის ოფიცერი წყვეტს სპორტსმენის შარდის სინჯის აღების პროცესს და ეს ფაქტი დოკუმენტალურად უნდა იყოს დაფიქსირებული მის მიერ.

დ.4.5 სპორტსმენმა სინჯის ჭურჭელზე და ნებისმიერ სინჯზე კონტროლი უნდა გააგრძელოს მის დალუქვამდე, თუ დახმარება არ ესაჭიროება ინვალიდობის გამო, როგორც ეს აღწერილია დანართში ბ ცვლილებები ინვალიდი სპორტსმენთათვის. გამონაკლის შემთხვევებში, დახმარება შეიძლება გაეწიოს ნებისმიერ სპორტსმენს სინჯის აღების პროცესში მისი წარმომადგენლის მიერ ან სინჯის ამღები პერსონალის მიერ, თუ იგი უფლებამოსილია სპორტსმენის მიერ და შეთანხმებულია დოპინგ კონტროლის ოფიცერთან.

დ.4.6 დოპინგ კონტროლის ოფიცერი/კომპანიონი, რომელიც ესწრება სინჯის ჩაბარების პროცესს უნდა იყოს იმავე სქესის, როგორც სინჯის ჩამბარებელი სპორტსმენი.

დ.4.7 დოპინგ კონტროლის ოფიცერი/კომპანიონი, საჭიროების შემთხვევაში ურჩევს სპორტსმენს სინჯის აღების წინ კარგად დაიბანოს ხელები.

დ.4.8 დოპინგ კონტროლის ოფიცერი/კომპანიონი და სპორტსმენი სინჯის ასაღებად მიდიან განმარტოებულ ადგილას.

დ.4.9 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა/კომპანიონმა განუწყვეტლივ უნდა ადევნოს თვალყური, როდესაც სინჯი გამოდის სპორტსმენის ორგანიზმიდან და უნდა გააგრძელოს სინჯის მეთვალყურეობა მისი ჩაბარების შემდეგ, ვიდრე ის უსაფრთხოდ არ იქნება დალუქული, და უნდა გააკეთოს თავისი დაკვირვების დოკუმენტალური ჩანაწერი. იმისათვის რომ უზრუნველყოს განუწყვეტელი დაკვირვება, დოპინგ კონტროლის ოფიცერმა/კომპანიონმა უნდა სთხოვოს სპორტსმენს გაიხადოს ან აიწიოს ტანსაცმელი, რომელიც ხელს უშლის სინჯის აღების სუფთა ხედვას. როდესაც სინჯი იქნება ჩაბარებული, დოპინგ კონტროლის ოფიცერმა/კომპანიონმა უნდა უზრუნველყოს, რომ სპორტსმენის მიერ არ იყოს აღებული დამატებითი მოცულობა, რომელიც დაცული იქნება სინჯის ასაღებ ჭურჭელში.

დ.4.10 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა სპორტსმენის სრული ხედვისას უნდა შეამოწმოს რომ აღებული იყოს სინჯის საჭირო მოცულობა.

დ.4.11 როდესაც შარდის მოცულობა არ არის საკმარისი, დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა ჩაატაროს სინჯის აღების ნაწილობრივი პროცედურა, როგორც ეს აღწერილია დანართში ვ შარდის სინჯი-არასაკმარისი მოცულობა.

დ.4.12 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა რჩევა უნდა მისცეს სპორტსმენს შეარჩიოს სინჯის კომპლექტი, რომელშიც შედის ა და ბ ბოთლები გ.4.4 პუნქტის შესაბამისად.

დ.4.13 როდესაც სინჯის კომპლექტი იქნება შერჩეული, დოპინგ კონტროლის ოფიცერმა და სპორტსმენმა უნდა შეამოწმონ, რომ ყველა კოდის ნომერი ემთხვეოდეს და ეს კოდის ნომრები ზუსტად იყოს ჩაწერილი დოპინგ კონტროლის ოფიცრის მიერ.

თუ სპორტსმენი ან დოპინგ კონტროლის ოფიცერი აღმოაჩენს რომ ნომრები არ ემთხვევა, დოპინგ კონტროლის ოფიცერი ურჩევს სპორტსმენს შეარჩიოს სხვა კომპლექტი გ.4.4 პუნქტის შესაბამისად. დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა ჩაიწეროს შემთხვევა.

დ.4.14 სპორტსმენმა უნდა ჩაასხას ანალიზისათვის შარდის საჭირო მოცულობის მინიმუმი ბ ბოთლში (მინიმუმ 30 მლ-მდე) და შარდის დარჩენილი ნაწილი ჩაასხას ა ბოთლში (მინიმუმ 60 მლ-მდე). თუ აღებული იქნება ანალიზისათვის შარდის საჭირო მოცულობის მინიმუმზე

მეტი, მაშინ დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა უზრუნველყოს, რომ სპორტსმენმა ა ბოთლი შეავსოს აღჭურვილობის მწარმოებლის რეკომენდაციის შესაბამისად. თუ ამის შემდეგ კიდევ დარჩა შარდი, მაშინ დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა უზრუნველყოს, რომ სპორტსმენმა ბ ბოთლი შეავსოს აღჭურვილობის მწარმოებლის რეკომენდაციის შესაბამისად. დოპინგ კონტროლის ოფიცერმა რჩევა უნდა მისცეს სპორტსმენს, რომ მან ასაღებ ჭურჭელში დატოვოს შარდის მცირე რაოდენობა და აუხსნას, რომ ეს საჭიროა დოპინგ კონტროლის ოფიცრის მიერ ნარჩენი შარდის ტესტირებისათვის დ.4.17 პუნქტის შესაბამისად.

დ.4.15 შარდი შეიძლება გადაიდვაროს მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე ა და ბ ბოთლი იქნება შევსებული იმ მოცულობამდე, როგორც ეს დ.4.4 პუნქტშია აღწერილი, და შარდის ნარჩენი იქნება ტესტირებული დ.4.17 პუნქტის შესაბამისად. ანალიზისათვის შარდის საჭირო მოცულობა განიხილება, როგორც აბსოლუტური მინიმუმი.

დ.4.16 სპორტსმენმა ბოთლები უნდა დალუქოს დოპინგ კონტროლის ოფიცრის განკარგულების შესაბამისად. დოპინგ კონტროლის ოფიცერმა სპორტსმენის სრული ხედვით უნდა შეამოწმოს, სწორად არის თუ არა ბოთლები დალუქული.

4.17 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა ჩაატაროს სინჯის ასაღებ ჭურჭელში დარჩენილი შარდის ანალიზი, რომ განსაზღვროს აქვს თუ არა სინჯს ანალიზისათვის შესაფერისი სპეციფიკური კუთრი წონა. თუ დოპინგ კონტროლის კითხვის არეალი აჩვენებს, რომ სინჯს არ აქვს ანალიზისათვის შესაფერისი სპეციფიკური კუთრი წონა, მაშინ დოპინგ კონტროლის ოფიცერი უნდა მოიქცეს ისე, როგორც დანართში გ არის აღწერილი (შარდის საინჯი, რომელიც არ აკმაყოფილებს მოთხოვნას ანალიზისათვის შესაფერისი სპეციფიკური კუთრი წონა).

დ.4.18 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა უზრუნველყოს, რომ სპორტსმენს ჰქონდეს არჩევანი მოითხოვოს მის თვალწინ მოხდეს იმ ნარჩენი შარდის გადაღვრა, რომელიც არ იგზავნება ანალიზისათვის.

დანართი ე სისხლის სინჯის აღება

ე.1 მიზანი

სპორტსმენის სისხლის სინჯის აღება იმ წესით, რომელიც უზრუნველყოფს:

- ა) სპორტსმენისა და სინჯის ამღები პერსონალის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ხელშეუხებლობას;
- ბ) სინჯის ხარისხი და რაოდენობა შეესაბამებოდეს შესაბამის ანალიტიკურ სახელმძღვანელო პრინციპებს;
- გ) სინჯი არ იყოს მანიპულირებული, შეცვლილი, დაბინძურებული ან სხვაგვარად შეხებული;
- დ) სინჯის სუფთად და ზუსტად იდენტიფიცირებას; და
- ე) სინჯის უსაფრთხოდ დაბეჭდვას.

ე.2 მასშტაბი

სისხლის სინჯის აღების პროცესი იწყება სპორტსმენის შეტყობინების უზრუნველყოფით სინჯის აღების მოთხოვნების შესახებ და მთავრდება სინჯის სწორად დალუქვით მისი მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს მიერ აკრედიტირებულ ლაბორატორიაში გაგზავნამდე ან როგორც მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტო ჩათვლის საჭიროდ.

ე.3 პასუხისმგებლობა

ე.3.1 დოპინგ კონტროლის ოფიცერი პასუხისმგებელია უზრუნველყოფს:

- ა) თითოეული სინჯი იყოს სწორად აღებული, იდენტიფიცირებული და დაბეჭდილი; და
- ბ) ყველა სინჯი სწორად იყოს შენახული და გაგზავნილი შესაბამისი ანალიტიკური სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

3.2 სისხლის ამღები ოფიცერი პასუხისმგებელია სისხლის სინჯის აღებაზე, სინჯის აღებასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემაზე და სისხლის სინჯის ასაღები იმ გამოყენებული აღჭურვილობის სწორად განკარგვაზე, რომელიც არ არის საჭირო სინჯის აღების პროცესის დასასრულებლად.

ე.4 მოთხოვნები

ე.4.1 პროცედურები, რომლებიც ეხება სისხლს უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ სტანდარტებს და ჯანდაცვის უსაფრთხოების პარამეტრებთან დაკავშირებულ მარეგულირებელ მოთხოვნებს.

ე.4.2 სისხლის სინჯის ასაღები აღჭურვილობა უნდა შედგებოდეს (ა) ერთი სინჯის ასაღები სისტემისაგან სისხლის პროფილირების მიზნებისათვის; ან (ბ) ორივე ა და ბ სინჯის ასაღები სისტემა სისხლის ანალიზისათვის; ან (გ) როგორც შესაბამისი ლაბორატორიის მიერ იქნება განსაზღვრული.

ე.4.3 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა უზრუნველყოს სპორტსმენის ინფორმირება სინჯის აღების მოთხოვნების შესახებ, ნებისმიერი ცვლილების ჩათვლით, რომელიც აღწერილია დანართში ბ ცვლილებები ინვალიდი სპორტსმენებისათვის.

ე.4.4 დოპინგ კონტროლის ოფიცერი/კომპანიონი და სპორტსმენი მიდიან ადგილზე, სადაც მოხდება სინჯის აღება.

ე.4.5 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა უზრუნველყოს სპორტსმენისთვის კომფორტული პირობები, სინჯის აღებამდე ათ წუთიანი რელაქსაციის ჩათვლით.

ე.4.6 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა რჩევა უნდა მისცეს სპორტსმენს შეარჩიოს სინჯის ასაღები კომპლექტი, რომელიც საჭიროა სისხლის სინჯის ასაღებად და შეამოწმოს, რომ აღჭურვილობა იყოს ხელუხლებელი და ღუქები იყოს დაუზიანებელი. თუ სპორტსმენი არ არის კმაყოფილი შერჩეული კომპლექტით, მას შეუძლია შეარჩიოს მეორე. თუ სპორტსმენი არ არის კმაყოფილი არცერთი კომპლექტით და მეტი არ არის ხელმისაწვდომი, ეს უნდა იყოს ჩაწერილი დოპინგ კონტროლის ოფიცრის მიერ.

თუ დოპინგ კონტროლის ოფიცერი არ ეთანხმება სპორტსმენს, რომ ყველა კომპლექტი არ არის დამაკმაყოფილებელი, მაშინ ის ავალებს სპორტსმენს გააგრძელოს სინჯის აღების პროცესი.

თუ დოპინგ კონტროლის ოფიცერი ეთანხმება სპორტსმენს, რომ ყველა კომპლექტი არ არის დამაკმაყოფილებელი, დოპინგ კონტროლის ოფიცერი წყვეტს სპორტსმენის სისხლის სინჯის აღების პროცესს და ეს ჩაწერილი უნდა იყოს მის მიერ.

ე.4.7 როდესაც სინჯის ასაღები კომპლექტი შეჩეულია, დოპინგ კონტროლის ოფიცერმა და სპორტსმენმა უნდა შეამოწმონ, რომ ყველა კოდის ნომერი ემთხვეოდეს ერთმანეთს და დოპინგ კონტროლის ოფიცრის მიერ სწორად იყოს ჩაწერილი კოდის ნომრები.

თუ სპორტსმენი ან დოპინგ კონტროლის ოფიცერი აღმოაჩენს, რომ ნომრები არ ემთხვევა ერთმანეთს, დოპინგ კონტროლის ოფიცერი ურჩევს სპორტსმენს შეარჩიოს სხვა კომპლექტი. დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა ჩაიწეროს ეს შემთხვევა.

4.8 სისხლის ამღებმა ოფიცერმა კანი უნდა გაწმინდოს სტერილური მადეზინფიცირებელი საფენით იმ ადგილას, რომელიც არ იმოქმედებს სპორტსმენზე ან მის შესრულებაზე და თუ საჭიროა უნდა გამოიყენოს ჟგუტი. სისხლის ამღებმა ოფიცერმა უნდა აიღოს სისხლი ზედა ვენიდან მილით. მას შემდეგ რაც ვენოფუნქცია გაკეთდება, მაშინვე უნდა მოიხსნას ჟგუტი თუ გამოყენებულია.

ე4.9 ადებული სისხლის რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს სინჯის ანალიზისათვის მოქმედ ანალიტიკურ მოთხოვნებს.

ე4.10 თუ სისხლის რაოდენობა, რომლის აღებაც შესაძლებელი იყო პირველ მცდელობაზე არ არის საკმარისი, სისხლის ამღებმა ოფიცერმა უნდა გაიმეოროს პროცედურა. მცდელობის მაქსიმალური რაოდენობა უნდა იყოს სამი. თუ სამივე მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა, მაშინ სისხლის ამღებმა ოფიცერმა ამის შესახებ უნდა შეატყობინოს დოპინგ კონტროლის ოფიცერს. დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა შეწყვიტოს სისხლის სინჯის აღების პროცესი და ჩაიწეროს შემთხვევა და სინჯის აღების პროცესის შეჩერების მიზეზი.

ე4.11 სისხლის ამღებმა ოფიცერმა ფუნქციის ადგილს უნდა დააღოს სახვევი.

ე4.12 სისხლის ამღებმა ოფიცერმა გამოყენებული სისხლის სინჯის აღჭურვილობა, რომელიც აღარ არის საჭირო სინჯის აღების პროცესის დასრულებისათვის უნდა მოიცილოს თავიდან სისხლის დამუშავების ადგილობრივი სტანდარტების მოთხოვნების თანახმად.

ე4.13 თუ სინჯი მოითხოვს ადგილზე შემდგომ დამუშავებას, როგორცაა შრატის ცენტრიფუგირება ან დანაწევრება, სპორტსმენი უნდა დარჩეს დასაკვირვებლად სინჯის საბოლოო დალუქვამდე დაცულ და ხელშეუხებელ კომპლექტში.

ე4.14 სპორტსმენმა დოპინგ კონტროლის ოფიცერის მითითების შესაბამისად უნდა დალუქოს თავისი სინჯი სინჯის ასაღებ კომპლექტში. სპორტსმენის სრული მხედველობის არეში დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა შეამოწმოს დამაკმაყოფილებელია თუ არა ლუქი.

ე.4.15 დალუქული სინჯი შენახული უნდა იყოს ისე, რომ დაცული იყოს მისი მთლიანობა, იდენტურობა და უსფრთხოება მანამდე, ვიდრე მოხდება მისი ტრანსპორტირება დოპინგ კონტროლის სადგურიდან მსოფლიო ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებულ ლაბორატორიამდე ან როგორც მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტო გადაწყვეტს.

დანართი ვ შარდის სინჯი არასაკმარისი მოცულობა

ვ.1 მიზანი

შესაბამისი პროცედურების ჩატარების უზრუნველყოფა, თუ ანალიზისათვის შესაბამისი მოცულობის შარდი არ იქნება აღებული.

ვ.2 მასშტაბი

პროცედურა იწყება სპორტსმენის ინფორმირებით, რომ სინჯი არ არის ანალიზისათვის შესაბამისი მოცულობის შარდი და მთავრდება საკმარისი მოცულობის სინჯის აღებით.

ვ.3 პასუხისმგებლობა

დოპინგ კონტროლის ოფიცერი პასუხისმგებელია განაცხადოს სინჯის მოცულობის უკმარისობის შესახებ და აიღოს დამატებითი სინჯი საკმარისი მოცულობის კომბინირებული სინჯის მისაღებად.

ვ.4 მოთხოვნები

ვ.4.1 თუ აღებული სინჯი არასაკმარისი მოცულობისაა დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა შეატყობინოს სპორტსმენს, რომ აღებული უნდა იყოს დამატებითი სინჯი, რომ აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს ანალიზისათვის შარდის შესაფერისი რაოდენობა.

ვ.4.2 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა ურჩიოს სპორტსმენს შეარჩიოს სინჯის ასაღები აღჭურვილობა დ.4.4 პუნქტის შესაბამისად.

ვ.4.3 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა შემდეგ უნდა მიუთითოს სპორტსმენს გახსნას შესაბამისი აღჭურვილობა, ჩაასხას არასაკმარისი სინჯი კონტეინერში და დალუქოს დოპინგ კონტროლის ოფიცრის მითითების შესაბამისად. დოპინგ კონტროლის ოფიცერმა სპორტსმენის სრული მხედველობის არეში უნდა შეამოწმოს, რომ კონტეინერი სწორად იქნა დალუქული.

F.4.4 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა და სპორტსმენმა უნდა შეამოწმონ რომ არასაკმარისი სინჯის აღჭურვილობის კოდის ნომერი, მოცულობა და იდენტიფიკაცია სწორად იყოს ჩაწერილი დოპინგ კონტროლის ოფიცრის მიერ. სპორტსმენმა ან დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა გააგრძელონ დალუქული სინჯის კონტროლი.

ვ.4.5 ვიდრე ელოდება დამატებითი სინჯის აღებას, სპორტსმენი უნდა დარჩეს მუდმივი დაკვირვების ქვეშ და მიეცეს ჰიდრატაციის საშუალება.

ვ.4.6 როდესაც სპორტსმენი შეიძლება დამატებითი სინჯის ჩაბარებას, სინჯის აღების პროცედურები უნდა გამეორდეს, როგორც დანართში დ არის აღწერილი შარდის სინჯების აღება, ვიდრე საკმარისი რაოდენობის შარდი არ იქნება აღებული პირველადი და დამატებითი სინჯების კომბინირებით.

ვ.4.7 როდესაც დოპინგ კონტროლის ოფიცერი იქნება დაკმაყოფილებული იმით რომ ანალიზისათვის შარდის შესაფერისი რაოდენობა არის აღებული, დოპინგ კონტროლის ოფიცერმა და სპორტსმენმა უნდა შეამოწმონ ლუქების ხელშეუხებლობა პირველად აღებულ არასაკმარისი მოცულობის სინჯზე. ნებისმიერი ხარვეზი ლუქის მთლიანობაში უნდა იყოს ჩაწერილი და გამოძიებული დოპინგ კონტროლის ოფიცერის მიერ დანართი ა-ს შესაბამისად შესაძლო მოთხოვნების დარღვევის გამოძიება.

ვ.4.8 შემდეგ დოპინგ კონტროლის ოფიცერი მიუთითებს სპორტსმენს მოხსნას ლუქი და შეურიოს სინჯები, იმის უზრუნველყოფით, რომ დამატებითი სინჯი ნელ-ნელა იყოს დამატებული პირველზე, ვიდრე მოთხოვნის შესაბამისად არ მიაღწევს ანალიზისათვის შარდის შესაფერისი რაოდენობას.

ვ.4.9 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა და სპორტსმენმა მაშინ უნდა გააგრძელონ დ.4.12 და დ.4.14 პუნქტების შესაბამისად.

ვ.4.10 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა შარდის ნარჩენი უნდა შეამოწმოს, რომ დარწმუნდეს აკმაყოფილებს თუ არა ის ანალიზისათვის შესაფერისი სპეციფიკური სიმძიმის მოთხოვნებს.

ვ.4.11 შარდი შეიძლება გადაიდვაროს, როდესაც ა და ბ ბოთლები შევსებული იქნება იმ მოცულობამდე, რომელიც მითითებულია პუნქტში დ.4.14. ანალიზისათვის შარდის შესაფერისი რაოდენობა განიხილება, როგორც აბსოლუტური მინიმუმი.

დანართი ზ (G) შარდის ანალიზი, რომელიც არ აკმაყოფილებს მოთხოვნას ანალიზისთვის შესაბამისი კუთრი წონა

ზ.1 მიზანი

შესაბამისი პროცედურების დაცვა, როდესაც შარდის სინჯი არ აკმაყოფილებს მოთხოვნას ანალიზისათვის შესაბამისი სპეციფიკური კუთრი წონა.

ზ.2 მასშტაბი

პროცედურა იწყება, როდესაც დოპინგ კონტროლის ოფიცერი ატყობინებს სპორტსმენს, რომ საჭიროა დამატებითი სინჯის აღება და მთავრდება სინჯის აღებით, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნებს ანალიზისათვის შესაბამისი სპეციფიკური კუთრი წონა, ან საჭიროების შემთხვევაში ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ შემდგომი შესაბამისი ღონისძიების გატარებით.

ზ.3 პასუხისმგებლობა

ანტი-დოპინგური ორგანიზაცია პასუხისმგებელია პროცედურების ჩატარებაზე, რომ უზრუნველყოს შესაფერისი სინჯის აღება. თუ პირველად აღებული სინჯი არ აკმაყოფილებს მოთხოვნას ანალიზისათვის შესაბამისი სპეციფიკური კუთრი წონის შესახებ, დოპინგ კონტროლის ოფიცერი პასუხისმგებელია დამატებითი სინჯის აღებაზე, ვიდრე შესაფერისი სინჯი არ იქნება აღებული.

ზ.4 მოთხოვნები

ზ.4.1 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა განსაზღვროს, რომ არ არის დაკმაყოფილებული ანალიზისათვის შესაბამისი სპეციფიკური კუთრი წონის.

ზ.4.2 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა შეატყობინოს სპორტსმენს, რომ იგი ვალდებულია აიღოს დამატებითი სინჯი.

ზ.4.3 ვიდრე ელოდება დამატებითი სინჯის ჩაბარებას, სპორტსმენი უნდა დარჩეს მუდმივი დაკვირვების ქვეშ.

4.4 სპორტსმენს უნდა მიეცეს რჩევა არ მიიღოს სითხე გადაჭარბებული რაოდენობით, რადგან ამან შეიძლება ხელი შეუშალოს შესაფერისი სინჯის აღებას.

ზ.4.5 როდესაც სპორტსმენს შეუძლია დამატებითი სინჯის ჩაბარება, დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა გაიმეოროს სინჯის აღების იგივე პროცედურები, როგორც ეს აღწერილია დანართში დ შარდის სინჯის აღება.

ზ.4.6 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა მანამდე უნდა გააგრძელოს სინჯის აღება, ვიდრე არ იქნება დაკმაყოფილებული მოთხოვნები ანალიზისათვის შესაბამის სპეციფიკურ კუთრ წონაზე, ან ვიდრე დოპინგ კონტროლის ოფიცერი არ დაადგენს, რომ არსებობს გამონაკლისი პირობები, რაც ნიშნავს, რომ ლოჯისტიკური მიზეზის გამო შეუძლებელია სინჯის აღების პროცედურების გაგრძელება. ასეთი გამონაკლისი გარემოებები ჩაწერილი უნდა იყოს დოპინგ კონტროლის ოფიცრის მიერ.

ზ.4.6 შენიშვნა: სპორტსმენი პასუხისმგებელია ანალიზისათვის შესაბამისი სპეციფიკური კუთრი წონის სინჯის ჩაბარებაზე. თუ მისი პირველი სინჯი არის ძალიან განზავებული, მას აღარ სჭირდება შემდგომი პიდრატაცია და თავი უნდა აარიდოს სითხის მიღებას, ვიდრე არ იქნება ჩაბარებული შესაბამისი სპეციფიკური კუთრი წონის სინჯი. დოპინგ კონტროლის ოფიცერი უნდა დაელოდოს იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება ასეთი სინჯის აღებისათვის. ანტიდოპინგურ ორგანიზაციამ შეიძლება მიაწოდოს დოპინგ კონტროლის ოფიცერს სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც უნდა დაიცვას რომ განსაზღვროს აქვს თუ არა ადგილი გამონაკლის პირობებს, როდესაც შეუძლებელია სინჯის აღების პროცესის გაგრძელება.

ზ.4.7 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა ჩაიწეროს, რომ აღებული სინჯები ეკუთვნის ერთ სპორტსმენს, ასევე განრიგი, რომლის მიხედვითაც აღებული იყო სინჯები.

ზ.4.8 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა გააგრძელოს სინჯის აღების პროცესი დ.4.16 პუნქტის შესაბამისად.

ზ.4.9 თუ დადგინდება, რომ სპორტსმენის არცერთი სინჯი არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს ანალიზისათვის შესაბამის სპეციფიკურ კუთრ წონაზე და დოპინგ კონტროლის ოფიცერი დაადგენს, რომ ლოჯისტიკური მიზეზის გამო შეუძლებელია სინჯის აღების პროცესის გაგრძელება, დოპინგ კონტროლის ოფიცერმა უნდა დაასრულოს სინჯის აღების პროცესი. ასეთ შემთხვევაში, ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ შეიძლება გამოიძიოს შესაძლო ანტი-დოპინგური წესების დარღვევა.

ზ.4.10 დოპინგ კონტროლის ოფიცერმა ლაბორატორიაში ანალიზისათვის უნდა გაგზავნოს ყველა სინჯი, რომელიც იყო აღებული, იმის მიუხედავად აკმაყოფილებენ ისინი მოთხოვნებს ანალიზისათვის შესაბამის სპეციფიკურ კუთრ წონაზე, თუ არა.

ზ.4.11 ლაბორატორიამ ანტიდოპინგურ ორგანიზაციასთან ერთად უნდა განსაზღვროს, თუ რომელი სინჯის ანალიზი უნდა ჩატარდეს.

დანართი თ - მოთხოვნები სინჯის ამღები პერსონალისათვის

თ.1 მიზანი

უზრუნველყოს რომ სინჯის ამღები პერსონალს არ ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი და ჰქონდეს შესაბამისი ქვალიფიკაცია და გამოცდილება სინჯის აღების პროცესის ჩატარებისათვის.

თ.2 მასშტაბი

მოთხოვნები სინჯის ამღები პერსონალისათვის იწყება სინჯის ამღები პერსონალისათვის აუცილებელი კომპეტენციის განვითარებით და მთავრდება აკრედიტაციის მოწმობის მიღებით.

თ.3 პასუხისმგებლობა

ანტი-დოპინგური ორგანიზაცია პასუხისმგებელია ყველა აქტივობაზე, რომელიც განსაზღვრულია დანართში თ.

თ.4 მოთხოვნები კვალიფიკაცია და ტრენინგი

თ.4.1 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს მოთხოვნები დოპინგ კონტროლის ოფიცრისათვის, კომპანიონისათვის, სინჯის ამღები პერსონალისათვის საჭირო კომპეტენციასა და კვალიფიკაციაზე. ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შეიმუშავოს მოვალეობათა ჩამონათვალი ყველა სინჯის ამღები პერსონალისათვის, რომელიც გამოკვეთავს მათ მოვალეობებს. როგორც მინიმუმ:

- ა) სინჯის ამღები პერსონალი არ უნდა იყოს უმცროსი ასაკის.
- ბ) სისხლის ამღები ოფიცერს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება რომ განახორციელოს ვენიდან სისხლის აღება.

თ.4.2 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ სინჯის ამღები პერსონალი, რომელიც დაინტერესებულია იმ სპორტსმენის სინჯის აღების ან ტესტირების შედეგებით, რომელმაც უნდა ჩააბაროს სინჯი, არ იყოს დანიშნული ამ სინჯის აღების პროცესზე. სინჯის ამღები პერსონალი მოიაზრება სინჯის აღების ინტერესის მქონედ თუ იგი არის:

ა) მონაწილეობს იმ სპორტის სახეობის დაგეგმვაში, რომელშიც ტარდება ტესტირება; ან

ბ) კავშირშია ან პირადი ურთიერთობა აქვს რომელიმე სპორტსმენთან, რომელმაც შეიძლება ჩააბაროს სინჯი სინჯის აღების პროცესის დროს.

თ.4.3 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შექმნას სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სინჯის ამღები პერსონალის შესაბამისად ტრენირებას თავიანთი მოვალეობების შესრულებისათვის.

თ.4.3.1 ტრენინგის პროგრამა სისხლის ამღები პერსონალისათვის უნდა შეიცავდეს მინიმუმ, ყველა შესაბამისი მოთხოვნის შესწავლას და ჯანდაცვის დადგენილებების პარამეტრებში შესაბამისი სტანდარტული სიფრთხილის ზომების გაცნობას.

თ.4.3.2 დოპინგ კონტროლის ოფიცრის ტრენინგის პროგრამა როგორც მინიმუმ უნდა შეიცავდეს:

ა) დოპინგ კონტროლის ოფიცრის პოზიციის შესაბამის მრავალმხრივ თეორიულ ტრენინგს ტესტირების სხვა და სხვა სახის აქტივობებში;

ბ) ამ სტანდარტების მოთხოვნების შესაბამის დოპინგ კონტროლის აქტივობების დაკვირვებას, სასურველია ადგილზე;

გ) დამაკმაყოფილებლად შესრულებულ ერთ სრული სინჯის აღების პროცესს ადგილზე კვალიფიცირებული დოპინგ კონტროლის ოფიცრის დაკვირვების ქვეშ. ადგილზე დაკვირვების პროცესში არ უნდა შედიოდეს ფაქტიური სინჯის ჩაბარებასთან დაკავშირებული მოთხოვნა.

თ.4.3.3 ტრენინგის პროგრამაში კომპანიონებისათვის უნდა შედიოდეს სინჯის აღების პროცესთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნის სწავლება.

თ.4.4 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა აწარმოოს განათლების, ტრენინგის, უნარების და გამოცდილების ჩანაწერები.

თ.5 მოთხოვნები – აკრედიტაცია, რე-აკრედიტაცია და დელეგირება

თ.5.1 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა შექმნას სისტემა სინჯის ამღები პერსონალის აკრედიტაციისა და რე-აკრედიტაციისათვის.

თ.5.2 ანტიდოპინგურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს სინჯის ამღები პერსონალის მიერ ტრეინინგის პროგრამის დასრულება და მათ მიერ ამ ტესტირების საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების გაცნობა.

თ.5.3 აკრედიტაცია ძალაში იქნება მხოლოდ ორი წლის მანძილზე. სინჯის ამღებ პერსონალს მოეთხოვება სრული ტრეინინგის პროგრამის გამეორება, თუ მათ არ მიუღიათ მონაწილეობა სინჯის აღების აქტივობებში, რე-აკრედიტაციამდე ერთი წლის მანძილზე.

თ.5.4 მხოლოდ ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ აღიარებული აკრედიტაციის მქონე სინჯის ამღებ პერსონალს ექნება უფლებამოსილება ჩაატაროს სინჯის აღების აქტივობები ანტი-დოპინგური ორგანიზაციის სახელით.

თ.5.5 დოპინგ კონტროლის ოფიცერს შეუძლია თვითონ ჩაატაროს სინჯის აღების ნებისმიერი აქტივობა, გარდა სისხლის აღებისა, თუ ამაზე არ არის კვალიფიცირებული, ან შეუძლია მითითება მისცეს კომპანიონს ცაატაროს გარკვეული აქტივობა, რომელიც შედის კომპანიონის უფლებამოსილების ფარგლებში.